ასლან აბაშიძის ბანაკს ყველაზე საიმედო ქვედანაყოფები ტოვებენ A2

გულახდილად B6

სამართალი C

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 13 მარტი, 2004 წელი. №61 (610)

ფასი 50 თეთრი

## ფიქრები საქართველოზე

### უცხოელი, ფსევდონიმით - "ს. ქართველი"

1990 წლის დეკემბერში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გაზეთ "მამულში" სათაურით "ივერია-35" გამოქვეყნდა პარიზში გამომავალი ჟურნალის - "ივერიის" - მორიგი ნომრის მცირე ანოტაცია და მისი ერთ-ერთი ავტორის - ს. ქართველის წერილი "ფიქრები საქართველოზე".

გთავაზობთ "მამულის" ცამეტი წლის წინანდელ პუბლიკაციას მცირე ბოლოთქმით.

სტირის საქართველო...
დაგვხოცეს...
გაგვჟლიტეს...
გაგვძარცვეს...
გაგვანადგურეს...

სამი კითხვა დასტრიალებს საქართველოს... მის მთებსა და ველებს: ჩვენი ელიტა - კულტურული. ინტელექტუალური. ზნესრული. - სად გაქრა?

მეფე მაინც რომ გვყავდეს? ოღონდ გვეცალოს და საქართველო აყვავდებოდა... კერძო საკუთრება. და ხსნილია გზა...

საქართველო სნეულია. როგორც ადამიანი შეიძლება დაავადდეს და დეპრესიაში ჩავარდეს - ისევე ერიც!

საქართველო დეპრესიაშია...

უცებ გულში ღრმად ჩაფლული იმედი, იდუმალად შენარჩუნებული, გამოაფინეს გარეთ. მაგრამ გადმოფენის მომენტში დაუკარგეს რაღაც სიწმინდის ნაპერწკალი, თავისი განსაკუთრებულობა... არსი გაანიავეს...

ყველგან ფრიალებს საქართველოს დამოუკიდებლობის დროშა - ან, უფრო სწორად, "დროშები" - ლენინის და მარქსის ლოზუნგები შეცვალეს ილიას და ვაჟას წინადადებებით, გამოთქმებით, მაგრამ საქართველოს მიხვეულ-მოხვეულ გზებზე როგორღაც ერთნაირად ჟღერენ...

სიტყვა "დამოუკიდებლობა" არის ყველას ბაგეზე... მაგრამ რას ნიშნავს იგი?

ის, რაც აქამდე წარმოადგენდა რაღაც, - ეგებ მიუწვდომელ, მაგრამ რაღაც სასწაულის გამო - ძალიან რეალურ იდეალს, დღეს ჩანს ერთდროულად ბევრად უფრო ახლოც და ხელმიუწვდომელიც.

რა ხდება საქართველოში?

ერთ გზაზე ყველანი თანახმა ვართ და გზას კი ვერ ვხედავთ! გული გვტკივა მიწა-წყლისათვის ერთნაირად და ერთმანეთს ვეომებით. ტრადიციებს ვადიდებთ და ტრადიციებს უარვყოფთ. იმათ, ვისაც ადრე ვღებულობდით, როგორც ოჯახის წევრებს, დღეს გვერდზე ვწევთ და არაქართველობას ვაბრალებთ, როდესაც ამ დროს ქართველობა ჩვენშივე იკარგება. ქართველი ქართველს აღარ ჰგავს... სად არის მისი საუკუნეობრივი ნიშანი: ზომიერება და შემწყნარებლობა? ოჯახები იყოფა. მეგობრები ერთმანეთს ჰკარგავენ და რაღაც სატანური სიძულვილი დაეუფლა სიყვარულის მხარეს...

გაგრძელება A8 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | ❄ |
| ქუთაისი | 9 | ❄ |
| ბათუმი | 9 | ❄ |
| სოხუმი | 8 | ❄ |
| ფოთი | 9 | ❄ |
| თელავი | 7 | ❄ |
| ზუგდიდი | 9 | ❄ |
| გორი | 4 | ❄ |
| ახმეტა | 7 | ❄ |
| ჭიათურა | 6 | ❄ |
| გაგრა | 7 | ❄ |
| სამტრედია | 9 | ❄ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0700 |
| ევრო | 2.5376 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7185 |
| რუბლი | 0.0726 |

# პოლიტბაბუების შემოდგომა

ეკა კიკიანი

28 მარტის არჩევნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ნათელია, რომ ვითარება, რომელიც ყოველდღიურად იმუხტება, აუცილებლად განიმუხტება, თუმცა, ნაკლებ მოსალოდნელია, ამ პროცესმა უხმაუროდ ჩაიაროს. დაახლოებით ათი წელიწადი, თბილისსა და ბათუმს შორის სტაბილურად მდგრადი დაპირისპირება მიმდინარეობდა. იყო ორმხრივი ძალიან მწვავე ბრალდებები და სიმპტომატურია, რომ ამ ხნის განმავლობაში ასლან აბაშიძე ერთხელაც არ ჩამოსულა თბილისში. თუმცა, იგი ამას იმით ხსნიდა, რომ გარკვეული ძალები მის ფიზიკურ განადგურებას გეგმავდნენ. სინამდვილეში, ალბათ, ფიქრობდა, რომ პრეზიდენტი ვერ გაუძლებდა ცდუნებას და დააპატიმრებდა. ამგვარი ფიქრი და ვარაუდი სრულიადაც არ იყო ლოგიკას მოკლებული, მით უმეტეს, ასლან აბაშიძის მისამართით ყოფილი პრეზიდენტის გამონათქვამებს თუ გავითვალისწინებთ.

გაგრძელება A8 გვერდზე



# "ჩვენ ვმონაწილეობთ არჩევნებში?"

### კითხულობენ სიბნელეში და სიცივეში გამოკეტილ სამცხე-ჯავახეთში

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი გუშინ სამცხე-ჯავახეთს საარჩევნო ვითარების გასაცნობად ესტუმრა. აბსოლუტურად ყველა უბანზე სიები უკვე გამოკრულია. ყველა უბანი ღიაა, კომისიის წევრები დანთებული ღუმელის გარშემო სხედან და იმ ამომრჩევლებს ელოდებიან, რომელთაც საკუთარი თავის საარჩევნო სიაში გადამოწმება გადაწყვიტეს. ასეთი ამომრჩევლები ახალციხეში ძალიან ცოტაა. თითოეულ უბანზე მხოლოდ სამი-ოთხი ამომრჩეველი თუ მივიდა სიაში საკუთარი გვარის ამოსაკითხად... "მოსახლეობა ძალიან პასიურია, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გაცილებით მეტი ხალხი მოდიოდა," – გვითხრეს საუბნო კომისიების თავმჯდომარეებმა. პასიურობა ახალციხელებს ნამდვილად არ გაემტყუნებათ...*

სოფო ბუკია

უმკაცრესი კლიმატი, საშინელი გზები, უშუქობა, უწყლობა, უმუშევრობა, მიგრაცია, საქართველოს ხელისუფლების ტოტალური უყურადღებობა და უიმედობა – აი, ეს არის თანამედროვე ჯავახეთი - ჯავახკი, როგორც მას ადგილობრივი სომხები უწოდებენ.

ფქვილი არ გაიაფდება? – გამარჯობის შემდეგ, ეს იყო პირველი კითხვა, რომელიც ახალციხეში დაგვისვეს.

- არჩევნები? როდის არის არჩევნები?
- 28-ში...
- ამ თვის 28-ში?
- ჰო...
- ჩვენ არ ვმონაწილეობთ?

ვალელი პეტრე ნიკოღორიანი, ისევე როგორც მისი მეზობელი კარაპეტ სარქისიანი, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში "მონაწილეობენ", თუმცა ამის შესახებ არაფერი იციან.

გაგრძელება A8 გვერდზე

# მადრიდის ტრაგედია და ესპანელთა ერთობა

ლევან ღირსიაშვილი
დავით აფრასიძე

198 დაღუპული და 1400-ზე მეტი დაჭრილი – ასეთია 2004 წლის 11 მარტს მადრიდში განხორციელებული ტრაგედიის შედეგები. დაღუპულთა რაოდენობა შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს. გუშინ, დღის 12 საათზე ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე ცხოვრება ერთი წუთით შეწყდა. ესპანელებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თანამემამულეთა ხსოვნას. საღამოსვე, ესპანელებმა სიჩუმე დაარღვიეს და ტერორიზმის წინააღმდეგ თავიანთი შეუვალობა საპროტესტო დემონსტრაციით გამოხატეს. ასეთი ერთსულოვანი ესპანეთი ძალზედ იშვიათი სანახავია ხოლმე. ათიათასობით მოქალაქე ხმამაღლა გამოხატავდა პროტესტს ტერორიზმისა და კაცისკვლის წინააღმდეგ. ხალხის წინაშე პრემიერ-მინისტრი ხოსე მარია აზნარი წარსდგა: **"ჩვენ დამნაშავეებს უმოკლეს დროში გამოვავლენთ და გავუსწორდებით,"** - განაცხადა აზნარმა. ხალხთან ერთად იდგა ესპანეთის მეფე და ესპანური დემოკრატიის სიმბოლო ხუან კარლოს მეორე და მთელი სამეფო ოჯახი.

### "ალ-ქაიდა" - "სიკვდილის მატარებლის" ავტორი

ესპანეთის სამართალდამცავების წინაშე ტრაგედიის პირველივე წუთებიდან ურთულესი ამოცანა დგას. ტრაგედიის ორგანიზატორობაში ეჭვმიტანილი მხოლოდ ორი ორგანიზაცია იყო: ბასკური "ეტა" ან მუსლიმი ტერორისტები. თუმცა, ბასკთა ნაციონალისტური პარტიის "ბატასუნას" ლიდერმა ტერაქტიდან რამდენიმე საათში განაცხადა, რომ "ეტას" ამ ტერაქტთან კავშირი არ აქვს. "ბატასუნას" საქმიანობა ესპანეთის სასამართლომ გასულ წელს აკრძალა და ის თავის მოღვაწეობას იატაკქვეშეთში განაგრძობს. ამ ორგანიზაციას "ეტას" პოლიტიკურ ფრთად განიხილავენ. "ბატასუნას" ლიდერმა ტრაგედიის შესაძლო მომწყობიც დაასახელა. მისი აზრით, "ატოჩას" სადგურში აფეთქებების სერია "არაბულმა წინააღმდეგობამ" განახორციელა.

მეორე დილით კი, ესპანელ სამართალდამცავებს თავსატეხის ამოხსნაში თავად "არაბული წინააღმდეგობაც" დაეხმარა.

**"ჩვენ ჯვაროსნული ევროპის ცენტრში, ჯვაროსანთა ალიანსის ერთ-ერთ სიმაგრეზე შეტევა წარმატებით განვახორციელეთ,"** - აცხადებს "ალ-ქაიდას" შემადგენელი ორგანიზაცია "აბუ ჰაფს ალმასრის ბრიგადები." ტერორისტების წერილი, სადაც მათ მადრიდის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა აიღეს, ლონდონში გამომავალ გაზეთში "ალ ქუდს ალ-არაბიაში" გამოქვეყნდა. ისინი აცხადებენ, რომ ესპანეთმა ერაყის ომში მონაწილეობისათვის თავის დანაშაულზე პასუხი აგო. სწორედ ამისათვის განუხორციელებია "ალ-ქაიდას" რაზმს ოპერაცია "სიკვდილის მატარებელი."

გაგრძელება A5 გვერდზე




## "რუსთავი საერთო-ეროვნული პრობლემაა"

### ამბობს ზურაბ ჟვანია და ექსპერიმენტს იწყებს

მაია მოსიაშვილი

გუშინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად, რუსთავის სტრატეგიული განვითარების საექსპერიმენტო პროგრამა პირადად წარადგინა. მანამდე მან რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და "აზოტი" დაათვალიერა და ამ ქარხნების უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების პოზიციაც დააფიქსირა:

**"წლების მანძილზე ხელისუფლება რუსთავის უდიდესი საწარმოების ხელოვნურად გაკოტრებისათვის თავად ირჯებოდა. აუცილებელია იმ მანკიერი, დანაშაულებრივი სისტემის აღმოფხვრა, რომლის ნარჩენები ახლაც კიბოსავით არის მოდებული. ჩვენი თვითმიზანი არ არის რომელიმე ინვესტორის გაგდება ან მოყვანა. ჩვენი მიზანია, ყველა ქარხნას ჰყავდეს სერიოზული პატრონი, რომელიც მის ამუშავებაზე ნამდვილად იზრუნებს,"** - ამ განცხადების ფონზე ზურაბ ჟვანია ხაზს უსვამს თავის კეთილგანწყობას "იტერასადმი", როგორც "აზოტის" ინვესტორისადმი.

**"იტერა" გვპირდება, რომ წლის ბოლომდე კაპროლაქტამის წარმოებას აამუშავებს. საქართველოს ხელისუფლება მათ ყველანაირად შეუწყობს ხელს,"** - ამბობს პრემიერ-მინისტრი. მან აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ქვეყნის გარეთ გასული ადამიანების ერთი დანაშაულებრივი ჯგუფი ბოლო პერიოდში აქტიურად ცდილობდა "აზოტის" დაყადაღებას და ამით "იტერასათვის" ხელის შეშლას.

გაგრძელება A8 გვერდზე

## როცა ქართველი და გერმანელი ფერმერი ერთმანეთს გაუტოლდება

### სოფლის მეურნეობის მინისტრის ოცნება

თამარ ხორბალაძე

*სოფლის მეურნეობა საქართველოში ყოველთვის მიაჩნდათ იმ დარგად, რომელსაც ქვეყანა დამოუკიდებლობის პერიოდში ფეხზე უნდა დაეყენებინა. თუმცა სულ მალე ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდმა ნაწილმა არა მხოლოდ ტრადიციული ბაზრები (რუსეთის, უკრაინის, შუა აზიის და სხვები) დაკარგა, არამედ საკუთარ - ქართულ ბაზარზეც დათმო პოზიციები თურქული და აზერბაიჯანული პროდუქციის სასარგებლოდ. ახალი ხელისუფლება ამბობს, რომ მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის აღორძინება იქნება. თუმცა, ხელისუფლების პროგრამა, ძირითადად, დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. ამ პროგრამით ძალიან ძნელია ამა თუ იმ დარგში გასატარებელ პოლიტიკაზე წარმოდგენა შეგექმნას. ამ სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავად დარგის კურატორის ხედვას. "24 საათი" სოფლის მეურნეობის ახალ მინისტრს დავით შერვაშიძეს ესტუმრა და დარგის დღევანდელი მდგომარეობის მისეული შეფასებით დაინტერესდა. დავით შერვაშიძე, მოგეხსენებათ, ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გახლდათ, ამიტომ საუბარი გადასადგმელ ნაბიჯებსაც შეეხო და უკვე გადადგმულსაც.*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 რეკლამა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# შევარდნაძის ძლეული "არმადა" სალონურ "ბრძოლაზე" გადადის



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თემურ შაშიაშვილის "სალონი".*

*პრეზიდენტის პოსტიდან ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ მისი თანამებრძოლები სხვადასხვა გზას დაადგნენ: ზოგი ახალ ხელისუფლებასთან დაახლოებას შეეცადა, ზოგი საერთოდ ჩამოსცილდა პოლიტიკას (მაგალითად, ვახტანგ რჩეულიშვილი), ზოგი კი ვარდების რევოლუციის შემოქმედთ ოპოზიციაში ჩაუდგა და მათ ყოველ ნაბიჯს აკრიტიკებს. თემურ შაშიაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, ადა მარშანია, რუსუდან მოლოდინიშვილი, დიმიტრი ჯაიანი... ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც ახალი მმართველი ძალის გასაკრიტიკებლად შემოკრბნენ და გუშინ ერთ ჭერქვეშ შეიკრიბნენ.*

იმას, რომ 15 მარტს ბათუმში ასლან აბაშიძის საწინააღმდეგო დიდი საპროტესტო აქცია იგეგმება, ზემოთდასახელებული პირები საკმაოდ გააღიზიანა. **"პოლიტიკოსებმა საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგეს და ტერიტორიებზე კონტროლის დაწესებას ცდილობენ,"** - წუხს თემურ შაშიაშვილი, რომლის სახლშიც გუშინ, აღნიშნული პოლიტიკოსების მონაწილეობით, ერთგვარი სალონური შეხვედრა გაიმართა.

იმერეთის ყოფილ გუბერნატორზე გაცილებით რადიკალურია ახლახან გასოციალისტებული ადა მარშანია. მისი თქმით, 15 მარტს აჭარაში დიდი სისხლისღვრა მზადდება და ამის თავიდან ასაცილებლად... კანცელარიის წინ მიტინგის ჩატარებას აპირებს. **"ხალხმრავალი აქცია მოვაწყოთ და პრეზიდენტს მივადგეთ. მარტოც რომ ვიყო, თხუთმეტში აუცილებლად დავდგები კანცელარიასთან,"** - აცხადებს მარშანია, რომელიც ნატრობს, რომ ასლან აბაშიძის მსგავსი ავტორიტარული რეჟიმი აფხაზეთშიც არსებობდეს. პარლამენტარ ქალბატონს ერთი საკმაოდ უცნაური ჩანაფიქრიც ჰქონია.

**"მე აჭარაში წავალ საცხოვრებლად და პირობას დავდებ, რომ იქ პოლიტიკურ საქმიანობას არ ვაწარმოებ,"** - აღნიშნავს მარშანია. პოლიტიკურ სპექტრს ის "უნიათოსა" და "ლაჩარს" უწოდებს და გაოცებულია, **"როგორ უთმენს ამდენს მოძალადე ხელისუფლებას"**.

გუშინდელი შეხვედრის დანარჩენმა მონაწილეებმა მარშანიას მკვეთრ გამოსვლას ბოლომდე არ აუბეს მხარი, რამაც აფხაზი ქალბატონი ძალიან გაანაწყენა. **"მე აქ დიდი იმედით მოვედი, მაგრამ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა,"** - გულდაწყვეტით განაცხადა მარშანიამ და, პროტესტის ნიშნად, "სალონი" დატოვა.

ქალბატონი ადა მართლაც დროულად წაბრძანდა, თორემ მის შემდეგ სიტყვით გამოსული რამაზ საყვარელიძისთვის რომ მოესმინა, ალბათ, გული გაუსკდებოდა: ამ უკანასკნელის მტკიცებით, ხელისუფლების რეიტინგი დღეს საკმაოდ მაღალია და, სხვადასხვა გამოკითხვების მიხედვით, 44-დან 60 პროცენტამდე მერყეობს, მაშინ, როდესაც დანარჩენი პარტიებისადმი ნდობა ორ-სამ პროცენტს არ აღემატება. **"მოსახლეობამ ამ ხელისუფლებას მისცა ხმა და დღემდე მას უჭერს მხარს. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ,"** - აცხადებს საყვარელიძე. იგი "თანასალონელების" შეშფოთებას, 15 მარტის ამბებთან დაკავშირებით, გაზვიადებულად მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ამ დღეს ბათუმში არანაირი სისხლისღვრა არ მოხდება.

ამასთან, საყვარელიძე სულაც არ ცდილობს, რომ დღევანდელი ხელისუფლების ყველა ნაბიჯი გაამართლოს. **"ეკლესიაში რომ "გრუზავიკით" შევარდება, იმ ხელისუფლებას ჭკუა მოეკითხება?"** - ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების დეტალები საყვარელიძეს ძალიან აღიზიანებს.

მისი ეს ბოლო პასაჟი გუშინდელი შეხვედრის მონაწილეებმა სიამოვნებით აიტაცეს. როგორც ირკვევა, თემურ შაშიაშვილი განსაკუთრებით "კმარელებზე" ყოფილა "აცრილი".

**"მე არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანაში "კმარას" იდეოლოგია არსებობდეს. თავს უბედურად ჩავთვლი, თუ ჩემს სანათესაოში ერთი "კმარელი" მაინც გამოერევა,"** - აცხადებს შევარდნაძის ყოფილი გუბერნატორი. გუშინ მან საზოგადოებას ისიც აუწყა, რომ იქმნება "ღირსებისა და ტრადიციების დარბაზი", რომელსაც სათავეში მწერალი გურამ დოჩანაშვილი ჩაუდგება.

*გიორგი ასანიშვილი*

# საქართველოს პრეზიდენტი სომხეთს ეწვია

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკას ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის საათნახევრიანი პირისპირ შეხვედრა სომეხ კოლეგასთან რობერტ ქოჩარიანთან. გაიმართება ასევე მოლაპარაკებები ქართული დელეგაციის წარმომადგენლებსა და სომხურ მხარეს შორის.

ვიზიტის პირველ დღეს მიხეილ სააკაშვილმა სომეხი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი მოინახულა, გვირგვინით შეამკო და ხე დარგო. მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტი სომხეთის ეროვნული კრების (პარლამენტის) სასახლეში კრების თავმჯდომარეს, ართურ ბაღდასარიანს შეხვდა. გუშინვე გაიმართა დიალოგი სააკაშვილსა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ანდრანიკ მარგარიანს შორის. დღეს საქართველოს პრეზიდენტი ეჩმიაძინს ესტუმრება, სომეხთა კათალიკოსს გარეგინ მეორეს შეხვდება, განძეულსა და საკათედრო ტაძარს დაათვალიერებს. იგი, ასევე, მოინახულებს სერგო ფარაჯანოვის მუზეუმს.

საქართველოს პრეზიდენტი თბილისში შაბათს, დღის მეორე ნახევარში დაბრუნდება.

*ინტერ-პრესი*

# ინტერპოლის ქართულ ბიუროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

შს მინისტრის მოადგილემ ირაკლი კლდიაშვილმა ინტერპოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებს ახალი უფროსი დავით ღლონტი წარუდგინა.

დავით ღლონტი ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე შს სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მაგისტრატურა და აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ეროვნული აკადემია აქვს დამთავრებული. შს სამინისტროს "ინტერპოლის" ეროვნულ ბიუროში ღლონტმა სამი წელი იმუშავა. „დავით ღლონტს აქვს ყველა ის თვისება, რაც უნდა ჰქონდეს ამგვარ თანამდებობაზე დანიშნულ ადამიანს", — განაცხადა კლდიაშვილმა ღლონტის წარდგენისას. დავით ღლონტის თქმით, იგი, პირველ რიგში, ინტერპოლის ეროვნული ბიუროს სტრუქტურას გაეცნობა და გადაწყვეტს, რა მიმართულებით უნდა გააქტიურდეს მუშაობა. ინტერპოლის ეროვნული ბიუროს ახალი უფროსის თქმით, ბიუროს მუშაობა ბოლო დროს პასიური იყო. ეს ორგანიზაცია მსოფლიოში სიდიდით მეორეა (180 ეროვნული ბიურო აქვს) და, შესაბამისად, დიდი პოტენციალი აქვს. ინტერპოლის ეროვნულ ბიუროს ბოლო პერიოდში კახა ბაკურაძე ხელმძღვანელობდა. იგი, ჯერჯერობით, კადრების განკარგულებაში იმყოფება.

*მედია-ნიუსი*

# ასლან აბაშიძის ბანაკს ყველაზე საიმედო ქვედანაყოფები ტოვებენ

ასლან აბაშიძის ბანაკს მისი ყველაზე საიმედო ქვედანაყოფები ტოვებენ. აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული ინფორმირებული წყაროს ცნობით, ასლან აბაშიძის უსაფრთხოებისთვის 90-იან წლებში რუსი გენერლის ნეტკაჩოვის მიერ შექმნილ, სწრაფი რეაგირების 400-კაციან რაზმში გაერთიანებულმა 60–კაციანმა ჯგუფმა "ზენიტმა" გუშინწინ დისლოკაციის ადგილი დატოვა და დაიშალა.

იმავე წყაროს ცნობით, ყველაზე ძლიერი და საიმედო მებრძოლებით დაკომპლექტებული ჯგუფი "ზენიტი" აბაშიძის ხელისუფლებისა და მისი პირადი დაცვის სამსახურის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა.

სახლებში დაბრუნებულ, სწრაფი რეაგირების რაზმის ყოფილ წევრთა განმარტებით, მათ რაზმი აჭარაში პოლიტიკური ვითარების გამწვავების გამო დატოვეს და "არ სურთ იმ სადამსჯელო ოპერაციებში მონაწილეობა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება რეგიონის მოსახლეობის წინააღმდეგ გეგმავს".

გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარა" სწრაფი რეაგირების რაზმის წევრთა მიერ "ზენიტის" მიტოვებას მიესალმება. მოძრაობის ლიდერთა მტკიცებით, რაზმის წევრთა სახით, ასლან აბაშიძეს "პროფესიონალი ჯარისკაცები მოაკლდა, რომელთა შესაძლებლობები აბაშიძის ოპოზიციამ გასული წლის 22 ოქტომბერს, ბათუმში მიტინგის დარბევისას საკუთარ თავზე იწვნია". მათივე განმარტებით, მაშინ "ზენიტის" ჯგუფმა ოპოზიციის მრავალათასიანი მიტინგი 20 წუთში დაშალა.

დაზუსტებული მონაცემებით, აჭარაში მოქმედი 3000-კაციანი სამთავრობო დაცვა, იმავე მიზეზით, 1000-ზე მეტმა თანამშრომელმა დატოვა და ამჟამად დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს მისი შევსება რაიონებში მცხოვრებთა ხარჯზე.

*ინტერ-პრესი*

# რუსეთი აჭარაში ბაზებს აძლიერებს

აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის მოთხოვნით, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო აჭარაში განლაგებულ, რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზას ცოცხალი ძალითა და ტექნიკით აძლიერებს.

აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, 4 მარტს, ღამის საათებში მოსკოვის მახლობლად მდებარე ჩკალოვის სამხედრო აეროპორტიდან ბათუმში, ЯК-40 ტიპის თვითმფრინავით, 100 სპეცრაზმელი ჩაიყვანეს. ბათუმში ამ თვითმფრინავით სამხედრო ტექნიკა და იარაღიც ჩაიტანეს. ამავე რაოდენობის სპეცრაზმელები და ტექნიკა რუსეთიდან ბათუმში 10 მარტსაც გადაისროლეს.

იმავე წყაროს ცნობით, სპეცრაზმელთა უმრავლესობას არარუსული, კერძოდ, ყალმუყური წარმოშობის სნაიპერები წარმოადგენენ, რომლებიც ბათუმის ქუჩებში სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულები მოძრაობენ და წვრთნებს გონიოს პოლიგონსა და რუსული სამხედრო ბაზის სასროლეთებზე გადიან.

გუშინ დილით სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებული გიუმრის რუსული სამხედრო ბაზიდან ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზაზე 80 ჯარისკაცი ჩაიყვანეს. მათი უმრავლესობა ახალწვეულია.

*ინტერ-პრესი*

# "რუსეთი ვალდებულია, დაიცვას აჭარა"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ასლან აბაშიძე ამტკიცებს, რომ მარტის შუა რიცხვებში საქართველოს ხელისუფლება აჭარაში ე.წ. "ვარდების რევოლუციის" განმეორებას შეეცდება. "ამ პირობებში რუსეთი, უბრალოდ, ვალდებულია, დაიცვას აჭარა", - განუცხადა ასლან აბაშიძემ "ინტერფაქსს".

აჭარის ლიდერი ფლობს "სარწმუნო" ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს, "ყველა რეგიონიდან 100 ათასი ადამიანი შეკრიბოს და ისინი 14-15 მარტს მარშით ბათუმისკენ გაგზავნოს". აბაშიძის თქმით, წინ ქალებს დააყენებენ, რომლებსაც დაპირისპირების შემთხვევაში "ცოცხალ ფარად" გამოიყენებენ, შემდეგ კი აჭარის ხელისუფლებას სისასტიკეში დაადანაშაულებენ.

"ისინი ჩამოვლენ, რათა იგივე გააკეთონ, რაც გააკეთეს თბილისში," - აცხადებს აბაშიძე, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში აქვს შარშან ნოემბერში დატრიალებული მოვლენები, როცა ოპოზიციის ზეწოლით ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს პრეზიდენტის პოსტი დატოვა.

"მე გარწმუნებთ, აქ ეს არ გამოვა", - განაცხადა ავტონომიის მეთაურმა. მან აღნიშნა, რომ აჭარის მცხოვრებლები "მზად არიან, დაიცვან კონსტიტუცია, კონსტიტუციური წყობა და წუთითაც არ შედრკებიან".

აჭარის ლიდერმა ისიც აღნიშნა, რომ არსებობს ყარსის ხელშეკრულება, რომლითაც თურქეთის მხარეს აღებული აქვს ვალდებულება, დაიცვას აჭარის რესპუბლიკის ავტონომია.

"ყარსის ხელშეკრულებამდე იყო მოსკოვის ხელშეკრულება - იქაც იგივე ვალდებულებაა. ამ ხელშეკრულებით, რუსეთი ვალდებულია ეს გააკეთოს", - განაცხადა ასლან აბაშიძემ.

*ინტერ-პრესი*

# მოსკოვი შეშფოთებულია

მოსკოვი შეშფოთებულია თბილისის განზრახვით, "თავისი ადგილი მიუჩინოს აჭარას" და იმით, რომ მიმდინარეობს "საქართველოს ძალოვანი ქვედანაყოფების შესაბამისი მომზადება და მანიფესტაციების გარედან დაფინანსება ბათუმის კანონიერი ხელისუფლების დამხობის მიზნით", - ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში.

რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყება ადასტურებს, რომ მისი "პრინციპული პოზიციაა, აჭარასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარდეს.

მოსკოვი მიიჩნევს, რომ სხვადასხვაგვარი ულტიმატუმების წამოყენება და ძალის გამოყენების მუქარა "ქაოსს და შინაომს" გამოიწვევს. "ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა არ დავუშვათ უპასუხისმგებლო მოქმედება, რომელსაც ისედაც დაძაბული ვითარების პირობებში არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად რეგიონში სტაბილურობისთვის, შეიძლება, ყველაზე სერიოზული შედეგები მოჰყვეს," - ნათქვამია ცნობაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ "საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის დაძაბულობა ბოლო დროს ძლიერდება და საშიშ ზღვარს უახლოვდება... ამასთან, ყოველივე ეს უკავშირდება 28 მარტს საქართველოში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს. რა თქმა უნდა, ვითარების ამგვარმა განვითარებამ არ შეიძლება, შეშფოთება არ გამოიწვიოს"

ერთი კვირის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ აჭარაზე კონტროლის დამყარებას აპირებს. "კმარა თვითნებობა, უკონტროლობა და განუკითხაობა! მე შევარდნაძე არ ვარ და საქართველოს დანაწევრებას და დანგრევას არ ვაპირებ. ძველი სიმღერები, თითქოს საქართველოს პრეზიდენტს წესრიგის დამყარება სურს და ეს კრიმინალია, აღარ გავა!" - თქვა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა ამგვარი კომენტარი გაუკეთა აჭარის ავტონომიის ლიდერის ასლან აბაშიძის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა აჭარაზე "ტოტალური კონტროლის" დამყარებას ცდილობს".

*ინტერ-პრესი*

# კახელი სტუდენტები ავტონომიის წინააღმდეგ

კახელმა სტუდენტებმა აჭარის მეთაურის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გაილაშქრეს. გუშინ მათ კმარას აქტივისტებთან ერთად თელავის უნივერსიტეტის შენობაზე, სხვა რეგიონების მსგავსად, ავტონომიური რესპუბლიკის გერბშეცვლილი დროშა აღმართეს. ვარსკვლავების ნაცვლად დროშაზე ვარდები იყო გამოსახული. ამ ფაქტს სტუდენტები ასე ხსნიან: **"იმედია, ამ აქციას შედეგი მოჰყვება, რადგან საქართველო არის ერთი და ავტონომია საჭირო არ არის"**, - ამბობენ კახელი სტუდენტები.

იმის გამო, რომ რეგიონის ახალგაზრდებმა მოძმე აჭარელები დაიცვან, ისინი არ გამორიცხავენ, რომ ბათუმისაკენ დაიძრან: **"კმარა აბაშიძის დიქტატურა. ბოლო უნდა მოეღოს იმას, რაც ბათუმში ხდება. ჩვენ ყველა ერთი ერის შვილები ვართ და არ დავუშვებთ უსამართლობას"**, - აცხადებენ კახელი კმარელები.

# "მარიოტის" სადილი "კათარზისში"



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მოხუცებს მოსწონთ მენიუ.*

*სათნოების სახლ "კათარზისში", რომელიც დავით აღმაშენებლის №121 მდებარეობს, დღეში, დაახლოებით, 355 ადამიანი სადილობს. გუშინ მოხუცებს სასტუმრო "თბილისი მარიოტისა" და "ქორთიარდ მარიოტის" შეფ-მზარეულები მასპინძლობდნენ. ნიგვზიანი ხარჩო, პიურე სოუზით, ორნაირი ნამცხვარი, "სანტეს" პროდუქტები, ხილი და ნატურალური წვენი – აი, იმ მენიუს ჩამონათვალი, რომელიც გუშინ "კათარზისში" მისულ მოხუცებს დახვდათ.*

ასობით მოხუცებულისთვის "კათარზისი" თავის რჩენის ერთადერთი საშუალებაა, ათობით ადამიანისთვის კი - იძულებითი თავშესაფარი. 77 წლის აზა პაპახჩიანი ამ სახლს მისი დაარსების დღიდან სტუმრობს. იგი ძველი მსახიობია და აქვე არსებულ ვოკალურ ანსამბლ "მუზაში" მღერის. ახალგაზრდობაში შესრულებული რამდენიმე როლის შემდეგ ქალბატონ აზას ახლახან კვლავ მიეცა შესაძლებლობა ეკრანზე გამოჩენილიყო. იგი თემურ თათარაშვილის რამდენიმე კლიპში გადაიღეს. ანსამბლის წევრებს კვირაში სამი დღე რეპეტიციები აქვთ, თვეში ერთხელ კი კონცერტს მართავენ, რომელსაც უამრავი მაყურებელი ესწრება. ანსამბლის ხელმძღვანელი აკაკი დოლიძეა. მან ეს მისია იკისრა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, საკუთარი ინიციატივით. ანსამბლის რეპერტუარში, ქართული სიმღერის გარდა, იტალიური და ფრანგული საოპერო არიებიც შედის.

"კათარზისში" თეატრალური წრეც ფუნქციონირებს, რომელსაც "ნოსტალგიის თეატრი" ჰქვია. ახლო მომავალში ამ თეატრის რეჟისორი ეთერ ლორთქიფანიძე ახალ სპექტაკლს - აკაკი წერეთლის "კინტოს" დადგამს. რეჟისორის თქმით, სპექტაკლში მონაწილეობის მსურველი ძალზე ბევრია. ამიტომაც, მან ნაწარმოები ოდნავ შეცვალა და, ერთი ქალის ნაცვლად, სპექტაკლში რამდენიმე ჩართო. პრობლემა მხოლოდ ერთია - მოხუცებს ტექსტის დამახსოვრება უჭირთ და რეპეტიციები დიდხანს გრძელდება. რომ არა ასეთი კულტურული ღონისძიებები, ბევრისთვის ცხოვრება გაუსაძლისი იქნებოდა.

გუშინ ფოიეში შეგროვილი მოხუცებისთვის ერთადერთი საფიქრალი სასადილოში შეღწევა იყო - იქ მრავალფეროვანი და ლამაზად გაფორმებული სადილი ეგულებოდათ. სასტუმრო "მარიოტიდან" მოწვეული მზარეულები თავად ემსახურებოდნენ მოხუცებს და უამრავი დასახელების საჭმელს სთავაზობდნენ. როგორც "კათარზისის" პრეზიდენტმა ზაალ ალადაშვილმა გვითხრა, მსგავსი საქველმოქმედო აქციებით ამ სახლის ბინადარნი ნამდვილად არ არიან განებივრებულები. ასეთი რამ მხოლოდ "ღია კარის დღეს" ხდება, როდესაც რომელიმე ორგანიზაცია პროდუქტებით ან ტანსაცმლით ამარაგებს მოხუცებს. სასტუმრო "თბილისი მარიოტისა" და "ქორთიარდ მარიოტის" საკადრო რესურსების მენეჯერი მაია წერეთელი მოხუცებს დაჰპირდა, რომ მსგავს ღონისძიებებს ისინი მომავალშიც გამართავენ.

*თამარ დვალი*

# კუპატაძეს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

გუშინ თელავის რაიონულმა სასამართლომ შპს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" გენერალურ დირექტორს მალხაზ კუპატაძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. უნდა აღინიშნოს, რომ კუპატაძე კახეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ჯგუფმა სხვისი ქონების მიტაცებაში ამხილა. საქმე ეხება 600 ათასი ლარის გაფლანგვას. გამომძიებელი სანდრო გიოშვილი არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული თანხა ერთი-ორად გაიზარდოს. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, ამ საქმეში ლევან თედიაშვილიც მოიაზრება, სწორედ ამის გამო იგი ორი დღის წინ ს.ს "კახეთის პურის" საქმესთან ერთად, ამ ფაქტთან დაკავშირებითაც დაიკითხა. უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ეს საწარმო ოლიმპიურ ჩემპიონს ეკუთვნოდა. თუმცა ამ ფაქტს, ჯერჯერობით, კახეთის სამხარეო პროკურატურაში არ ახმაურებენ. მხოლოდ იმას ამობობენ, რომ გამოძიება პარალელურად დაინტერესებულია თედიაშვილის ფირმა "თაქლას" საქმიანობით. თავად თედიაშვილი კი 28 მარტის შემდეგ "თაქლას" აღორძინებას აპირებს: **"მე არ მქონდა იმის დრო, რომ ჩემი ბიზნესისთვის მიმეხედა და ამის გამო იყო 3 წელი ფირმა შეჩერებული. ახლა კი, როცა ახალი პარლამენტი მოვა, მე ჩემს საბიზნესმენო საქმიანობას დავუბრუნდები"**, - აცხადებს თედიაშვილი.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

# და-ძმა შევარდნაძეებმა დანაპირები შეასრულეს

ედუარდ შევარდნაძის სიძის გია ჯოხთაბერიძის დასაცავად უცხოელი ადვოკატების მოწვევაზე განცხადებები პროცესის მიმდინარეობისას გაკეთდა. გია ჯოხთაბერიძის საქმეში უკვე ჩაერთვნენ უცხოელი ადვოკატები; კერძოდ, ჯოხთაბერიძის დაცვას საერთაშორისო სამართლის კომპანიის "ჰოვინგთონ ენდ ბერლინგის" ლონდონის ოფისის ხელმძღვანელი ჯონ რაფი და ამავე ფირმის იურისტი ჯონ სმიტი შეუდგებიან. გუშინ სასტუმრო "მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატებმა პრესის წარმომადგენლებს საკუთარი თავი და კომპანია გააცნეს და ჯოხთაბერიძის საქმესთან დაკავშირებით პოზიციები დააფიქსირეს. ჯონ რაფი დარწმუნებულია გია ჯოხთაბერიძის წინააღმდეგ წაყენებული საგადასახადო ბრალდებების უსაფუძვლობაში და აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ელემენტარულ გაუგებრობასა და ინფორმაციის ნაკლებობას. ჯონ რაფს ჯოხთაბერიძის უდანაშაულობის დამტკიცება საკმაოდ მარტივად წარმოუდგენია და აცხადებს, რომ ამისათვის ყველა საჭირო მტკიცებულება გააჩნია, ხოლო საქართველოს მთავრობას ჯოხთაბერიძის საქმის გამოთხოვას ურჩევს.

**"ჩვენი საქართველოში ჩამოსვლის მიზანია, ვაჩვენოთ საქართველოს მთავრობას, რომ ჯოხთაბერიძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების გაუქმება პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ წარმართულ ანტიკორუფციულ კამპანიას შეუწყობს ხელს,"** - განაცხადა უცხოელმა ადვოკატმა და ჯოხთაბერიძის საქმესთან დაკავშირებით ოფიციალურ პირებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

*ინტერ-პრესი*

# საოლქო სასამართლო განაჩენებს არ ცვლის

გუშინ საოლქო სასამართლოში გამართული ორი სასამართლო პროცესი ერთნაირი შედეგით დასრულდა - ადვოკატების შუამდგომლობა არც ერთმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. რამდენიმე კვირის წინ, თბილისში, იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დაკავებული ბათუმელი სტუდენტის მერაბ მიქელაძისთვის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მოსამართლემ ძალაში დატოვა.

გუშინ, საოლქო სასამართლოში, ბონდო შალიკიანის მომხრეთა საპროტესტო აქციის ფონზე კიდევ ერთი პროცესი შედგა და ადვოკატთა შუამდგომლობა არც ამ შემთხვევაში დაკმაყოფილებულა. იარაღისა და ფეთქებადი მასალის უკანონო შენახვაში ბრალდებული ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი კვლავ წინასწარ სამთვიან პატიმრობაში დარჩა.

შალიკიანის ადვოკატები მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს განაჩენსა და ცესკო-ს მიერ შალიკიანისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნას ასაჩივრებდნენ. გარდა ამისა, აცხადებენ, რომ ჩხრეკა-ამოღების ოქმი კანონის ნორმების იგნორირებით დაიწერა. ბონდო შალიკიანის ადვოკატების განცხადებით, სასამართლო პროცესში ადვოკატის მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა, რადგან მოსამართლემ მათი არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

*24 საათი*

# ენერგეტიკის ომბუდსმენი მომხმარებელსაც იცავს და დარგსაც

"თბილგაზის" სათაო ოფისთან ბუნებრივი აირის ქვითრებში არსებული გაუგებრობების გასარკვევად მომხმარებლებს რიგში დგომა აღარ მოუწევთ. ენერგეტიკაში მომხმარებელთა ომბუდსმენმა დავით ებრალიძემ და "თბილგაზის" ხელმძღვანელებმა შეთანხმებას მიაღწიეს და ქვითრებში არსებული გაუგებრობების გარკვევის ვადა ორი თვიდან ერთ წლამდე გაიზრდება. როგორც ებრალიძემ განაცხადა, მომხმარებელმა მიმდინარე დავალიანება უნდა დაფაროს, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ქვითარში მითითებული ძველი დავალიანების ირგვლივ არსებული გაუგებრობა შეუძლია, ერთი წლის განმავლობაში გაარკვიოს. "ამასთან, კომპანიაში მომხმარებელს ყველა ძველი ქვითრის წარდგენა აღარ მოუწევს, მთავარია, მან "თბილგაზში" ბოლო ქვითარი მიიტანოს. თუ ამ ქვითარში ძველი დავალიანების შესახებ არაფერი იქნება მითითებული, მაშინ მომხმარებელი მხოლოდ მიმდინარე დავალიანებას გადაიხდის,"- განაცხადა ებრალიძემ. მისი თქმით, სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის შესაბამისად, ვალის არსებობის შესახებ მტკიცებულების ტვირთი "თბილგაზს" აკისრია. "მომხმარებელი ვალდებული არა არის, "თბილგაზში" თავისი სიმართლე დაამტკიცოს; პირიქით, დავალიანების არსებობის დადასტურება კომპანიას მოუწევს,"- აღნიშნა ებრალიძემ. "თბილგაზმა" მომხმარებელთან ქვითრებით ურთიერთობა 1 თებერვლიდან დაიწყო. ქვითრებში ხშირად ძველ დავალიანებად არის მითითებული თანხები, რომელიც მომხმარებელმა უკვე გადაიხადა. არსებული გაუგებრობების გასარკვევად მომხმარებელი იძულებულია, "თბილგაზის" სათაო ოფისს მიაკითხოს.

გარდა ამისა, ებრალიძე ხადორჰესის პრობლემასაც ეხმაურება, პანკისის ხეობაში მის მშენებლობას შეცდომად მიიჩნევს და იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმას ითხოვს, რომლებიც ჰესის მშენებლობას კურირებდნენ. როგორც ებრალიძემ განაცხადა, "ლობისტების დახმარებით ჩინურ მხარესთან კაბალური ხელშეკრულება გაფორმდა", რომელშიც ჰესის ტარიფად თავიდანვე 4,5 ცენტი იყო გათვალისწინებული. "თუ ეს ტარიფი დამტკიცდა, ენერგეტიკა დაზარალდება და დარგს მძიმე ტვირთად დააწვება," – აღნიშნა მან. ებრალიძის შეფასებით, "გააზრებულად თუ გაუაზრებლად სახელწიფომ ჩინელების წინაშე ვალდებულება აიღო", ამიტომ გაზრდილი ტარიფის კომპენსაცია მთავრობამ უნდა განახორციელოს. "მომხმარებელს ჰესის გამო გაზრდილი ტარიფი არ უნდა დააწვეს," – მიაჩნია ენერგეტიკაში მომხმარებელთა ომბუდსმენს.

*ინტერ-პრესი*

# "შაორჰესის" მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა "შაორჰესის" გაფიცული თამანშრომლებისთვის 3-თვიანი სახელფასო დავალიანების გასასტუმრებლად 40 ათასი ლარის გამოყოფის გადაწყვეტილება მიიღო. ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ამ თანხას ჰესი ბაზრის მიერ წლის დასაწყისში დამტკიცებული მოდელის მიხედვით მიიღებს. ეს მოდელი კი გულისხმობს, რომ ჰესმა ეს თანხა ერთგვარი კრედიტის სახით მიიღო და ის სამ თვეში უნდა დააბრუნოს. თუ თანხების მობილიზაცია ვერ მოხერხდა, მაშინ გაქვითოს თავისი ელექტროენერგიით. გასანაწილებელი თანხის 5 პროცენტის "კრედიტში" გაცემის გადაწყვეტილებას საბითუმო ბაზარი, თანხების განაწილების ახალი მოდელის თანახმად, მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში იღებს. ასეთი სიტუაცია "შაორჰესის" თანამშრომლების რამდენიმე დღიანმა გაფიცვამ წარმოქმნა. **"რა თქმა უნდა, ეს თანხა დააკლდათ ბაზრის სხვა წევრებს, მაგრამ მათივე ნებართვით,"** – დააკონკრეტეს საბითუმო ბაზარში.

პერმანენტული სახელფასო დავალიანებების პრობლემის მოგვარება "შაორჰესის" ხელმძღვანელობას ზესტაფონის "ფეროსთან" პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმების გზით სურდა. იგივე მოთხოვნა ჰქონდა იმერეთის დანარჩენ ჰესებს – "ტყიბულჰესს", "ლაჯანურჰესს", "გუმათჰესსა" და "რიონჰესს", თუმცა საბითუმო ბაზრის აღმსასრულებელმა საბჭომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. **"საბაზრო წესებით, ბაზარი ვალდებულია, პროპორციულად გაანაწილოს ბაზრის ანგარიშზე შემოსული ნებისმიერი თანხა. თუ ეს ჰესები "ფეროსთან" კონტრაქტს ახლა გააფორმებენ, ენერგობალანსი დაირღვევა და ბაზრის სხვა სუბიექტებს თანხები დააკლდებათ,"** – აცხადებენ ბაზარში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პირდაპირი ხელშეკრულებების ქაოსურ პრაქტიკას ალმაცერად უყურებენ ენერგოსექტორის დონორებიც. ამის გამო არ არის გამორიცხული, ეს პრაქტიკა საერთოდ გაუქმდეს.

გუშინვე, საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ ბაზრის წევრთა რიცხვი ორი სუბიექტით გაიზარდოს: ბაზარმა თავის წევრად მიიღო ელექტრომაწარმოებელი "კახრეთჰესი" და პირდაპირი მომხმარებელი შპს "გონი". საბოლოოდ, საბითუმო ბაზრის წევრთა რიცხვი დღეისათვის 134-ს შეადგენს.

**24 საათი**

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** აჭარაში გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი აქტივისტი ვაჟა თავართქილაძე დააკავეს. აჭარელი სამართალდამცველები დაკავებულს იარაღის უკანონო ტარებას ედავებიან. თუმცა, როგორც "ჩვენი აჭარის" კოორდინატორი თამაზ დიასამიძე აცხადებს, ადგილობრივმა სამართალდამცველებმა თავად ჩაუდეს დაკავებულს "ვოლტერის" ტიპის პისტოლეტი. მისივე თქმით, პროფესიით ლიტერატორ თავართქილაძეს არანაირი კრიმინალური წარსული არ ჰქონია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთს ურჩევს, თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობებში ჩარევისაგან თავი შეიკავოს. "დარწმუნებული ვარ, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ყველა ზომას იხმარს, რომ ამგვარი ჩარევა არ მოხდეს. თუმცა, თუ რომელიმე სამხედრო პირი მოისურვებს და რაიმე ხერხით ეცდება, აჭარაში მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენა მოახდინოს, ის ისეთ პასუხს მიიღებს, რომ კარგახანს გონს ვერ მოვა," - განაცხადა გუშინ სომხეთის რესპუბლიკაში გამგზავრებამდე საქართველოს პრეზიდენტმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ მიხეილ სააკაშვილმა გლდანის ეკლესიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ სამართალდამცველები გლდანის ეპარქიის წინამძღვრის ბასილ მკალავიშვილის დაკავებისას სრულიად კანონიერად მოქმედებდნენ. "ჩემი ამოცანაა, მართლმადიდებლობა გაძლიერდეს, თუმცა - არა ისეთი ექსტრემისტული ფორმებით, როგორც ამას მკალავიშვილი აკეთებდა. არანაირი მართლმადიდებლობა არაა, როდესაც თავში ჯვარს ურტყამენ," - დასძინა პრეზიდენტმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის მონაცემებით, სახელისუფლებო წრეებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის შეცვლა იგეგმება. ეს განცხადება "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე გააკეთეს. მათი თქმით, პატრიარქის შეცვლის ვარიანტები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, ბოლო ოთხი თვეა, მუშავდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ორდღიანი სამუშაო ვიზიტით იტალიაში გაემგზავრა. იგი მონაწილეობას მიიღებს ევროსაბჭოს "ვენეციის კომისიის" 580-ე პლენარული სხდომის მუშაობაში. "ვენეციის კომისიის" სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილება საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც სხდომის დღის წესრიგში რიგით მერვეა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თბილისში 15 მარტს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ასლან აბაშიძის მიერ თბილისთან ურთიერთობების გასარკვევად მოსკოვისადმი მიმართვას "სამშობლოს ღალატის ტოლფასად" აფასებს და დარწმუნებულია, რომ აჭარის ლიდერი რუსეთისგან დახმარებას ვერ მიიღებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




## ნაკლებად ცნობილი მხარეები ბათუმის ნავთობის ტერმინალის შესახებ

ბათუმის ნავთობის ტერმინალის 95 %-ის მფლობელი უცხოელებია. მესაკუთრეებმა შეიტანეს შეერთებული შტატების კომბინირებული კერძო კაპიტალი (თავიდანვე OPIC-ის - აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია - მიერ დაფინანსებული), ისევე როგორც შვეიცარიელმა და დანიელმა ინვესტორებმა.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ნავთობტერმინალს საქართველოში. ამ უკანასკნელის შემდეგ ადგილს იკავებენ სუფსისა და ფოთის ტერმინალები.

ბათუმის ნავთობის ტერმინალი ფლობს ნავთობპროდუქტების თითქმის 60 %-ს, რომელიც საქართველოს ნავთობის სატრანზიტო კორიდორით გადის მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში იტვირთება მხოლოდ სარკინიგზო ხაზით შემოსული 17 სხვადასხვა სპეციფიკაციის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ის არც არსებულ და არც სამომავლოდ დაგეგმილ რეგიონალურ მილსადენებს არ უწევს კონკურენციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელებმა 1999 წლიდან საქართველოში 75 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დააბანდეს. აქედან 52 მილიონი აშშ დოლარი დაეთმო ტერმინალის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალში დასაქმებულია 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და ის აფინანსებს არაერთ სოციალურ და საქველმოქმედო პროგრამას.

ბათუმის ნავთობის ტერმინალის მფლობელები 2004 წლის ბოლოსათვის დაასრულებენ 5 წლიან საინვესტიციო პროგრამას საქართველოში. მათ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ დაბანდებული ამ ქვეყანაში.



### გადატვირთვის მოცულობები




### გადატვირთვის ტარიფები




## ბათუმი ოილ ტერმინალ ლიმიტედი

**ბათუმი**
მაიაკოვსკის ქ. 4
ბათუმი, საქართველო
ტელ.: + 995 222 760 06
ფაქსი: + 75 01 940 45 07

**ლონდონი**
გროვენორის ქ. 18
ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
ტელ.: + 44 20 76 29 18 18
ფაქსი: + 44 20 74 99 84 35

**თბილისი**
თავისუფლების მოედანი, 4
თბილისი, საქართველო
ტელ.: + 995 32 922 567
ფაქსი: + 995 32 922 569

# როცა ქართველი და გერმანელი ფერმერი ერთმანეთს გაუტოლდება

პირველი გვერდიდან

### გადამამუშავებელი მრეწველობა

მინისტრს მიაჩნია, რომ გადამამუშავებელი მრეწველობა, ზოგადად, მძიმე მდგომარეობაშია. იგი ამბობს, რომ სოფლის მეურნეობაში არსებული სერიოზული პრობლემები მეტწილად გაპირობებულია იმით, რომ ქვეყანაში არ გვაქვს გადამამუშავებელი მრეწველობა.

**"ჩვენ ვაპირებთ, დავიწყოთ გადამამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაციის პროგრამის დამუშავება; ვაპირებთ, მივმართოთ ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, რათა მოგვაწოდონ წინადადებები. გადამამუშავებელი მრეწველობა არის შუამავალი პირველად წარმოებასა და ბაზარს შორის. ვიცი, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი პროექტია შექმნილი. ალბათ, ჩვენი დახმარებით უნდა მოხდეს ამ პროექტების წარდგენა მძლავრ საფინანსო ინსტიტუტებთან",** - ასე წარმოუდგენია დავით შერვაშიძეს სამინისტროს როლი.

თუმცა, აქვე იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოში არსებული ძველი გიგანტების რეაბილიტაცია არასწორი იქნება, რადგან ეს იქნება დაკავშირებული უზარმაზარ ინვესტიციებთან.

**"ვფიქრობ, რომ უპირატესობა უნდა მიეცეს რეგიონების დონეზე წვრილი და საშუალო გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედებას. ეს არ უნდა მოხდეს მხოლოდ თბილისის შემოგარენში, არამედ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, მაგალითად, მთიან რეგიონებსა და სხვებს",** - ამბობს მინისტრი.

მასთან საუბარში ირკვევა, რომ ჯერჯერობით - ათწლიანი დამოუკიდებლობის განმავლობაში არ არის შესწავლილი, თუ რომელ რეგიონში რა სახის წარმოების განვითარება იქნებოდა პრიორიტეტული:

**"არსებობდა გადამამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაციის პროგრამა, მაგრამ მას ძირეული გადახედვა სჭირდება. უნდა იყოს შესწავლილი ეს საკითხი რეგიონალურ ჭრილში, თუ, მაგალითად, რაჭაში შეიძლება ძალიან აქტუალური იყოს ღვინის თემა - ალექსანდრიულის და მუჟურეთულის წარმოება, ქართლის რაიონებში შეიძლება მეტი პერსპექტივა ჰქონდეს ხილის გადამუშავებასა და მეცხოველეობას",** - ამბობს იგი და უახლოეს პერიოდში განსახორციელებელი პროექტების დეტალებს აკონკრეტებს:

**"წარმოიდგინეთ, რამხელა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში პატარა რძის დამგროვებელი რეზერვუარების დადგმას. ეს საწარმო, ერთი მხრივ, გააციებს და გაყიდის რძეს, მეორე მხრივ - მაგარი ყველის წარმოებას დაიწყებს.**

**მაგალითად, ფშავ-ხევსურეთში გადაწყვეტილია თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა, ზაფხულისთვის ეს საწარმო მზად იქნება - შეისყიდის მოსახლეობისგან თაფლს, დააფასოებს და გაყიდის.**

**დიდი ყურადღებას დავუთმობდი გარეული ხილის ექსპორტს. საქართველოში გაოგნებულები იყვნენ, როცა ამერიკელებს ვთხოვეთ, დაეწყოთ წაბლის ექსპორტი და გასულ წელს ჩვენ საფრანგეთში უკვე გავიტანეთ 100 ტონა წაბლი.**

**ჩვენ დასავლთ პარტნიორთან ერთად ვამუშავებთ მწვანილის ექსპორტის საკითხსაც - საუბარია საკმაოდ დიდ მასშტაბებზე და ამან იმერეთის რეგიონისთვის გარკვეული როლი შეიძლება ითამაშოს.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დანიშნულებაა, რომ ეს იდეები მიიტანოს საერთაშორისო დონორებამდე, რომელთა პარტნიორები შემდეგ ფერმერები იქნებიან ",** - ამბობს მინისტრი.

### ქართული ჩაი

ჩაი დღეს გადამამუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთი იმ დარგთაგანია, რომელსაც სასწრაფოდ სჭირდება დახმარება. "24 საათი" თავის "ბიზნეს-დამატებაში" გუშინ უკვე დეტალურად წერდა იმ პროგრამებზე, რომელიც საქართველოში ხორციელდება და რომელიც ამ დარგის უმძიმესი ვითარებიდან გამოყვანას ისახავს მიზნად.

სოფლის მეურნეობის ახალ მინისტრს მიაჩნია, რომ დასავლეთ საქართველოში, სადაც სპეციფიკური კლიმატური პირობებია, ჩაის კულტურას ალტერნატივა არა აქვს.

**"ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩაის ბაზარზე მოხდა ცვლილებები, რომელიც ჩვენ გვაძლევს გარანტიას, რომ ქართულ ჩაის ექნება მომავალი. თქვენ რომ ნახოთ, ბოლო წლებში რამდენი ახალი საწარმო, პატარა მეურნეობა შეიქმნა, რომელიც უმაღლესი ხარისხის ჩაის აწარმოებს, ამ მოსაზრების სისწორეში დარწმუნდებით,"** - ამბობს დავით შერვაშიძე.



დავით შერვაშიძე გადადგმულ და გადასადგმელ ნაბიჯებზე საუბრობს.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

მინისტრი აცხადებს, რომ ჩაის ახალი მიზნობრივი პროგრამა, რომელზეც დღევანდელი მთავრობა მუშაობს, გათვლილი იქნება იმ ადამიანებზე, რომელთაც ჩაის ბუჩქთან პირდაპირი შეხება აქვს, ანუ ამ პროგრამაში ჩადებულია ჩაის ბუჩქების რეაბილიტაცია იქ, სადაც ბუჩქი მოსავლელია.

**"პირველ რიგში უნდა მოხდეს ინვესტირება ჩაის ბუჩქის რეაბილიტაციასა და პირველად წარმოებაში - ეს არის გამოსავალი ჩვენს სიტუაციაში. მიზნობრივი პროგრამა არის სამწლიანი და სამი წლის შემდეგ დარგი დაიწყებს თვითრეაბილიტაციას. ძველი სუბსიდირების პროგრამებისაგან ამ პროგრამას ის განასხვავებს, რომ ფული უნდა მივიდეს პირველად წარმოებამდე, მეჩაიებამდე. ამასთან, ამ სფეროში გამოიკვეთა კერძო ინვესტიციებიც; მაგალითად, იგივე "მარტინ ბაუერი" მზად არის, რომ დარგის ტექნიკურ გადახალისებაში ჩადოს ფული, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ თანამედროვე ხარისხის პროდუქცია ვაწარმოოთ",** - ამბობს იგი.

### ქართული ღვინო

ყველა სხვა დარგისგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრის სიამაყეს ქართული ღვინის წარმოების არა შორეული პერსპექტივა, არამედ დღევანდელობა კვებავს:

**"ძალიან ამაყი ვარ, რომ ჩვენ ევროგაერთიანების მხრიდან სულ რაღაც ათი დღის წინათ მივიღეთ ოფიციალური შეტყობინება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული ღვინო ევროკავშირის ბაზარზე შეიძლება გაიყიდოს ყოველგვარი ლიმიტირების გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის მხრიდან მოხდა ქართული ღვინის, მისი ხარისხის, მისი ბრენდების აღიარება და ევროგაერთიანება იქნება დამცველი ქართული წარმოების იმ ღვინოებისა, რომელთა ექსპორტირება მოხდება ევროგაერთიანების ქვეყნებში",** - უკვე მიღწეულზე საუბრობს დავით შერვაშიძე და აქვე ამბობს, რომ:

**"ამ თვალსაზრისით ბევრი რამ შეიცვლება უახლოეს პერიოდში, როცა გერმანელების დახმარებით გაიხსნება სპეციალური ლაბორატორია, რომელიც გააკონტროლებს ღვინის ხარისხს, მის წარმომავლობას და იმ რაოდენობას, რომელიც სხვადასხვა ბრენდის თუ ადგილწარმოშობის ღვინის დასახელებაში შევა".**

მინისტრის თქმით, ეს მისცემს საშუალებას ქვეყანას, რომ მთლიანად გააკონტროლოს ქვეყანაში წარმოებული ღვინის როგორც ხარისხი, ისე რაოდენობა.

**"ეს მოგვცემს იმას, რომ მოწესრიგდება აღრიცხვიანობა ქვეყნის შიგნით. გვეცოდინება, ამა თუ იმ დასახელებით რა რაოდენობის ღვინოს ასხამს ესა თუ ის კომპანია, შესაბამისად - ექსპორტის დროსაც გავაკონტროლებთ რაოდენობებს, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში შევა. ეს პირდაპირ კავშირშია ფალსიფიცირებული პროდუქციის როგორც ამოღებასთან, ისე განადგურებასთან. ჩვენ ახლა ვაგზავნით შეტყობინებებს ყველა იმ ქვეყანასთან, რომელიც იყენებდა ჩვენს დასახელებებს და უკვე ვუჩივით ბულგარულ წარმოებას ისრაელში, რომელმაც გამოიყენა ჩვენი ბრენდები. ამაში უნდა იყოს ჩართული როგორც ჩვენი კერძო კომპანიები, ისე საელჩოები, რომელთაც ექნებათ ოპერატიული ინფორმაცია, თუ რა რაოდენობით ოფიციალური ღვინის გადატვირთვა მოხდება ამა თუ იმ ქვეყანაში. ლაბორატორია ივნისში ამოქმედდება, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა უკვე გაშლილია",** - ამბობს იგი.

### ქართული ციტრუსი

დავით შერვაშიძე მიიჩნევს, რომ ისევე, როგორც ძალიან ბევრი მიმართულებით, საქართველოშიც უნდა დაიწყოს ქართული ჯიშების განახლება, განახლება დასჭირდება ციტრუსის ჯიშებსაც.

**"ქართულ ციტრუსს ნამდვილად აქვს მომავალი. აი, სწორედ დღეს მქონდა საუბარი რუმინეთის ელჩთან და რუმინეთიც კი არის დაინტერესებული ჩვენი ციტრუსის ყიდვით - აღარაფერს ვამბობ უკრაინაზე, ბალტიისპირეთზე, რუსეთზე... ჩვენი ციტრუსები გემოთი კარგია, მაგრამ აუცილებელია ამ ჯიშების განახლება. ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა ბერძნებსა და თურქებთან, რომლებთან ერთად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სანერგეები გაიხსნება, შემოიტანენ საძირეებს, რომელსაც დაეყრდნობა კულტურული ნერგი და ქვეყანაში ორ-სამ წელიწადში გვექნება ჩვენი სანერგეები, რამაც უნდა გაზარდოს ჩვენი ციტრუსის როგორც მსხმოიარობა, ისე ხარისხი",** - ამბობს იგი.

### მიზნობრივი პროგრამები

სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, ჩაის რეაბილიტაციის პროგრამის გარდა, საქართველოში უკვე მოქმედებს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზნობრივი პროგრამა – მაგალითად, მელიორაციის განხრით.

**"ამ დარგს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ამ მიმართულებით ორი მსხვილი ფინანსური ინსტიტუტი მუშაობს - მსოფლიო ბანკი და ევროგაერთიანება, გარკვეულ კომპონენტებს აფინანსებს იფადიც,"** - ამბობს მინისტრი და აცხადებს, რომ ასეთივე პროექტები იქნება დაფინანსებული მემცენარეობაში, სანაშენე საქმეში, ვაქცინაციასთან დაკავშირებით, მცენარეთა დაცვაში, რაც დაკავშირებული იქნება ქვეყნის უსაფრთხოებასთან", - აღნიშნავს დავით შერვაშიძე.

### დაბოლოს

სოფლის მეურნეობის მინისტრთან საუბარი ამ სფეროში არსებული მძიმე ვითარების ფონზე მეტისმეტად ოპტიმისტური გამოგვივიდა, თუმცა რას და - ოპტიმიზმს ახალ ქართულ ხელისუფლებას ნამდვილად ვერ წაართმევ. ოცნებებსაც თამამად გიზიარებენ; მაგალითად, დავით შერვაშიძე იმ დროზე ოცნებობს, როცა საქართველოში ქართველი ფერმერი ეკონომიკური შეძლებითა და საკუთარი ფერმერული მეურნეობით გერმანელ ფერმერს გაუტოლდება.

## მოკლედ

### გსეკ-ს ისევ ქურდავენ

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) რუსთავის ფილიალი მრიცხველების მოპარვის ფაქტებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ აფიქსირებს თავის პოზიციას და აცხადებს, რომ გაძარცული მრიცხველები უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობას, რადგან უმრიცხველოდ დარჩენილ აბონენტებს კომპანია ელექტროენერგიის მიწოდებით ველარ უზრუნველყოფს.

საქმე ისაა, რომ ელექტროენერგიის მოხმარების დროებითი წესების თანახმად, სადარბაზოში დაყენებულ მრიცხველეზე პასუხისმგებლობა მაცხოვრებელს ეკისრება. ამდენად, მოპარული მრიცხველი მობინადრის საკუთრებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, გსეკ-მა მრიცხველების მოპარვის ტენდენციის თაობაზე რამდენჯერმე მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ, ჯერჯერობით, რეაგირება არ ყოფილა. მოსახლეობის თქმით, განცხადების დასაწერად პოლიციაში მისულებს, პოლიციის თანამშრომლები უარყოფითი პასუხით უკან აბრუნებენ და ეუბნებიან, რომ აღნიშნულ საკითხზე ძიებას აზრი არ აქვს. თუკი სიტუაცია დროულად არ გამოსწორდება, საფრთხე შეექმნება არა მარტო გამრიცხველიანების პროექტს, არამედ მთლიანად რუსთავის მოსახლეობის ელექტრომომარაგებას, რადგან მომხმარებელთათვის დენის გარანტირებული მიწოდების აუცილებელი წინაპირობა სწორედ აღრიცხვიანობის სისტემის მოწესრიგებაა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ ავარიულად გამოირთო ენგურჰესის ერთ-ერთი აგრეგატი, რამაც თბილისისათვის ელექტრომომარაგების დამატებითი შეზღუდვა გამოიწვია. **24 საათი**

■ ■ ■

**თელავი.** შპს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" დირექტორს მალხაზ კუპატაძეს გუშინ თელავის რაიონულმა სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დასავლეთ საქართველოში ვოიაჟს აგრძელებს. ოზურგეთის გავლით ის გუშინ აჭარას ეწვია და ავტონომიის ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა. **ინტერ-პრესი**


### "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ**

**16 მარტს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
წერეთლის გამზირის (ნაწილობრივ), მირცხულავას, სამტრედიის, წყალტუბოს ქუჩების მაცხოვრებლებს.

**16 მარტს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
აბანოს, ბამბის რიგის, ბოტანიკურის, ერეკლე მეორის, გორგასლის(ნაწილობრივ), იერუსალიმის, ირგვლივის, ჯვარედინის, ლესელიძის(ნაწილობრივ), ორპირის, პურის მოედანის, რკინის რიგის, სამღებროს, შარდენის, სიონის, თუმანიანის, ხანძთელის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**16 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
აჭარის, გურგენიძის, მარუაშვილის, მეუნარგიას, ქურდიანის, რეხის, სამშვილდის, სანავარდოს, სარკინეთის, წყაროს, ხუდადოვის, ზაზიშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.


# საქართველო ყაზახეთის ნავთობისთვის სატრანზიტო ტარიფის შემცირებას აპირებს

*საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზები ყაზახეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადმოზიდვაზე ტარიფების გაზრდას არ აპირებენ. ამის შესახებ განაცხადა აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ. უახლოეს დღეებში შეიძლება ამ ტარიფის ორი დოლარით შემცირების ვარიანტიც კი განიხილონ.*

დიანა ჩაჩუა

როგორც პანახოვმა განაცხადა, ტარიფების შენარჩუნებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები საქართველოსთან უკვე დამთავრებულია. **"მას შემდეგ, რაც სატარიფო პოლიტიკა დარეგულირდება, ყაზახეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვები გაიზრდება და წლის ბოლოსათვის 3,5 მლნ. ტონას მიაღწევს. ეს თითქმის 700 ათასი ტონით მეტია, ვიდრე გასულ წელს,"** – აცხადებს იგი.

ყაზახეთიდან ბაქოს გავლით ბათუმში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება 90-იანი წლების ბოლოდან ხდება. თავიდან ერთი ტონა ნავთობის ტრანსპორტირება 28 დოლარი ღირდა, ბოლო ორ წელიწადში კი 32 დოლარს მიაღწია. 2003 წლის ბოლოს აზერბაიჯანისა და საქართველოს რკინიგზებმა ტარიფის ერთი დოლარით გაზრდა გადაწყვიტეს, მაგრამ 2004 წლის იანვარ-თებერვალში ამ ფაქტმა ყაზახეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების მოცულობის შემცირება გამოიწვია. შესაბამისად, თითქმის ექვსჯერ გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება აღმოსავლეთ კასპიის სანაპიროდან ირანის პორტ ენზელსა და რუსულ მახაჩკალაში. პანახოვი აცხადებს, რომ **"აზერბაიჯანზე და საქართველოზე გამავალი მარშრუტების კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად ტრანზიტული ტარიფების იმ დონეზე გაჩერებაა გადაწყვეტილი, რომელიც 2004 წლის დასაწყისში მოქმედებდა. მეტიც, უახლოეს დღეებში მოსალოდნელია ტარიფების ორი დოლარით შემცირება."**

# ბაქო-ჯეიჰანის პროექტთან ყაზახეთის მიერთების საკითხი მალე გადაწყდება

დიანა ჩაჩუა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან ყაზახეთის მიერთების საკითხთან დაკავშირებული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი აპრილში გაიმართება. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტის ნატიკ ალიევის განცხადებით, გადაწყვეტილება ყაზახეთის მოცემულ პროექტთან მიერთების შესახებ 2004 წელს იქნება მიღებული **"ორი წლის წინ დაწყებული მოლაპარაკებები ამჟამად დასრულების სტადიაშია. არ უნდა ვიჩქაროთ, რადგან ნავთობსადენი ჯერ ექსპლუატაციაში არ გადაცემულა, ყაზახეთს კი არ გააჩნია ნავთობსადენისთვის საჭირო ნავთობის მოცულობა. ამასთან ჩვენ ვამზადებთ იურიდიულ ბაზას ნავთობის ყველა გამგზავნებისა და ინვესტორებისათვის. ვცდილობთ, გადავწყვიტოთ ყველა საკითხი, რომელიც მომავალში შეიძლება წამოიჭრეს,"** – განაცხადა ალიევმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ყაზახეთთან მოლაპარაკებების დასრულებამდე აუცილებელია რიგი სადავო საკითხების გადაწყვეტა. **"ყაზახეთში არ სურთ მოცემული შეთანხმების პარლამენტში კანონის სახით რატიფიცირება, როგორც ეს აზერბაიჯანში ხდებოდა. ინვესტორები კი რატიფიკაციას ითხოვენ, რათა მომავალში შეთანხმება არ შეიცვალოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყაზახეთის კანონმდებლობაში ცვლილებები მოხდება და ახალ ნორმატივებს მიიღებენ საბაჟოზე ან გადასახადებში. ვფიქრობ, ამ საკითხის მოგვარება შეიძლება. თუ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმება არ გაივლის რატიფიკაციას, ინვესტორები რაიმე დამატებით დოკუმენტზე დათანხმდებიან,"** – განაცხადა ალიევმა.

# "ლუკოილი" ერაყულ ნავთობს ითხოვს

თორნიკე შარაშენიძე

რუსეთის ნავთობგიგანტი "ლუკოილი" ცდილობს, ისევ აამოქმედოს რამდენიმე წლის წინათ ერაყთან გაფორმებული კონტრაქტი, რომლითაც კომპანიამ ერაყში ერთ-ერთი უდიდესი საბადოს, დასავლეთ ქურნას დამუშავების უფლება მიიღო.

"ლუკოილმა" ეს კონტრაქტი საკმაოდ იაფად ჩაიგდო ხელში. სპარსეთის ყურეში პირველი ომის შემდეგ სადამ ჰუსეინი გრძნობდა რომ, ვაშინგტონი მის მოშორებას ისევ შეეცდებოდა და საფრთხის თავიდან ასაცილებლად ასეთი პოლიტიკის გატარება დაიწყო: იგი ხელსაყრელ ფასად აძლევდა ერაყულ საბადოებს უცხოურ (კერძოდ - რუსულ, ჩინურ და ფრანგულ) კომპანიებს. ჰუსეინის გათვლა ასეთი იყო: ამ ქვეყნებს რაც შეიძლებოდა დიდი ეკონომიკური ინტერესი უნდა გასჩენოდათ ერაყის მიმართ და თუკი ვაშინგტონი ქვეყანაზე დარტყმას დააპირებდა, იაფად ხელში ჩაგდებული ნავთობსაბადოების "ეშხით" რუსეთს, ჩინეთსა და საფრანგეთს ჰუსეინის რეჟიმი უნდა დაეცვათ. საბადოების გაყიდვამ განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი 11 სექტემბრის შემდეგ მიიღო, როცა აშკარა გახდა, რომ ვაშინგტონი ერაყზე დასარტყმელად ემზადებოდა.

როგორც ვნახეთ, ამ პოლიტიკამ ვერ გაამართლა. რუსული თუ ჩინური კომპანიები თავიანთ შენაძენებს დიდად არ ახმაურებდნენ. სადამს ასეთი ვითარება არ აწყობდა და როცა აშშ-ის მხრიდან მუქარებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო, მან "ლუკოილს" კატეგორიულად მოსთხოვა, დაეწყო სამუშაოები ქურნას საბადოებზე, მაგრამ რუსულმა კომპანიამ ამაზე უარი განაცხადა - "ლუკოილი" ვერ ბედავდა ასე აშკარად დაერღვია გაერო-ს სანქციები. ეს დაპირისპირება იმით დასრულდა, რომ 2002 წელს ერაყმა "ლუკოილთან" კონტრაქტი გაწყვიტა და რუსულმა კომპანიამ დაკარგა დასავლეთ ქურნა, რომლის რეზერვებიც 15 მილიონ ბარელადაა შეფასებული. აღსანიშნავია, რომ კონტრაქტის გაუქმებამ მაშინ საგრძნობლად გააუარესა რუსეთ-ერაყის ურთიერთობები.

"ლუკოილის" ხელმძღვანელობა უკვე იმყოფებოდა ბაღდადში და ერაყის ნავთობის მინისტრსაც შეხვდა. ცხადია, შეხვედრაზე ქურნას საკითხიც დაისვა. ძნელი დასაჯერებელია, "ლუკოილმა" უკან დაიბრუნოს ქურნა; მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ერაყის მთავრობას ვაშინგტონი აკონტროლებს. ეს უკანასკნელი კი სულაც არ აპირებს ერაყული საბადოები რუსეთს დაუთმოს, რომელმაც ერაყთან ომის წინააღმდეგ გაილაშქრა. "ლუკოილს" ერთი არგუმენტი თუ ექნება - მას კონტრაქტი თავად სადამმა გაუწყვიტა.

# მადრიდის ტრაგედია და ესპანელთა ერთობა

პირველი გვერდიდან

**"აზნარ, სად არის ამერიკა? ვინ დაგიცავს შენ ჩვენგან: ბრიტანეთი, იაპონია, იტალია თუ სხვები?"** - მიმართავენ ტერორისტები ესპანეთის ლიდერს. ეს უკანასკნელი კი ტერორისტების საპასუხო, აქამდე არნახული საპროტესტო მშვიდობიანი მარშის გამართვას აპირებს ლოზუნგით: **"ჩვენს დაღუპულებთან და კონსტიტუციასთან ერთად - ტერორიზმის დასამარცხებლად."** ამ იდეას უკვე გამოეხმაურნენ იტალიის, საფრანგეთის და ევროპის სხვა ქვეყნების მთავრობები. მარშში მონაწილეობას რამდენიმე მილიონი ადამიანიც მიიღებს და ის ევროპის მრავალ ქალაქში ერთდროულად გაიმართება.

## წინ ჯერ არჩევნებია

ტრაგედიისაგან შეძრული ესპანეთი კვირის საპარლამენტო არჩევნებისათვის ემზადება და მის გადადებას არ აპირებს. **"ამით ჩვენ ტერორისტებს ვაჩვენებთ, რომ ჩვენი ქვეყნის წინსვლის შეჩერებას არ ვაპირებთ,"** – განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანა პალაციომ.

ესპანეთის საპარლამენტო არჩევნებში ერთმანეთს ორი ძირითადი ძალა – მმართველი კონსერვატორები (სახალხო პარტია) და ოპოზიციონერი სოციალისტები (სოციალისტური მშრომელთა პარტია) დაუპირისპირდება. ერთი რამ ცხადია, მალე ესპანეთს ახალი პრემიერ-მინისტრი ეყოლება, რადგან მთავრობის ახლანდელი მეთაური ხოსე მარია აზნარი ამ პოსტს რვაწლიანი მმართველობის შემდეგ ტოვებს.

აზნარი საკუთარი რვა წლით კმაყოფილი ჩანს: ესპანეთის ეკონომიკა ბოლო წლებში მუდმივად იზრდებოდა, დამატებით შეიქმნა 4,2 მლნ სამუშაო ადგილი, საბიუჯეტო დეფიციტი დავიწყებას მიეცა, ტერორისტული დაჯგუფება "ეტას" წინააღმდეგ რამდენიმე წარმატებული აქცია განხორციელდა. ესპანეთი ევროკავშირში მნიშვნელოვან ძალად ყალიბდება. მადრიდი საერთაშორისო პოლიტიკაშიც ამბობს თავის სიტყვას და ერაყში საკუთარ სამხედროებს გზავნის. მართალია, ერაყის ომს, ისევე როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, ესპანეთის მოსახლეობაც არ უჭერდა მხარს, მაგრამ ამას აზნარის პოპულარობაზე დიდად არ უმოქმედია. სწორედ ამ საერთაშორისო გააქტიურების გამო დაიმსახურა ესპანეთმა საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებების ინტერესიც. თუმცა, ამგვარი ტერაქტების დროს, ხელისუფლებისადმი მოსახლეობის მხარაჭერა, როგორც წესი, არათუ იკლებს, არამედ იზრდება კიდეც.







საპროტესტო აქციები მადრიდის ქუჩებში.

აზნარმა თავისი მთავრობის წარმატებული პოლიტიკის გაგრძელება საკუთარ მემკვიდრეს, მარიანო რახოის დააკისრა. რახოი ის ადამიანია, რომელმაც ოთხი წლის წინ მისი მეორედ არჩევის კამპანიას უხელმძღვანელა. ამდენად, აზნარმა რახოის დამსახურება დაუფასა. აზნარი პოლიტიკიდან არ მიდის, იგი ჯერ ხომ, სულ რაღაც, 51 წლისაა. აზნარი მმართველი სახალხო პარტიის თავმჯდომარედ დარჩება და რახოის გამარჯვების შემთხვევაში, ალბათ, ახალი მთავრობის პოლიტიკაზეც ექნება გავლენა.

სოციალისტები ხელისუფლებაში, რვა წელია, არ ყოფილან. ისინი დაბრუნებას ცდილობენ და აზნარის ეკონომიკურ სასწაულს ფიქციად მიიჩნევენ. პრემიერობის სოციალისტი კანდიდატი, ხოსე ლუის როდრიგეს ზაპატერო ამბობს, რომ ახალი სამუშაო ადგილების უმეტესობა მოკლევადიანია, ინფლაცია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია, ხოლო უძრავ ქონებაზე ფასები თითქმის გაორმაგდა. ანუ, ეკონომიკურ აღმავლობაზე საუბარი ზაპარეტოს ხალხის მოტყუებად მიაჩნია.

რახოი კი ამბობს, რომ მისი პარტიის გამარჯვების შემთხვევაში, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძველი კურსი გაგრძელდება. "კარგი ცხოვრება მხოლოდ ახლა იწყება," – ამბობს რახოი. მადრიდის ტერაქტს ეხმაურება მისი დანაპირები, რომ იგი პოლიციასა და უსაფრთხოების ძალებს გაზრდის და გააძლიერებს, რათა ესპანელებმა თავი მშვიდად იგრძნონ. რახოი მოსახლეობას "სტაბილურობასა" და "ქაოსს" შორის არჩევანს სთავაზობს. იგულისხმება, რომ სოციალისტების გამარჯვება ქვეყანას ეკონომიკურ და პოლიტიკურ ქაოსს მოუტანს.

ტერაქტების შემდეგ მოსახლეობაში კიდევ უფრო გაიზარდა ტერორიზმის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის მომხრეთა რიცხვი. ეს კი ხელისუფლებას აძლევს ხელს. მართალია, ტერორისტების, მათ შორის - "ეტას" წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს ოპოზიციაც ემხრობა, მაგრამ ხელისუფლებას უშუალოდ შეუძლია ანტიტერორისტული ღონისძიებების განხორციელება.

მადრიდის ტერაქტამდე და მის შემდეგ ჩატარებული გამოკითხვები ადასტურებს, რომ გამარჯვებას მმართველი სახალხო პარტია მოიპოვებს. მაგრამ, აზნარი რახოისაგან უფრო მეტს, აბსოლუტური უმრავლესობის შენარჩუნებას მოელის, რომელიც მან 2000 წელს მოიპოვა. აზნარის უერთგულეს თანამებრძოლად მიჩნეული რახოი კი ამბობს, რომ იგი აქამდე ყველა მოლოდინს ამართლებდა.

არავინ იცის, რა გავლენას მოახდენს მადრიდის აფეთქება არჩევნების შედეგზე. სავარაუდოდ, ტერაქტით დაშინებული მოსახლეობის შედარებით ნაკლები რაოდენობა მივა საარჩევნო ყუთებთან. თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ 11 მარტის თავდასხმამ მოსახლეობის კონსოლიდირება გამოიწვიოს, რაც ამომრჩეველთა მაღალი აქტივობით იქნება გამოხატული.

# არგენტინამ სავალუტო ფონდის ვალი გადაიხადა

თორნიკე შარაშენიძე

არგენტინის ხელისუფლებამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს 3,15 მილიარდი დოლარი გადაუხადა. გავრცელებული ინფორმაციით, ქვეყნის პრეზიდენტი ნესტორ კირხნერი ბოლო წუთებამდე ამ ნაბიჯის გადადგმა-არგადადგმაზე ფიქრობდა. მანამდე კი მასსა და სავალუტო ფონდის დროებით აღმასრულებელ დირექტორს, ენ კრიუგერს შორის ნახევარსაათიანი საუბარი გაიმართა. საბოლოოდ, კირხნერმა გადაწყვიტა, ახალი დეფოლტი აღარ გამოეცხადებინა. ეს, ცხადია, იმით იყო ნაკარნახევი, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში სავალუტო ფონდისათვის ვალის არგასტუმრება სერიოზულ ეჭვქვეშ დააყენებდა არგენტინის მიერ ახალი დახმარების მიღების შესაძლებლობას. გასულ წელს ამ ქვეყანამ 2,9 მილიარდის გასტუმრებაზე თქვა უარი. ეს სარეკორდო თანხა იყო, რომელიც სავალუტო ფონდმა თავისი ისტორიის განმავლობაში ვერ მიიღო.

არგენტინასა და სავალუტო ფონდს შორის პრობლემები შარშანდელზე გაცილებით უფრო ადრე დაიწყო. ეს ქვეყანა, დიდი ხანია, ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება, რასაც ხელისუფლების კრიზისიც დაემთხვა. ყოველივე ამან პიკს 2002 წელს მიაღწია, როცა არგენტინამ საყოველთაო დეფოლტი გამოაცხადა და უარი თქვა 141-მილიარდიანი ვალის მომსახურებაზე. ყველაზე მძაფრი რეაქცია ამ ნაბიჯზე სავალუტო ფონდს ჰქონდა; მაგრამ, ამავე დროს, ამ ორგანიზაციის საქმიანობა არგენტინაში ისეთი მძაფრი კრიტიკის ქვეშ მოექცა, რომ, საბოლოო ჯამში, არგენტინას "ცოდვები ეპატია" და საერთაშორისო დახმარება ქვეყანას არ შეუწყვიტეს. ცხადია, ფონდის მოღვაწეობის კრიტიკის გარდა, აქ ის გარემოებაც იყო გასათვალისწინებელი, რომ არგენტინა ლათინურ ამერიკაში ვაშინგტონის უახლოესი მოკავშირეა. გარდა ამისა, ცხადია, არავის სურს, რომ ასეთი მასშტაბის ქვეყანა ეკონომიკურ ჭაობში დარჩეს - ეს ხომ მთელ რეგიონზე უარყოფითად იმოქმედებს.



არგენტინის პრეზიდენტი ნესტორ კირხნერი

გავრცელებული ინფორმაციით, კრიუგერმა არგენტინის პრეზიდენტს საუბრისას განუცხადა, რომ სავალუტო ფონდი მისი ქვეყნისათვის ახალი - 13,3-მილიარდიანი კრედიტის გამოყოფის საკითხზე იმსჯელებს. ფონდში ესმით, რომ ახლა, როცა არგენტინა კრიზისიდან გამოსვლას ახერხებს (გასულ წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 8,3 პროცენტით გაიზარდა 2002 წლის კატასტროფული მაჩვენებლის შემდეგ), ქვეყნის მიტოვება არაფრით შეიძლება. თუმცა, ვალების გადახდის პერსპექტივა ქვეყნის ეკონომიკურ მომავალს მძიმე ტვირთად აწევს. კირხნერმა ახლახან საგარეო კრედიტორებს ვალების ნომინალური ღირებულების 75 პროცენტით შემცირება სთხოვა, მაგრამ ამას კრედიტორების მხრიდან იმდენად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რომ საეჭვოა, ეს მართლაც განხორციელდეს. საყოველთაო აზრით, არგენტინას უკვე საკმარისი შეღავათები გაუწიეს და ახლა ქვეყანამ გაცემული კრედიტი და ნდობის კრედიტი უნდა აანაზღაუროს.

# მოსკოვი-ყატარი: დიპლომატიური კრიზისი მწვავდება

"მოსკოვს, ძებნილი ჩეჩნის მკვლელობის გამო, დიპლომატიური კრიზისი ემუქრება," - ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სტატია ბრიტანულ გავლენიან გაზეთ "თაიმს"-ში. მასში ნათქვამია, რომ ყატარში დაკავებულმა რუსეთის მოქალაქეებმა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა და ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის მკვლელობაში მონაწილეობა აღიარეს. სენსაციური იყო მათი განცხადება იმის შესახებ, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა ყატარში დიპლომატიური ტვირთის სახით მოხვდა. მანამდე, ანალოგიურ ცნობას ავრცელებდნენ ჩეჩნური ინტერნეტ-გვერდებიც. თუმცა, საპასუხოდ მაშინვე გაისმა რუსეთის საგარეო უწყების განცხადება, სადაც მოსკოვი ამ ინფორმაციას უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ საზღვარგარეთ ვისიმე ლიკვიდაციის ოპერაცია 1959 წლის შემდეგ, როდესაც გერმანიაში უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერი სტეპან ბანდერა მოკლეს, აღარ მომხდარა.

ზელიმხან იანდარბიევი ყატარის დედაქალაქში 13 თებერვალს დაიღუპა. ასაფეთქებელი მოწყობილობა მის ჯიპში იყო ჩამონტაჟებული. რამდენიმე დღის შემდეგ არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დააკავეს რუსეთის სამი მოქალაქე, რომელთაგან ერთი მოგვიანებით გაათავისუფლეს, ხოლო ორი დანარჩენი ყატარის პოლიციას გადასცეს. რუსეთი ახლა დაკავებულთა გასათავისუფლებლად ყველა საშულებას მიმართავს. დღემდე მათი პატიმრობიდან დახსნას რუსეთისა და უცხოეთის საუკეთესო ადვოკატები უშედეგოდ ცდილობენ. რუსეთი ამბობს, რომ მათ, უბრალოდ, მუშაობის საშუალებას არ აძლევენ: დღემდე არც ერთ იურისტს არც დაკავებულები უნახავს და არც საქმის მასალებს გასცნობია.

რუსეთში დაკავებულთა გამოსახსნელად სხვადასხვა ვერსიებს განიხილავენ. ეჭვმიტანილთა ადვოკატები "მძევლების" გაცვლის სქემასაც არ გამორიცხავენ. დაკავებულთა ადვოკატი, გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში აშშ-ს ყოფილი ელჩი ჯერომ შესტაკი მიანიშნებს, რომ შესაძლებელია, რუსებისა და რუსეთში დაკავებული ორი ყატარელი სპორტსმენის გაცვლა მოხდეს. მოსკოვში გავლით მყოფი ყატარელები თითქოს ჩეჩენ ტერორისტებთან კავშირის გამო აიყვანეს აეროპორტში. ეს ვერსია რუსული მედიის საშუალებებმაც უმალვე აიტაცეს. თუმცა, რუსეთის საგარეო უწყება გაცვლის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს. ადვოკატმა შესტაკმა გუშინ განაცხადა, რომ ყატარის ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობის გამო, დაცვა იძულებულია, ახალი ტაქტიკა შეიმუშაოს. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი დმიტრი როგოზინი უფრო რადიკალური ზომების მომხრეც კია და ქვეყნის ხელისუფლებას ყატარის წინააღმდეგ სპეცოპერაციის განხორციელებისაკენ მოუწოდებს.

როგორც გაზეთ "თაიმს"-ის ჟურნალისტი შენიშნავს, რუსეთის მიერ ყატარში ბომბის დიპლომატიური ფოსტით გადაგზავნის ვერსია არც ისე დამაჯერებლად ჟღერს. თუმცა, თუ ეს ფაქტი დადასტურდა, მოსკოვი საერთაშორისო თანამეგობრობის მძაფრი კრიტიკის ქვეშ მოექცევა. საგულისხმოა, რომ გაღიზიანებას გამოიწვევს არა იმდენად მკვლელობის ფაქტი, არამედ ბომბის გადასაგზავნად დიპლომატიური არხების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ მოსკოვი ტერორისტებს მათივე მეთოდებით ებრძვის. შედეგად, რუსეთის მოწოდებებს ჩეჩნურ ტერორიზმთან საერთაშორისო ბრძოლის შესახებ დასავლეთში სკეპტიციზმს შეაგებებენ, - ასკვნის გაზეთი.


## ვიტამინები თქვენს ბავშვებთან ერთად იზრდებიან




ბავშვებს ზრდის პერიოდში ვიტამინები და მინერალები ყოველდღიურად ესაჭიროებათ. პიკოვიტის სხვადასხვა ფორმები შემუშავებულია მზარდი ორგანიზმის მოთხოვნების შესაბამისად.

პიკოვიტი სიროფის მიცემა ბავშვისათვის შესაძლებელია 1 წლის ზემოთ. სიროფის შემადგენლობაში შედის ნატურალური ხილის ექსტრაქტები და ამის გამო ბავშვებს განსაკუთრებულად უყვართ ის.

პიკოვიტის შემოგარსული აბები, რომლებიც ვიტამინებთან ერთად დამატებით შეიცავენ კალციუმსა და ფოსფორს, განსაზღვრულია ბავშვებისათვის 4 წლიდან. პიკოვიტის ახალი ფორმებია: პიკოვიტი D ბავშვებისათვის 4 წლიდან და პიკოვიტი ფორტე სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის.

პიკოვიტი ფორტეს ერთი შემოგარსული აბი უზრუნველყოფს 11 ვიტამინის დღიურ ნორმას.

პიკოვიტი D და პიკოვიტი ფორტე არ შეიცავენ შაქარს და არ აზიანებენ კბილებს. დამატებით, ისინი არ შეიცავენ მღებავ ნივთიერებებს, რომლებიც შეუძლია ალერგიის გამოწვევა.

პიკოვიტის პროდუქტები შესაძლებელია მიეცეთ ბავშვებს როგორც ყოველდღიური საკვების დანამატი, განსაკუთრებით გონებრივი და ფიზიკური გადატვირთვისას, ავადმყოფობის ან უმადობის დროს. ეს პროდუქტები უზრუნველყოფენ ჩვენს ბავშვებს ყველა საჭირო ვიტამინით, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელი განვითარებისათვის.

პიკოვიტი დიდი და პატარა ბავშვებისათვის


## მოკლედ

**უკრაინა.** კიევი, 2001 წლის 4 ოქტომბერს ავიაკატასტროფის შედეგად დაღუპული რუსეთის მოქალაქეების ნათესავებს, კომპენსაციის სახით, თითო დაღუპულზე 200 ათას დოლარს გადაუხდის. ამის შესახებ აღნიშნულია მთავრობათაშორისი შეთანხმების პროექტში, რომელიც რუსეთის ფედერაციის მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა. ავიაკატასტროფა ყირიმის კუნძულზე უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო ძალების წვრთნისას მოხდა. სამხედრო გემიდან გაშვებული რაკეტა სამგზავრო ლაინერს მოხვდა. აფეთქებას 78 ადამიანი შეეწირა.

■ ■ ■

**კოსოვო.** გუშინ ცნობილი გახდა, რომ კოსოვოს პრეზიდენტის რეზიდენციაზე თავდასხმა განხორციელდა. საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, იბრაჰიმ რუგოვას შენობას ხელყუმბარა ესროლეს. წინასწარი მონაცემებით, თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა. როგორც ირკვევა, ხელყუმბარა ადგილობრივი დროით დილის 8 საათზე უცნობმა პირებმა ავტომანქანიდან ისროლეს. აფეთქება შენობიდან რამდენიმე მეტრში მოხდა და, შედეგად, მხოლოდ ფასადი დაზიანდა.

■ ■ ■

**სერბია.** გუშინ ბელგრადში ერთი წლის წინ მოკლული პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი მოიგონეს. ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა ვოისლავ კოშტუნიცამ პირობა დადო, რომ ორგანიზებულ კრიმინალთან ბრძოლა კვლავაც გაგრძელდება. "ჩვენ იგივე პრობლემების წინაშე ვდგავართ, რასაც ჯინჯიჩი შეეწირა. ესაა სახელმწიფო ინსტიტუტების, განსაკუთრებით კი - სამართალდამცავი და სასამართლო სტრუქტურების სისუსტე, რომლებსაც კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა უჭირთ," – თქვა კოშტუნიცამ. ჯინჯიჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 13 პიროვნების სასამართლო პროცესი შარშან დეკემბერში დაიწყო და აპრილში უნდა განახლდეს. გასულ კვირას კი ბელგრადში გამოძიების ერთ-ერთი მთავარი მოწმე მოკლეს. ჯინჯიჩი გასული წლის 12 მარტს მთავრობის შენობის შესასვლელთან სნაიპერმა მოკლა. იგი, კოშტუნიცასთან ერთად, სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმის წინააღმდეგ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო. სერბების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულება მკვლელობის რეალურ დამკვეთებს ვერ დაადგენს.

■ ■ ■

**ჩინეთი.** ყველა ჩინელისათვის ეროვნულ სიამაყედ ცნობილი, ჩინეთის დიდი კედლის შესახებ ლეგენდას ბზარი გაუჩნდა. ჩინეთში ამტკიცებდნენ, რომ დიდი კედლის დანახვა კოსმოსიდანაც შეიძლება. მართალია, ამ ვერსიას უცხოელი ასტრონავტები არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ ჩინელები მაინც საკუთარი კოსმონავტის პასუხს ელოდნენ. რამდენიმე დღის წინ ჩინეთის პირველმა კოსმონავტმა იან ლი ვეიმ აღიარა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრების დანახვა კოსმოსიდან მართლაც შეუძლებელია. ამ აღიარებამ მთელ ჩინეთში ერთგვარი უხერხულობა გამოიწვია. ქვეყნის განათლების მინისტრს სპეციალური განკარგულების გაცემაც კი მოუწია, რათა იმ სასწავლო წიგნების ბეჭდვა შეეჩერებინა, სადაც ლეგენდა ჭეშმარიტებად იყო გასაღებული.

# პირველი ბასტიონი აღებულია

## განათლების სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო



ეს 51 ბავშვს დაანაყრებს?



ხუმარაშვილი ღმერთის მადლობელია.



ბავშვები ყველგან ბავშვები არიან.

ვახო ხალილიას ფოტოები

*სავარაუდოა, რომ თავის დროზე, სკოლა-ინტერნატი ევროპული დახურული სკოლის საბჭოურ მოდელად შეიქმნა, რომელსაც სისტემის ყოვლისშემძლეობა და ძლევამოსილება უნდა ეჩვენებინა, დაემტკიცებინა, რომ სოციალისტური სამშობლო ოჯახზე უკეთესი აღმზრდელია. ლოგიკა მარტივია: მახინჯი წყობილება იტონსა და ჰაროუს ვერ შექმნიდა, მაგრამ შექმნა საგანმანათლებლო დაწესებულების მუტანტი - თიანეთის ამაზრზენი სკოლა-ინტერნატი. ვერდიქტს მკითხველი წერილის დასრულებამდე თავად გამოიტანს. ეს ის შემთხვევაა, როცა სიბინძურე ზედაპირზე ტივტივებს და სიღრმისეულ სვლას არ მოითხოვს; როცა განუკითხაობა და უგერგილო მმართველობა*
*უმართავი ხდება.*
*...მისი ოპერატიულობითა და სამართლიანობით ძალიან კმაყოფილს, განათლების მინისტრისთვის შეკითხვა არ დამისვამს. რაც ვნახე და დავინახე, აი, ესაა...*

დალი კუპრავა

გუშინ თიანეთის სკოლა-ინტერნატის დირექტორი ხუმარაშვილი, როგორმე განათლების მინისტრისთვის სკოლისთვის თავდადებულობა რომ დაემტკიცებინა, საკუთარი ინტერნატული წარმომავლობით იწონებდა თავს: "რვა წელი აქ ვსწავლობდი და მას მერე აქ ვმუშაობ".

კახა ლომაია გუშინ მოულოდნელად თავს "დაესხა" თიანეთის სკოლა-ინტერნატს. ელვისებური თავდასხმის ეფექტი, მინისტრზე ცოტათი ადრე თიანეთის ცენტრში გამოჩენილმა "რუსთავი 2"-ის მანქანამ საფრთხის ქვეშ დააყენა, მაგრამ ვერაფერი დააკლო - იმას, რაც იქ ვნახეთ და მოვისმინეთ, ვერანაირი წინასწარი მომზადება ვერ გააბათილებდა.

დირექტორს პრივატიზებული აქვს და ოჯახთან ერთად ცხოვრობს ინტერნატის კუთვნილ, მასწავლებელთა ყოფილ საცხოვრებელ სახლში, რომელიც ინტერნატისავე კუთვნილ მიწის ფართობზე დგას. მას თიანეთში მეორე, საკუთარი სახლიც აქვს.

ინტერნატის საძინებელ შენობაში ოთახების უმეტესობა ბოქლომით არის ჩაკეტილი, იქ ადგილობრივი მოსახლეობა შესახლებულა, დაუსაკუთრებიათ, ჩაუკეტავთ და წასულან.

დანარჩენ ოთახებშიც ოჯახები ცხოვრობენ. მაგალითად, დედ-მამა სრულწლოვანი ვაჟებით; ქალბატონი, ქალიშვილით და სამი შვილიშვილით, რომელიც ამტკიცებს, - ქალიშვილს დედამთილთან ცხოვრება არ შეეძლო და რა უნდა გვექნაო; ინტერნატის ყოფილი მასწავლებელი ქალი ორ შვილთან ერთად, რომლებიც ამ სკოლაში სწავლობენ. "სახლი ვერ გავლესე, გომურიც ვერ ავაშენე. ახლა გაულესავში გომური მაქვს და აქ ვცხოვრობ," - ეს ერთ-ერთი მობინადრის ლოგიკაა.

ამ ადამიანებს სახლები აქვთ - ან თიანეთში, ან იქვე, სოფელში, მაგრამ ინტერნატის შენობებში ორი-სამი ოთახიც დაისაკუთრეს.

სამაგიეროდ, თორმეტი, სხვადასხვა ასაკის გოგო-ბიჭი ერთ ოთახში წევს და არავის მოსდის აზრად, რომ მათი კუთვნილი ოთახები სხვებმა დაისაკუთრეს.

"არავინ" - სკოლის დირექტორი, განათლების განყოფილების გამგე და გამგებელი არიან.

სკოლა-ინტერნატში 12 ბავშვი იძინებს, 51 ბავშვი კი იკვებება. გუშინ დილით, ჩაისთან ერთად, კარაქი და ყველიც ჰქონიათ. დირექტორის შვილმა, რომელიც თანაკლასელებთან ერთად, ერთ-ერთ კლასში გაკვეთილზე ვნახეთ, თქვა, რომ ყოველდღე ხორციანი სადილი აქვთ.

პროდუქტი, რომელიც სამზარეულოში იმდღევანდელი "ბორშჩის" მოსამზადებლად იყო განკუთვნილი, 51 ბავშვის სამყოფს არ ჰგავდა. პარასკევი იყო და ხორცი, ალბათ, ამიტომაც არ იყო შეტანილი მენიუში.

დირექტორის თქმით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ცენტრალურზე გადასვლამ, ხელფასის გარდა, ინტერნატს კიდევ სხვა პრივილეგიები მოუტანა: გაეზარდათ დაფინანსება და დღეს მათ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია ეხმარება, ამ გზით ახერხებენ ბავშვების მოვლას და სწავლებას, და რაც გაფუჭებულია, წინა წლების და წინა ხელმძღვანელობის ბრალია...

საკმარისია...

განათლების მინისტრმა თანამშრომლების და გამგებლის თანდასწრებით გამოუცხადა დირექტორს: "თქვენ გათავისუფლებული ბრძანდებით და ვერც პედაგოგის სტატუსით იმუშავებთ".

იქვე გადაწყდა, რომ ინტერნატი უნდა გაუქმდეს და მობინადრე ბავშვები მეზობელი რაიონის ინტერნატში გადაიყვანონ. ისინი კი, რომლებიც მხოლოდ სკოლაში სწავლობენ, თავიანთ ოჯახებში დააბრუნონ, მათ ადგილობრივ სკოლებში ისწავლონ და სახელმწიფო დაფინანსება იქნება თუ ჰუმანიტარული დახმარება, მათმა მშობლებმა მიიღონ.

ინტერნატის შემდეგ, თიანეთის პირველ საშუალო სკოლაში ყველაფერი უკეთესად იყო. რაც მთავარია, მზრუნველობა და მცდელობა აშკარად ჩანდა. კონკრეტულად, საკუთარი სკოლის პრობლემების გარდა, მასწავლებლებმა მინისტრთან ისაუბრეს ზოგადად საქართველოს განათლების პრობლემებზე: პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სახელმძღვანელოებზე, ხელფასებსა და პენსიებზე, სახელმწიფო სტანდარტებზე, გამოცდებზე, ოპტიმიზაციაზე...

ეს შეხვედრა წინასწარ შეუთანხმებელი და ორივე მხარისთვის მეტად საჭირო იყო.

დღეიდან, ყოველ ორშაბათს, ჯერჯერობით, საქართველოს 90 სკოლაში, მათ შორის - თიანეთის პირველი საშუალო სკოლის ეზოშიც ორშაბათობით, კვირის საუკეთესო მოსწავლეები საქართველოს დროშას აღმართავენ და შესრულდება საქართველოს ჰიმნი.

■ ■ ■

ბავშვები კი ყველგან ბავშვები არიან - ოჯახშიც, სკოლაშიც, ბავშვთა სახლშიც და ინტერნატშიც, ყველას ერთნაირად და აუცილებლად სჭირდება ზრუნვა.

განათლების მინისტრმა კი უნდა იზრუნოს მთავარზე, რომ ბავშვების ბედი განუკითხაობის მსხვერპლი არ გახდეს და ქვეყანა უვიცობამ არ შთანთქას.

# ომობანას თამაში

*"გლდანის ეპარქიის წინამძღვრის" ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. კომენტარს ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ აკეთებდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო პირები, პოლიტიკური პარტიებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დამოკიდებულება პარასკევს გამთენიისას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. განსხვავებული შეხედულებები გამოითქმის არა მარტო განკვეთილი მღვდლის დაპატიმრების ფორმის, მისი საქმიანობის შესახებაც.*

მაკა ჭაიანი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ეკლესიიდან განკვეთილი ბასილ მკალავიშვილის აყვანის ფორმებს ამართლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. **"პოლიცია არ მოქმედებდა იმ სისასტიკით, როგორსაც კანონდამრღვევების წინააღმდეგ ევროპის ქვეყნებში იყენებენ,"** - განუცხადა მან ჟურნალისტებს რუსთავში ყოფნისას. პრემიერი აღშფოთებულია იმით, თუ როგორ "უბათქუნებდნენ ჯოხებს და ესროდნენ ქვებს პოლიციის თანამშრომლებს". **"ქვეყანაში არსებობს კანონი, რომელიც ყველამ უნდა დაიცვას,** - ამბობს ბატონი ზურაბი, - **ნებისმიერ მსურველს არ უნდა შეეძლოს ანაფორის ჩაცმა და ძალადობის განხორციელება. არსებობს წმინდა სინოდი, საქართველოს საპატრიარქო და ყველა სასულიერო პირი მას უნდა ემორჩილებოდეს."**

დეკანოზ ბასილ კობახიძისთვის ბასილ მკალავიშვილი კრიმინალური დამნაშავეა. შესაბამისად, მის დაპატიმრებას იგი მართებულად მიიჩნევს. **"ეს ადამიანი სპეკულირებს სარწმუნოებით, მისი მხრიდან ხალხის ცემა და დაშინება დიდი დანაშაულია და შესაბამის დასჯასაც საჭიროებს,"** - აცხადებს იგი. კობახიძეს არც მკალავიშვილის აყვანის ფორმის მიმართ აქვს პრეტენზიები. **"სამართლებრივ სახელმწიფოში პოლიციამ მასზე დაკისრებული მოვალეობა უნდა შეასრულოს, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ძალის გამოყენება კი დაუშვებელია,"** – ასეთია მისი აზრი. დაახლოებით იგივე შეხედულებები აქვს მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველოსა" და სომხური დიასპორის თავმჯდომარეს არნოლდ სტეფანიანს. მკალავიშვილის დაპატიმრებას იგი იწონებს, თუმცა ძალადობრივი გზით ეკლესიაში შესვლა მისთვის მიუღებელია.

პარასკევს გამთენიისას მომხდარ ფაქტს გუშინ სამგზის უწოდეს ვანდალიზმი. პირველად სოციალისტებმა, რომლებმაც დაგმეს გლდანის ეკლესიის გაუმართლებელი დარბევა და ქუთაისსა და ლანჩხუთში საპროტესტო აქციების გამართვით დაიმუქრნენ. შემდეგ ეს განსაზღვრება ლეიბორისტებმა გამოიყენეს და შინაგან საქმეთა, უშიშროების მინისტრებისა და გენერალური პროკურორის გადადგომა მოითხოვეს. მესამე გურამ შარაძე გახლდათ. **"ბასილ მკალავიშვილი არც კაცისმკვლელია და არც ბოროტმოქმედი და მის დასაკავებლად სპეცოპერაციის ჩატარება საჭირო არ იყო. თუ ხელისუფლება კრძალავს იეღოველთა დარბევას და ანტიქრისტიანული ლიტერატურის დაწვას, რატომ არის დაშვებული ეკლესიაში სპეცოპერაციის ჩატარება?"** – იკითხა მან.

ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების კანონიერებაში ეჭვი არ ეპარება მეორე პარლამენტარს – ვალერი გელბახიანს, თუმცა განხორციელებული სპეცოპერაცია მის აშკარა გაღიზიანებას იწვევს. **"სრულიად გაუგებარია, რატომ გაუსწორდა პოლიცია მის მრევლს?"** – ეს კითხვა უკვე გელბახიანს უჩნდება. კიდევ ერთი პარლამენტარი ფიქრია ჩიხრაძე სხვა რამითაცაა გაღიზიანებული. **"თავის დროზე ბასილ მკალავიშვილი დღევანდელმა ხელისუფლებამ შექმნა, ახლა ებრძვის მას,** - ამბობს იგი, - **ისინი, ვინც დღეს ხელისუფლებაში არიან, მკალავიშვილს იმ დროს იცავდნენ, როცა ის საპატრიარქოს დაუპირისპირდა. ისინი ცდილობდნენ მკალავიშვილისთვის პოპულარიზაცია გაეწიათ, ხოლო როდესაც მკალავიშვილმა იეღოველების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, ხელისუფლების დღევანდელმა წარმომადგენლებმა პოზიცია შეიცვალეს და იგი ერის მტრად გამოაცხადეს."**

მკალავიშვილის დაპატიმრებასა და ქართულ მართლმადიდებლურ მრევლში ვითარების დაძაბვას შორის პარალელს გუშინ სხვებიც ავლებდნენ. **"ეკლესიების დარბევას ჩვენ კატეგორიულად ვგმობთ. მომხდარს, შეიძლება, მართლმადიდებლურ მრევლში დაძაბულობა, გაორება და ეკლესიის პოლიტიკურ პროცესებში ჩათრევა მოჰყვეს,** - ირაკლი ქადაგიშვილის პირით აცხადებენ ედპ-ტრადიციონალისტები, - **საქართველო არის სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს ყველა ეროვნებას და რელიგიას, მაგრამ არ შეიძლება, სექტანტების პარპაშის არენა და აგრესიული სექტების რეგიონული ცენტრი გახდეს. მით უმეტეს, რომ ისეთი აგრესიული სექტები, როგორიც "იეღოვას მოწმეები" არიან, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია აკრძალული, რადგან ეწინააღმდეგებიან ადამიანის უფლებებსა და სახელმწიფოს საფუძვლებს ანგრევენ."**

ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აფასებს "გლდანის ეპარქიის წინამძღვრის" ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრებას ეროვნულ-დემოკრტიული პარტიის ყოფილი ლიდერი ირინა სარიშვილი. **"ხელისუფლება მართლმადიდებელ ეკლესიას მკალავიშვილის მრევლის მეშვეობით დაარტყამს,"** – დარწმუნებულია იგი, - **ეს ბევრად უფრო შორს გამიზნული ნაბიჯია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ხელისუფლება, ერთი მხრივ, იეღოველთა დამცველების დავალებას ასრულებს, მეორე მხრივ კი ცდილობს, მკალავიშვილის მრევლი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ გამოიყენოს. ხელისუფლება ვერ ბედავს, ღიად დაარტყას ქართულ ეკლესიას და ამას აღშფოთებული მრევლის სახელით გააკეთებს."**

ფაქტობრივად, იგივე განაცხადეს "დემოკრატიული აღორძინების კავშირშიც". **"ხელისუფლებას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს შეცვლა აქვს დაგეგმილი,"** – ითქვა იქ. შეიძლება, ეს იმ მოსაზრების ერთგვარ კონტრბრალდებადაც ჩაითვალოს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ერევანში გამგზავრებამდე გამოთქვა, რომ მკალავიშვილი აჭარიდან მხარდაჭერით სარგებლობს და მთავრობა პასუხს გასცემს ექსტრემისტებს როგორც თბილისში, ისე ბათუმში. **"ბასილ მკალავიშვილი არ სარგებლობს მხარდაჭერით აჭარიდან,** – თავის მხრივ აცხადებს "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" პრესსამსახურის ხელმძღვანელი გიორგი დარასელია და დასძენს, - **პატრიარქის გადასაყენებლად ხელისუფლებაში რამდენიმე გეგმაა შემუშავებული."**

რაც შეეხება თავად საქართველოს პრეზიდენტს, მისი დამოკიდებულება მომხდარისადმი ასეთია: **"ადამიანი, რომელიც ხელკეტებით და ხის ჯვრებით არბევს მოსახლეობას, ანტიქრისტიანულ ქმედებებს ეწევა. მართლმადიდებლობას დიდი საფრთხე ექმნება, რამეთუ თვითმარქვია ექსტრემისტები ქართული ეკლესიის გახლეჩას ცდილობენ. მთავრობისა და პრეზიდენტის მთავარი ამოცანა მართლმადიდებლობის გაძლიერება, ექსტრემისტული ელემენტებისა და ანტიქრისტიანული ქმედებების აღკვეთაა."**

რა სახელიც უნდა დაერქვას პარასკევს გამთენიისას გლდანში განხორციელებულ სპეცოპერაციას, ფაქტი ერთია – ხელისუფლებამ საზოგადოებას ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ჭორებისა და მითქმა-მოთქმისთვის. რა თქმა უნდა, ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრებას კანონიერი საფუძველი ჰქონდა, რა თქმა უნდა, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პრეტენზიის მქონე საზოგადოება კანონმორჩილი უნდა იყოს, მაგრამ კანონის აღსრულება სამართალდამცავებს გუშინწინ, სრულიად უმტკივნეულოდ შეეძლოთ, მაშინ, როცა ბასილ მკალავიშვილი სახალხო დამცველის ოფისთან იდგა და საქართველოს მოქალაქეებს წინასაარჩევნო ქადაგებას უკითხავდა. ამ შემთხვევაში არ დაისმებოდა კითხვები დაზიანებული ეკლესიის, დაზარალებული მოსახლეობისა და სხვათა ირგვლივ. ან რა ისეთი ფიგურაა ბასილ მკალავიშვილი, მის დაპატიმრებას ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების დასწრება ესაჭიროებოდეს? ყველაფერი ეს ომობანას თამაშს ჰგავს...

# საპატრიარქოს ულტიმატუმი

*გუშინ საპატრიარქოში გამართულ პრესკონფერენციაზე საპატრიარქოს პრესმდივანმა გიორგი ანდრიაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეკლესიის ყველაზე ძლიერი იარაღი მორალური სიტყვაა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საპატრიარქოს ჩვენი საზოგადოება სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით გამოთქმული მყისიერი კომენტარებით, ანუ თავისი მორალური სიტყვით დიდად არასდროს გაუნებივრებია. განსაკუთრებით ეს ბასილ მკალავიშვილს ეხება. როდესაც იგი წიგნებს წვავდა და ხალხს თავში ჯვრებს ურტყამდა, საპატრიარქო ან დუმდა, ან, როდესაც საერთაშორისო არენაზე საქმე ძალიან გართულდებოდა, ორაზროვან კომენტარს აკეთებდა. ალბათ, ამის ბრალია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი გუშინაც კი, მისი დაკავების დღესაც ეკითხებოდა ერთმანეთს, განკვეთილია თუ არა მართლაც ეკლესიიდან "მამა ბასილი" და წარმოადგენდა თუ არა გლდანის ეპარქია ეკლესიას.*

ნინო ცინცაძე

ბასილ მკალავიშვილი მღვდელი არ იყო, არც ის შენობა წარმოადგენდა ეკლესიას, საიდანაც გუშინ ხულიგან-ფანატიკოსი მკალავიშვილი აიყვანეს. თუმცა, ამ შემთხვევაში ეკლესიას თავისი დამოკიდებულების გამოხატვა არ დაუგვიანია, თანაც ამ დამოკიდებულებას ერთგვარად ულტიმატუმის ფორმაც კი ჰქონდა: "თუ ძალადობის აღკვეთისკენ მიმართული ქმედებანი მხოლოდ მკალავიშვილის იზოლაციით შემოიფარგლა და არ გაგრძელდა ამ დაპირისპირების გამომწვევის - იეღოველთა სექტის აგრესიული პროზელიტიზმის აღკვეთა, მაშინ ნათელი იქნება, რომ ამით გზა ეხსნება იეღოველთა დანაშაულებრივ საქმიანობას და საზოგადოებაც სწორედ ასე აფასებს ამ მოვლენებს," – წერია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში. სხვაგვარად ეს ასე ჟღერს: მკალავიშვილი კი დაიჭირეთ, მაგარამ, რის გამოც დაიჭირეთ, ახლა იგივე თქვენ, ხელისუფლებამ განახორციელეთო.

საპატრიარქოში გუშინ ისიც განაცხადეს, რომ სექტანტთა აგრესიული პროზელიტიზმით გაღიზიანებული მოსახლეობა (მაგალითად, საშინლად აგრესიული საქციელია, როდესაც ქუჩაში მიდიხარ და ვიღაც სულელი რაღაც ბროშურას შემოგაჩეჩებს) მათ ქმედებებს ძალადობით პასუხობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და, რომ ამდენად ეს არ იყო მხოლოდ მკალავიშვილის დაჯგუფების მოქმედება. ეს კი სხვაგვარად ასე ჟღერს: მკალავიშვილი ხალხის ნებას გამოხატავდა, მთავრობამ კი აიღო და ხალხის ნების გამომხატველი დააპატიმრა, ე.ი. რაღა დარჩა ახლა მთავრობას, რომელიც ხალხის ნებას უნდა გამოხატავდეს? რა და იეღოველებს თავად უნდა დაერიოს. აი ასეთი იყო მოკლედ საპატრიარქოს მიერ გავრცელებული სასწრაფო მესიჯი.

# წინასაარჩევნო ქულები

## ანუ ქვეყანა, სადაც სექსსა და სექსუალურ განათლებას ერთმანეთისგან ვერ არჩევენ

ნინო ცინცაძე

გუშინ ახლების ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ქალბატონმა ფიქრია ჩიხრაძემ ხმის კანკალით მოგვახსენა, რომ არ ეგონა, თუ 18 წლის თავზე ისევ მოუწევდა ქართული ენისა და ლიტერატურის სიწმინდეების და მართლმადიდებლური რელიგიის დაცვა. 18 წლის წინ კი ქალბატონი ფიქრია, მაშინ ჯერ კიდევ ნორჩი სტუდენტი, ამ სიწმინდეებს კომუნისტური რეჟიმისაგან იცავდა. მახსოვს ეს დრო. უნივერსიტეტში ბევრნი ვსწავლობდით. ქალბატონი ფიქრიას გარდა, ამ საქმით სხვებიც იყვნენ დაკავებულნი. ზოგი მათგანი დღეს, უბრალოდ, დიასახლისია, ზოგი გერმანიაში ცხოვრობს, ზოგი მასწავლებელია, ზოგი მონასტერში წავიდა, ზოგი უცხოელების ოფისში მუშაობს, ზოგს კი წინასაარჩევნოდ ახალგაზრდობის წლებით, შოთა რუსთაველითა და ვაჟაფშაველათი უწევს სპეკულირება.

ეროვნული აზრი, ეროვნული წარმოება ეროვნული სახელმწიფოსათვის - ასეთია "მემარჯვენე ოპოზიციის - მრეწველებისა და ახლების" წინასაარჩევნო ლოზუნგი. ისინი, ალბათ, თვლიან, რომ წინასაარჩევნოდ ეროვნულ "პედლებზე" მაგრად დაწოლის გარეშე, ფონს - ანუ 7პროცენტიან ბარიერს, ვერაფრით გავლენ. ჰოდა, რაც ძალა და ღონე აქვთ, აწვებიან, მაგრამ, თელასის ძველი რეკლამისა არ იყოს, ამას სჯობდა ელექტროენერგიის ფული თავის დროზე გადაეხადათ - ანუ ნოემბერში ხალხის გვერდით დამდგარიყვნენ.

დაძრულ მატარებელზე შეხტომა ძნელია; ამისათვის კაცმა ნებისმიერ ხერხს შეიძლება მიმართოს - მაგალითად, უბრალოდ, მოიტყუოს, რომ განათლების სამინისტროში ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის საათების შემცირებას აპირებენ უცხო ენების გაზრდის ხარჯზე; და რომ, სექსუალური აღზრდისა და სამოქალაქო განათლების შემოტანის ხარჯზე, სწავლებიდან საერთოდ უნდა ამოიღონ რელიგიის ისტორია.

საერთოდ, სპეციალისტები ხშირად აღნიშნავენ, რომ "ვეფხისტყაოსნის" სწავლა მეთერთმეტე კლასში უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე – მერვეში; რომ საქართველოს ისტორიის ცალკე, მსოფლიო ისტორიიდან მოწყვეტით, მოსწავლეთათვის მიწოდება უაზრობაა; ბევრი მიიჩნევს, რომ რელიგიის ისტორიის სწავლება ჩვენ ქვეყანაში უფრო პროფესიონალურად და დახვეწილად უნდა ხდებოდეს, მაგრამ განათლების სამინისტროს ახალ შემადგენლობას ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, არავითარი ნაბიჯები არ გადაუდგამს, არავითარი კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია და, მით უმეტეს, არც ერთი სკოლისათვის არ მიუმართავს - რელიგიის ისტორიის საათები შეზღუდეო.

წინასაარჩევნოდ აგორებულ ამ უსაფუძვლო ჭორებზე პასუხის გაცემა გუშინ თიანეთის სკოლა-ინტერნატიდან ახლად დაბრუნებულ განათლების მინისტრს უწევდა. **"ჩვენ შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმის მომხრეებისა და გაკოტრებული პოლიტიკოსების ცილისწამება - იმ ადამიანების ცილისწამება, რომლებმაც საკუთარ ხალხს უღალატეს, არჩეული გზიდან ერთი მილიმეტრითაც ვერ გადაგვახვევინებს. მათ საჯაროდ უნდა მოიხადონ ბოდიში იმ ამაზრზენი ტყუილისათვის, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში ავრცელებდნენ. ჩვენი პრიორიტეტი ეროვნულ ფასეულობებზე, ჰაგიოგრაფიის მარგალიტებზე, შოთა რუსთაველის შედევრსა და ვაჟას ფილოსოფიაზე გაზრდილი განათლებული ახალგაზრდობაა, რომელიც ნებისმიერ გარემოში იქნება კონკურენტუნარიანი. რაც შეეხება რელიგიის ისტორიასა და კულტურას, უნდა გითხრათ, რომ ჩვენი მიზანია, მოსწავლეებს საფუძვლიანად შევასწავლოთ ქრისტიანული, მართლმადიდებლური კულტურის საფუძვლები, ის უნიკალური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, რომლიც ჩვენ გვაქვს; ასევე - შევასწავლოთ მათ ისტორია იმ აღმსარებლობებისა, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მოქალაქეები, სხვადასხვა ეთნიკური თუ ქართული წარმომავლობის ადამიანები მისდევენ. ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ ყველაფერი იმ ძირითადი რელიგიების შესახებ, რომელიც ჩვენს მიწაზე ტრადიციულად არსებობდა - იქნება ეს ისლამი, კათოლიციზმი თუ სხვა",** - ამბობდა კახა ლომაია.

P.S. სხვათა შორის, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა რელიგიის გაკვეთილების სწავლებიდან ამოღების საფრთხეზე საპატრიარქოს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი ანდრიაძეს სთხოვა კომენტარი. მან განაცხადა, რომ რელიგიის გაკვეთილების შესახებ კონსულტაციები მიმდინარეობს და, ამ მხრივ, ბევრი რამ შესაცვლელია. ბატონმა გიორგიმ დასძინა, რომ არც ის იქნება დიდი ტრაგედია, თუ ამ საგანს სახელმწიფო სკოლებიდან საერთოდ ამოიღებენ. მას უფრო დიდ ტრაგედიად მიაჩნია სკოლებში სექსუალური აღზრდის გაკვეთილების შემოღება. ამ ქვეყანაში, ეტყობა, ხალხს სექსი და სექსუალური განათლება ერთმანეთში ერევა.

# ბასილ მკალავიშვილი საპყრობილეშია

თამარ კაციტაძე

მკალავიშვილის ძებნილად გამოცხადების შემდეგ თითქმის რვა თვე გავიდა. მას თბილისის პროკურატურა ადამიანების ფიზიკურ შეურაცხყოფას, რელიგიური აღმსარებლობისათვის ხელის შეშლასა და სხვისი ქონების განადგურებას ედავება. 2002 წლის თებერვალში გლდანის ეპარქიის მრევლმა მოძღვრის წინამძღოლობით დაწვა იეღოვას მიმდევარი, ბიბლიური საზოგადოების წევრის მამუკა სონღულაშვილის კუთვნილი ლიტერატურა. კანონის თანახმად, აღნიშნული ბრალდებების გამო მკალავიშვილს და მის თანამონაწილეს - პეტრე ივანიძეს ოთხიდან რვა წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. თავდაპირველად ბასილ მკალავიშვილს ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა, მაგრამ მოგვიანებით, იმ მიზეზით, რომ იგი გამოძიებას ხელს უშლიდა, შედარებით მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიება სამი თვით წინასწარი პატიმრობით შეეცვალა. ამ ხნის განმავლობაში, როგორც თავად ბასილ მკალავიშვილი ირწმუნება, იგი არავის დამალვია. მეტიც, მისი თქმით, იგი რეგიონებში მოსალოცად დადიოდა და ბოლო პერიოდში გლდანის ეკლესიაში მოღვაწეობდა, მაგრამ მისი დაჭერა არავის უფიქრია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული დროის მონაკვეთში მკალავიშვილსა და მის მრევლს არავისთვის შეუხსენებიათ საკუთარი არსებობა.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

მკალავიშვილის გამოწვევა სახელმწიფომ მიიღო.

გუშინწინ კი გლდანის ეპარქიის წარმომადგენლები ძებნილი მოძღვრის თაოსნობით, არც მეტი არც ნაკლები, ომბუდსმენის ოფისში უპრობლემოდ გამოცხადდნენ და განახლებული ენერგიით, მაგრამ ძველი მოწოდებებით პრესკონფერენციაც გამართეს, შემდეგ ასევე უპრობლემოდ საკუთარ ეკლესიას დაუბრუნდნენ.

**“ამით ბასილ მკალავიშვილმა სახელმწიფოს გამოწვევა ესროლა და ჩვენც მივიღეთ”, -** განაცხადა გენერალურმა პროკურორმა.

მაკალავიშვილის დასაკავებლად შინაგანი ჯარის ნაწილები გლდანის ეკლესიაში გუშინ, დილის 8 საათზე მივიდნენ, მაგრამ ფარებითა და ხელკეტებით შეიარაღებულ სამართალდამცველთ მკალავიშვილის მრევლი ქვებით დაუხვდა. რამდენიმე წუთიანი დაპირისპირების შემდეგ, შინაგანმა ჯარმა, რომელსაც თავთუხაშვილი ხელმძღვანელობდა, მანქანების გამოყენებით ეზოს მესერი გადაანგრია. ხალხით გარშემორტყმულ ეკლესიამდე კი მათ რეზინის ჯოხებით გაიკვლიეს გზა. თუმცა, მკალავიშვილის დასაკავებლად, რომელიც ტაძარში იყო ჩაკეტილი, ეს არ ყოფილა უკანასკნელი ბარიერი. ეკლესიის კარი სპეცრაზმმა სატვირთო მანქანით შეამტვრია და რვა თვის მანძილზე “ძებნილის” დაპატიმრების მძაფრსიუჟეტიანი სცენარიც ასე დასრულდა. გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის დროს გამოყენებული იყო ცრემლსადენი მაშხალები, რაც გენერალურმა პროკურორმა კატეგორიულად უარყო.

**“ასეთი სახით დაპატიმრებას არც ჩვენ ვგეგმავდით, მაგრამ სხვა ხერხი არ არსებობდა და სხვაგვარად ველარ დავიჭერდით”,** - განაცხადა მკალავიშვილის დაპატიმრების შემდეგ საზოგადოებაში შექმნილი აჟიოტაჟის გამო ირაკლი ოქრუაშვილმა. **“პოლიციელებმა შეცდომა დაუშვეს და იგი პრესკონფერენციის დროს არ დააპატიმრეს. ჩვენ ვიკვლევთ, ვინ იყვნენ ისინი და მათ შესაბამისი პასუხისმგებლობაც დაეკისრებათ”,** - გვპირდება გენპროკურორი.

და მაინც, ვისმა დაპატიმრებამ გამოიწვია ასეთი სკანდალი – მკალავიშვილის, რომელსაც მრავალათასიანი მრევლი ჰყავს თუ ჩვეულებრივი კრიმინალის? ირაკლი ოქრუაშვილს ამასთან დაკავშირებითაც მკაცრად ჩამოყალიბებული მოსაზრება გააჩნია.

**“ბასილ მკალავიშვილს გლდანის ეპარქიის ლიდერად მოიხსენიებენ, მაგრამ ამგვარი რამ ბუნებაში არ არსებობს. იგი განკვეთილია საპატრიარქოდან და, აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივი მოქალაქეა, რომელსაც ჩადენილი აქვს კონკრეტული დანაშაული და ძებნილი იყო",** - აღნიშნა გენპროკურორმა, რომელსაც საკუთარი პოზიცია წინამძღვრის გარეშე დარჩენილი ეკლესიის მიმართაც გააჩნია.

**"შენობა, რომელსაც ეკლესიას ეძახიან, უნდა ჩამოერთვას იმ პირებს, რომელთა კუთვნილებადაც იგი ითვლება. აღნიშნული ტაძარი საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა გადაეცეს და მასში რელიგიური წესის აღსრულება რეალურად უნდა განხორციელდეს",** - ამბობს ირაკლი ოქრუაშვილი.

როგორ განვითარდება მკალავიშვილის დაპატიმრების შემდეგ მოვლენები, მომავალი გვიჩვენებს. გუშინდელი დღე კი ასე დასრულდა...

ბასილ მკალავიშვილი დაპატიმრებისთანავე სამართალდამცველებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილეში გადაიყვანეს, მის გვერდით აღმოჩნდა პეტრე ივანიძეც. ხოლო გლდანის ეკლესიაში დაკავებული შვიდი პიროვნება, რომელიც პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევაში არის ეჭვმიტანილი, წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს.

რაც შეეხება თავად ეკლესიის ტერიტორიას, თვითმხილველთა თქმით, დაპირისპირებისას შენობა დაზიანდა, ხოლო მკალავიშვილის მრევლის რამდენიმე წევრი საავადმყოფოში მოათავსეს. მსუბუქად დაზიანებულებმა კი საპროტესტო აქციებისა და პრესკონფერენციების გამართვის შემდეგ სახლებს მიაშურეს.

# თბილისის საგზაო პოლიცია საველე პირობებში

**დანგრეული შენობა, სადაც თბილისის საგზაო პოლიცია ოპერატიულად გადააბარგეს, პრივატიზებული აღმოჩნდა**

ინგა ალავიძე

*“წახვალთ პირდაპირ, გაუხვევთ მარცხნივ და მიადგებით ფანჯრებჩამსხვრეულ და დანგრეულ კედლებს, ყაზარმასავითაა და ციხესაც ჰგავს, სინამდვილეში არც ერთი არ არის, ამბობენ, ახლა “გაი” იქნებაო, მაგრამ...” - ასე მიგვასწავლა თბილისის საგზაო პოლიციის ახალი მისამართი “ავლაბრის” მეტროსთან მდგარმა საგზაო ინსპექტორმა.*

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა არჩევანი საუკუნოვან არქიტექტურულ ნაგებობაზე - თბილისის საგზაო პოლიციის ოფისზე შეაჩერა, გადაწყდა, რომ მე-18 საუკუნეში აგებულ ჟანდარმერიის ყოფილ შენობაში პრეზიდენტის რეზიდენცია დაიდებდა ბინას.

თბილისის საგზაო პოლიციას კი დიდი ძებნა-რჩევის შემდეგ ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო ნაწილების ყოფილი საწყობის ტერიტორია ერგო. სხვათა შორის, შენობა, რომელიც 1810 წელს არის აშენებული, სხვადასხვა დროს სხვადასხვა უწყების სათავსოდ გამოიყენებოდა, ადრე ის ჟანდარმერიის ცხენოსანი ნაწილის თავლაც კი იყო.

მართალია, თბილისის საგზაო პოლიციამ ძველი შენობა ერთი კვირის წინ დატოვა, მაგრამ ახალში დაბინავება, ჯერჯერობით, ვერ შეძლო. ვერ შეძლო ერთი სერიოზული პრობლემის გამო – შენობა, რომელშიც საგზაო პოლიცია უნდა დასახლდეს, მართალია, გაცილებით დიდია, ვიდრე ძველი, მაგრამ მას შენობა პირობითად შეიძლება ეწოდოს.



საგზაო პოლიციის ახალი შენობის ექსტერიერი,


გოგიტა ბახაიძის ფოტოები

საგზაო პოლიციის ახალი შენობის ინტერიერი,

ერთი “ღირსება”, რაც 1810 წელს აგებულ ამ სათავსოს გააჩნია, ეს კედლებია, რომლებიც, ჯერჯერობით, მყარად დგას და ის რამდენიმე მინებჩამსხვრეული, სახურავგადახდილი და იატაკჩანგრეული ოთახია, რომელშიც კადრების განყოფილებაა დასახლებული.

საგზაო პოლიციაში დღეისთვის, ფაქტობრივად, ერთი განყოფილება მუშაობს – ადმინისტრაციული, რომლის გამართვაც 24-საათიანი სარემონტო სამუშაობის ჩატარების შემდეგ თავად საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა შეძლეს. თუმცა, საკუთარი შესაძლებლობებით მათ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ სახურავ და იატაკჩანგრეული საწყობის ერთი ნაწილი, ფანერისა და დიქტის მასალით, რომელიც ძველი შენობიდან წამოიღეს, გადატიხრეს. ასე ამოქმედდა ადმინისტრაციული განყოფილება, რომელიც ურჩი მძღოლების საჯარიმო სანქციებს იბარებს და ჩამორთმეულ მართვის მოწმობებს გასცემს. იმ პირებს კი, ვისაც ახალი მართვის მოწმობების აღება სურთ, ლოდინი მოუწევთ, რადგან სარეგისტრაციო განყოფილება, თავის სოლიდურ დოკუმენტაციასთან ერთად, ფაქტობრივად, დანგრეული შენობის ერთ ძველ კარადაშია გამოკეტილი და გუშაგი იცავს. არადა, მასში თბილისში რეგისტრირებული იმ 145 ათასი მანქანისა და მათი მფლობელების შესახებ არსებული მართლაც სერიოზული არქივია.

**“ძალიან კმაყოფილები ვართ. აქ ორშაბათს გადმოვედით და დავლაგდებით კიდეც. ჩვენ სამხედროები ვართ და თუ საჭირო იქნება, კარავშიც ვიმუშავებთ,”** – ასეთია ამჟამად “საველე მდგომარეობაში” მყოფი უწყების - თბილისის საგზაო პოლიციის უფროსის გია ბერაძის შემართება, რომელსაც, ჯერჯერობით, სამუშაოდ არც კარავი და არც ოთახი გააჩნია. შენობის გარეშე დარჩენილი სხვა თანამშრომლები, რომლებიც ეზოში არიან თავმოყრილნი, კარგი ამინდის მოლოდინში ცას შეჰყურებენ, გაზაფხულის მოსვლას ნატრობენ და უფროსის მსგავსი საბრძოლო განწყობილებით ნამდვილად არ გამოირჩევიან. **“უზარმაზარი ეზო გვაქვს. გაზაფხულზე აქ ყოფნას არაფერი სჯობს, მაგრამ ახლა დიდი პრობლემები გვაქვს. იმ ოთახებშიც კი, რომლებიც გავარემონტეთ, წყალი ჩამოდის, ერთი კარგად თუ იწვიმა, თავზე დაგვემხობა ყველაფერი,”** – აცხადებენ საგზაო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც, მართალია, უფროსის თანდასწრებით ჩივილს ვერ ბედავენ, მაგრამ მალულად და გულწრფელად აწუხებთ შექმნილი სიტუაცია.

საგზაო პოლიციის ახალმოსახლეობა სპონტანურად მოხდა და იმდენად ოპერატიულად, რომ შენობა შსს-ს ოფიციალურად საკუთრებაში ჯერ არ გადასცემია და ამიტომაც არც სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო თანხების გამოყოფა მომხდარა. შსს-ს სამეურნეო დეპარტამენტის უფროსის ქეთევან ნაცვლიშვილის განცხადებით, თბილისის საგზაო პოლიციის შენობა სამინისტროს ბალანსზე ჯერ მართლაც არ გადასცემია, **“ამის გამო მათ ვერანაირი ფინანსური დახმარება ვერ გავუწიეთ. არადა, როგორც მითხრეს, იქ საშინელი სიტუაციაა, სახურავი გადახდილია, იატაკი ჩანგრეული, ერთადერთი განყოფილება თანამშრომლებმა საკუთარი ძალით გადატიხრეს და მხოლოდ ის მუშაობს, თანაც ისიც მოუწყობელია, ანუ, ფაქტობრივად, შენობა არ არსებობს. ძალიან განვიცდი მათ მდგომარეობას, ხვალ ვაპირებ შენობის დათვალიერებას, მაგრამ, სამწუხაროდ, სარემონტო თანხების გაცემას, ჯერჯერობით, ვერ ვახერხებ,”** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქეთევან ნაცვლიშვილმა.

**“ძველი შენობა, ფაქტობრივად, ჩვენ გავარემონტეთ, ახლაც ჩვენით რომ გავაკეთოთ რამე, იმას გვეტყვიან, როგორ გააკეთეთო, ვართ ასე - ეზოში თავმოყრილები, ტერიტორია დიდია და დავდივართ ექსკურსიაზე, თანაც საქმე ისაა, რომ შესაძლოა, არც დაგვტოვონ ამ შენობაში; ისე, თუ არ ვჭირდებით, რას გვაწვალებენ, გვითხრან პირდაპირ,”** – აცხადებენ საგზაო ინსპექტორები და, როგორც ჩანს, მათ ეჭვებს, რომ შესაძლოა შენობა დაატოვებინონ, სერიოზული საფუძველი გააჩნია. არსებული ინფორმაციით, შენობა, სადაც თბილისის საგზაო პოლიცია ოპერატიულად გადააბარგეს, პრივატიზებულია – იგი კერძო პირის საკუთრებაა. **“როგორც მითხრეს, შენობა პრივატიზებულია და სანამ ეს საკითხი არ გაირკვევა, სარემონტო სამუშაოებსაც ვერ ჩავატარებთ, რადგან მისმა მეპატრონემ შესაძლოა, რომ სასამართლოს ძალით დაგვატოვებინოს შენობა და სარემონტო თანხებიც დაიკარგება,”** – განაცხადა “24 საათთან” საუბრისას ქეთევან ნაცვლიშვილმა.

ერთი სიტყვით, თბილისის საგზაო პოლიცია დღეს, ფაქტობრივად, პარალიზებულია – ერთ-ერთი სერიოზული ადმინისტრაციული უწყება ქუჩაშია დარჩენილი და როგორ გადაწყდება მისი ბედი, ჯერჯერობით, ესეც უცნობია. **“ამბობენ, შენობა პატარკაციშვილის საკუთრება არისო. თუ მართლაც მისია - გადავრჩენილვართ, ალბათ, არ გაგვყრის. შეიძლება აქ სპეციალურადაც შემოგვიშვეს,”** – ასე ხუმრობენ ეზოში თავმოყრილი ინსპექტორები.

# უზენაეს სასამართლოში მომხდარი ინციდენტი მალევე განიმუხტა

*გუშინ უზენაესი სასამართლოს შენობაში თითქმის დასრულებული სასამართლო პროცესიდან პატიმარმა გაქცევა სცადა, ხელყუმბარა გახსნა და მძევლების აყვანაც მოახერხა. თუმცა, მან ვერ შეძლო დაეტოვებინა სასამართლოს შენობა და სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში მოსამართლის სათათბირო ოთახში ძალოვანი უწყებების პირველ პირებთან მოლაპარაკების წარმოების შემდეგ ჯერ მძევლები გაათავისუფლა, მერე ხელყუმბარა ჩააბარა და ბოლოს თვითონაც ჩაბარდა სამართალდამცველებს.*

უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ლენგერ ბოჭორიშვილმა გუშინ განაჩენი წაუკითხა სამ განსასჯელს: ფრიდონ ჯობავას, მამუკა ბეჭვაიასა და გოდერძი ჯოღერგიშვილს. ამათთაგან პირველს - ფრიდონ ჯობავას, რომელსაც ცხრა ყაჩაღობისა და ორი მკვლელობის ჩადენა ბრალდებოდა, მოსამართლემ უვადო პატიმრობა მიუსაჯა. დანარჩენებს კი რვა და ათი წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარა. დამსწრეებს დარბაზი უკვე დატოვებულიც კი ჰქონდათ და იმ დროს, როდესაც ბადრაგმა პატიმრების ციხეში გადასაყვანად გალიის კარი გააღო, ჯობავამ საიდანღაც ამოიღო ხელყუმბარა, გახსნა, გათავისუფლების მოთხოვნით სათათბირო ოთახისკენ გასვლა და მძევლის აყვანაც მოასწრო. მოგვიანებით გაირკვა, რომ თავდაპირველად მძევლად აყვანილი ბადრაგის წევრებიდან ერთ-ერთს ჩაენაცვლა ჯობავას ერთ-ერთი თანამზრახველის - მამუკა ბეჭვაიას მამა. გახსნილი ხელყუმბარით ხელში ჯობავა მისთვის გზის გახსნასა და გაქცევის საშუალების მიცემას ითხოვდა.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ იქნა მობილიზებული სპეცდანიშნულების რაზმი. უზენაეს სასამართლოში მივიდნენ და ყოველგვარი კომენტარის გარეშე შენობაში შევიდნენ უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი, უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი, ქალაქის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე მირზა დოლიძე, უშიშროების სამინისტროს და სხვა ძალოვანი უწყებების თანამშრომლები. უზენაესი სასამართლოს შენობიდან მოხდა ხალხის ევაკუაცია; მეტიც, გაიცა ბრძანება, რომ ხალხი 200 მეტრით მოშორებოდა უზენაესი სასამართლოს შენობას, რათა საჭიროების შემთხვევაში დაწყებული სპეცოპერაციის ჩატარებისას არავინ დაშავებულიყო. საბოლოოდ, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გულწასულს, რომელთა მოსულიერება ადვილად შეძლეს შემთხვევის ადგილზე მობილიზებულმა სასწრაფო დახმარების ექიმებმა.

ძალოვან უწყებათა პირველ პირებს არც ისე დიდ ხანს მოუხდათ ჯობავასთან მოლაპარაკებების წარმოება. ბოროტმოქმედმა ჯერ მძევლები გაათავისუფლა, შემდეგ ხელყუმბარა ჩააბარა, ბოლოს კი თვითონაც ჩაბარდა სამართალდამცველებს.

იგი საპატიმროშია გადაყვანილი. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ განსასჯელის სკამზე მჯდომს სასამართლო დარბაზში ხელყუმბარა აღმოაჩნდა, ამის თაობაზე მოგვიანებით გაკეთებულ კომენტარში გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა აღნიშნა: **"სასწრაფოდ უნდა გაირკვეს, როგორ მოხვდა ხელყუმბარა განსასჯელის ხელში და ის პირები, რომლებსაც თანამდებობრივად ევალებათ მსგავსი ექსცესების თავიდან აცილება, მკაცრად უნდა დაისაჯონ."**

მოგვიანებით მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით დაიბარეს ადვოკატი ზვიად მუმლაძე. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, "ლიმონკა" პატიმარს შესაძლოა, მისმა ადვოკატმა მიაწოდა. თუმცა არ გამორიცხება ამ ფაქტთან ბადრაგის წევრების კავშირიც.

საქმე ის გახლავთ, რომ პროცესზე წაყვანისას პატიმრებს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოყვანის დროსაც ჩხრეკენ და სასამართლო დარბაზში შესვლის წინაც.

*24 საათი*

## მოკლედ

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და თბილისის მე-5 საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა საპყრობილეში ნარკოტიკის შეგზავნის მცდელობისას საპყრობილის საამანათოში ორი პირი დააკავა. იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, 35 წლის ნოე კორსავას მიერ პატიმარ ბლიაძისათვის მიტანილ ამანათში შენიღბული გზით ჩადებული იყო 0,02 გრ. ჰეროინი. გუშინვე დააკავეს 31 წლის დავით თურმანიშვილი, რომელიც პატიმარ გურგენიშვილისთვის 0,58 გრ. ჰეროინის შეგზავნის მცდელობაშია ეჭვმიტანილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ახალციხე.** გუშინ ახალციხის რაიონულ სასამართლოში 20 წლის ალეკო ლეკიშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა. ლეკიშვილმა ახალციხეში მარდის ეკლესიიდან ოთხი ძვირფასი ხატი მოიპარა და მათ გაყიდვას გეგმავდა. ადრე ქურდობაზე ნასამართლევი ლეკიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ამჯერად 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით აღიძრა, რაც 2-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. თუმცა გუშინ მოსამართლე ნელი ღონღაძემ განაცხადა, რომ სასამართლომ გაითვალისწინა ლეკიშვილის ოჯახური მდგომარეობა, კერძოდ, ის გარემოება, რომ უმამო მსჯავრდებულს ავადმყოფი დედა და მსჯავრდებული ძმა ჰყავს და სამთვიანი პატიმრობის შემდეგ მას მხოლოდ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის პოლიციამ ხაშურის რაიონში ჩატარებული სპეცღონისძიების შედეგად დააკავა ქურდულ სამყაროში ცნობილი ავტორიტეტები, წარსულში სხვადასხვა დანაშაულებისთვის ნასამართლევი გიორგი ორაშვილი და ვლადიმერ შათირიშვილი. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ცნობით, ორაშვილის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცავებმა ჯერჯერობით დაუდგენელი ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული იქნა ნარკოტიკული საშუალება ყაყაჩოს თესლი. ორივე ეჭვმიტანილი შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისელმა სამართალდამცავებმა შეიარაღებული კრიმინალური დაჯგუფების რამოდენიმე წევრი, მათ შორის ე.წ. “კანონიერი ქურდი” როსტომ იობიძე (მეტსახელად - “მალიშა”) დააკავეს. იობიძე ქუთაისელ, წარსულში ნასამართლევ 30 წლის გენადი არტშულერთან, გარდაბნის რაიონში მცხოვრებ ზურაბ ძიძიკაშვილსა და ფოთში მცხოვრებ, 34 წლის გოჩა ჯიქიასთან ერთად თავს დაესხა ქუთაისში მცხოვრებ ნუგზარ სარჯველაძის ოჯახს. დაკავებული ძიძიკაშვილისაგან სამართალდამცავებმა ამოიღეს უნომრო პისტოლეტი “პარაბელუმი” მჭიდითა და რვა ვაზნით, ხოლო ჯიქიასაგან პისტოლეტი მაკაროვი მჭიდითა და რვა ვაზნით. ჯიქია, ძიძიკაშილი და არტშულერი დაკავებისას იმყოფებოდნენ ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. **პრაიმ-ნიუსი**

# ფიქრები საქართველოზე

პირველი გვერდიდან

ერთი სიმღერა არ გამიგონია საქართველოში. სამაგიეროდ, ბევრი ყვირილია... სიცილი, რომელმაც გაუძლო საშინელ დღეებს და ერსაც გააძლებინა, დღესდღეობით იშვიათი ხდება...

რუსული არაფერი! და რუსი არც ერთი. ვითომც აღარ უნდა საქართველოს, მაგრამ ამავე დროს საქართველო გარუსდა.

ეკლესიაში ადრე ქართველი გამართული იდგა, ახლა იმათსავით იჩოქებს და პირჯვარს იწერს და ჰგონია, რომ ეს იხსნის... ადრე ქართველობა და რწმენა ეკლესიის გარეთ გვემჩნეოდა - სიყვარულში, სითბოში, ადამიანობაში...

დღეს დაკარგული ღირსების ნაცვლად ღმერთის წამდაუწუმ ხსენებაა. ისტერიული "რელიგიოზურობა", ცრუ მისტიციზმი, რასაც მე ვარქმევ რუსობას... ის რუსი, რომელსაც შეეძლო ერთი ხელით პირჯვარი გადაეწერა და მეორეთი ქართული ეკლესიის ფრესკები შეეთეთრებინა, ახლა ჩვენში ჩასახლდა... ჩვენც იმას ვშვებით დღეს, როცა ქართველი ერის სიდიადეზე ვლოცულობთ და საქმით კი ვგმობთ იმას და იმათ, რაც და ვინც იყვნენ ამ სიდიადის ნაწილები და მონაწილენი...

რა დრო იკარგება? დრო გაძლიერებისა. დრო ჭეშმარიტებისა. დრო ზომიერებისა. ერი რომ აღსდგეს, სჭირდება არა ლოზუნგები და ლიდერები, არამედ გადაწყვეტილება და გამხნევება - ყველა თავის ადგილზე უნდა იდგეს და იქვე იბრძოდეს: გლეხი - მიწაზე... მუშა - ქარხანაში... სტუდენტი - სასწავლებელში... ინტელიგენტი - აზროვნებაში და პრინციპულ პოზიციაში... ანუ იქ, სადაც "ვის რა ბედმან მისცეს"... და მაშინ, მაშინღა მხოლოდ - ქართველი ერი თავისით წარმოშობს თავის მეთაურს! (არა მესმის რა ამ ახალი სიტყვათა კონის: იმ ერს, რომელსაც ამდენი "მე-თაურ-ები", "ერის-თავები" და "ხელ-მწიფენი" ჰყავდა, რაში სჭირდება "ლიდერები". ის ერი, რომელმაც ამდენი მსოფლიო ხელოვნების ღირსების ძეგლი დააარსა ფორმით და სულით, რატომ უნდა ამაყობდეს ან იგუებდეს სიტყვას "არა-ფორმალები?!").

არ შეიძლება არავინ დაიგმოს:

- მასა რომ "ცუდად იქცევა", მისი კივილი და ჭყივილი მისი ბრალი კი არ არის, არამედ იმათი, ვინც წინ არ მიუძღვის სწორად და ვერ გამოუკვლევია ჭეშმარიტი გზა; ინტელიგენტები (არ ვამბობ "ინტელიგენცია", რადგან საქართველოში ინტელიგენცია არასოდეს არსებულა და


სალომე ზურაბიშვილი.

ახლაც თუ არსებობს, იგი ახასიათებს მხოლოდ "საბჭოურობას" და არა ქართველობას) რომ "გვერდზე დამდგარან და სდუმან" - სწორედ იმიტომ. ჭეშმარიტი ინტელიგენტის მოვალეობაა, იდგეს და სიტუაცია შეიგრძნოს და გააანალიზოს. "იდგეს იქ, სადაც ქარიშხალია" და არ იცდუნოს. არ მიჰყვეს დროების ქარიშხალს...

არ არის დრო ერთიმეორის სიძულვილის. საქართველოს მკურნალობა სჭირდება, სანამ მოვა გათავისუფლება, თორემ, ქართველი ერი, საქართველო მხოლოდ გადავა ციხიდან ფსიქიატრიულში და ველარ მოესწრება კარების გახსნას. ამ მკურნალობას სჭირდება დაწყნარება და დამშვიდება. დაწყნარება სულაც არ არის ის, რასაც ვუწოდებთ უარყოფითად: "გაჩერება-დათმობა-მოთმენას". ეს ყველაფერი ეყო საქართველოს ამ ორასი და უფრო მეტად სამოცდაათი წლის მანძილზე.

არა, დაწყნარება ნიშნავს ცრუ და მაცდური შიშის გადალახვას: არც მიწისძვრა, არც თურქეთის თავდასხმა, არც რეჟიმის შეცვლა, არც "აფხაზები" და არც "ლეკები", და არც სხვანი არ ემუქრებიან საქართველოს მომავალ ბედიღბალს. ერთადერთი რეალური საშიშროება არის ჩვენი დაბნეულობა, ჩვენი დეპრესია, ალგზნებული იმედები და ჩაკირული უიმედობა.

დამოუკიდებლობის გზა ღია არის, როგორც ყოველთვის იყო. ილიას მოკვლამდე და 24 წლის აჯანყების დამარცხებამდე...

ჩვენზე არის დამოკიდებული, თუ როდის განხორციელდება იგი...

**ს. ქართველი**

*თბილისი-მოსკოვი-პარიზი. 25.7.90.*

ბოლოთქმა

**ს. ქართველი, რომლის წერილსაც ეს-ესაა გაეცანით, გახლავთ სალომე ზურაბიშვილი.**

**პირადად მე აღტაცებული ვარ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში ჩაუყენოს სალომე ზურაბიშვილი.**

**ამ ცამეტი წლის წინათ, როცა ს. ქართველის წერილს სასტამბოდ ვამზადებდით, აწ განსვენებული აკაკი ბაქრაძე და მე განცვიფრებულები ვიყავით "უცხოელის" ფიქრებით საქართველოზე. ვაღიარეთ, რომ ამ ადამიანმა, რომელიც ცხოვრობდა შორეულ პარიზში, ჩვენზე უკეთ იცოდა, რა გვჭირდა და როგორ უნდა გვეცხოვრა მომავალში!..**

**სულით და გულით მივესალმები ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის დანიშვნას და ბედნიერებას ვუსურვებ მის ორ სამშობლოს!..**

*ტარიელ ჭანტურია*

# "ჩვენ ვმონაწილეობთ არჩევნებში?"

პირველი გვერდიდან

ახალციხეში შუქი თითქმის არ არის, იშვიათად მოდის და დღეში მხოლოდ ორ საათს ბჟუტავს. ახალციხის რაიონის სოფლებში ბევრმა არ იცის, რომ 28 მარტს მათ ახალი პარლამენტი უნდა აირჩიონ. **"გაზეთებს ხალხი არ კითხულობს, ტელევიზორს ვერ უყურებს... ჩვენ რაც შეგვიძლია, ვაკეთებთ, მაგრამ ასეთ სოციალურ პირობებში ძნელია, ხალხი არჩევნებით დააინტერესო,"** - ამბობს ახალციხის საოლქო კომისიის თავმჯდომარე დავით ნარიმანიშვილი.

თბილისის ამბები აქ ცოტა ვინმემ თუ იცის. ერთადერთი, რაშიც ახალციხის მოსახლეობა ერთსულოვანია, ეს პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ დიდი ნდობაა.

**"გადაეცით სააკაშვილს, რასაც მე გეტყვით... მაგას ენაცვალოს დედა, ჭკვიანი ბიჭია... მაგის იმედი გვაქვს, იქნებ ფქვილი გააიაფოს... ეკლესიაში დავდივარ და იქ მღვდელმა მითხრა - თუ ფქვილი გაძვირდა, ჭამას მოუკელიო. ისედაც ცოტას ვჭამ, აბა, სულ არ ვჭამო?"** – ამბობს 72 წლის ანა ბითაროვი სოფელ ნაოხრებიდან.

ამ სოფლიდან მაღლა მთებისკენ რომ წახვიდე, სულ რაღაც, ოც კილომეტრში უკანასკნელი ქართული სოფელია – არალი. აქ ქართველი მესაზღვრეები საქართველო-თურქეთის საზღვარს იცავენ. გუშინ არალში თოვდა და ძალიან ციოდა. როგორც ერთ-ერთმა მესაზღვრემ გვითხრა, აქ აპრილშიც თოვლი იცის. მესაზღვრეები ბედს არ უჩივიან, ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტების შეკითხვებს ვაჟკაცურად შეხვდნენ და, ძალიან კარგად ვართო, - გვითხრეს. 28 მარტს მესაზღვრეთა ნაწილი უახლოეს სოფელში – წყალთბილში ჩავა და არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. ხოლო მათ, ვინც 28-ში მორიგე იქნება, წყალთბილიდან მოძრავ საარჩევნო ყუთს საგუშაგოსთან ამოუტანენ.

როგორც ახალციხის საოლქო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, ახალციხე არჩევნებისთვის მზად არის. საორგანიზაციო საკითხების მზადყოფნაში ჟურნალისტები გუშინ თავადაც დავრწმუნდით, ყველა უბანი ღია დაგვხვდა, სიები ყველგან გამოკრული იყო. უფრო მეტი პრობლემებია იმ სოფლებში, სადაც ძირითადად სომხური მოსახლეობა ცხოვრობს - ძირითადი პრობლემა, რა თქმა უნდა, ენის ბარიერია. სიები, ისევე როგორც საარჩევნო ბიულეტენები, ქართულ ენაზეა შედგენილი, ბევრმა კი ქართული არ იცის...

ახალციხელები, ვისაც "24 საათი" ესაუბრა, 28 მარტს არჩევნებზე მისვლას აპირებენ. **"მივალთ იმიტომ, რომ საჭიროა... ხმას ვის მივცემ? მე რა ვიცი? ამას, ალბათ, ვილაპარაკებთ მეზობლები, სახლში გადავწყვეტთ და ვისაც საჭირო იქნება, იმას მივცემთ..."** – ამბობს ახალციხელი როზა მამულაშვილი. "ვარდების რევოლუციამ" ახალციხელთა საარჩევნო მენტალიტეტს ვერაფერი დააკლო. სახელმწიფოს ამ ხალხის სამოქალაქო განათლებაზე არასოდეს არც ერთი თეთრი არ დაუხარჯავს. რომელ განათლებაზეა საუბარი, ხალხს სასმელი წყალი ენატრება... **"ამ რეგიონში სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებაა საჭირო, ეს არის ყველაზე უმთავრესი,"** – ახალციხის საარჩევნო უბნების მონახულების შემდეგ განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. საარჩევნო ოლქის საარჩევნო მზადყოფნით ჭიაბერაშვილი გუშინ კმაყოფილი დარჩა, მხოლოდ რამდენიმე მცირე შენიშვნა გამოთქვა. დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბორჯომსა და ახალქალაქს ეწვევა.

# "რუსთავი საერთო-ეროვნული პრობლემაა"


ზურაბ ჟვანია მეტალურგიულ ქარხანაში, რომელმაც რუსთავი ააშენა.


ეროსი კიწმარიშვილს ბევრი ფიქრი მოუწევს მშობლიურ ქალაქზე.

პირველი გვერდიდან

მეტალურგიულ კომბინატში, თითქმის მთლიანად ჯართად დაჭრილი მარტენის საამქროს დათვალიერების შემდეგ, ჟვანიამ იტალიელ ინვესტორთან, "არეს ინტერნაციონალესთან" დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: საქართველოს მთავრობა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს იტალიელებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნამდვილად შემოიტანენ ელექტროღუმელს და თუ ამ ვალდებულებას ისინი ქაღალდზე დააფიქსირებენ. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ არავის მივცემთ უფლებას დაჭრას და ჯართად გაიტანოს ქარხანა,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

"24 საათს" "არესის" წარმომადგენელმა სერიოგინმა ორი დღის წინ განუცხადა, რომ ელექტროღუმელის შემოტანის საკითხს ინვესტორები ჯერ არ განიხილავენ და, საერთოდაც, მათ თურმე ახალი რეაბილიტაციის გეგმა შეიმუშავეს, სადაც მილსაგლინავი საამქროს ევროპულ დონეზე აყვანაზეა საუბარი, ელექტროღუმელის საკითხი კი გაურკვეველია.

**"თუ ინვესტორები დადებენ რეალურ პროგრამას, ჩვენ ყველანაირ მხარდაჭერას აღმოვუჩენთ. მაგრამ თუ არ იქნება ეს კონკრეტული ვალდებულებები, მაშინ, რა თქმა უნდა, მოინახება სხვა გზები,"** - ასეთი იყო პრემიერ-მინისტრის მიერ გამოთქმული ზოგადი დამოკიდებულება უცხოელი ინვესტორებისადმი.

## რუსთავული ანკლავი - სოციალ-ეკონომიკური ექსპერიმენტის ნაწილი

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ გუშინ რუსთავის ინტელიგენციას ოფიციალურად აცნობა, რომ შეიქმნა პირველი სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელიც ქალაქ რუსთავის სტრატეგიული განვითარების საექსპერიმენტო გეგმას შეიმუშავებს. კომისიის თავმჯდომარე თავად პრემიერ-მინისტრი იქნება, თუმცა მის ყოველდღიურ ანუ რეალურ ხელმძღვანელად ზურაბ ჟვანიამ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, ბიზნესმენი ეროსი კიწმარიშვილი დაასახელა, რადგან **"მას ნამდვილად შესტკივა გული მშობლიურ ქალაქზე".**

**"დღეს პირველად ვამბობ საჯაროდ - ჩვენ ვიპოვით რუსთავის განვითარების სრულიად ახალ ნიშებს. მაგალითად, მე არანორმალურად მიმაჩნია, რომ დედაქალაქში ყველა ნაბიჯზე გახსნილია კაზინოები. რუსთავის მახლობლად არის ცარიელი ტერიტორია. აქ იქნება ერთგვარი ანკლავი, სადაც მთლიანად გადმოვა სათამაშო ინდუსტრია. აქვე გაკეთდება ეგრეთ წოდებული გიგამარკეტები, საცალო ვაჭრობის სპეციალური ცენტრები. ეს ყველაფერი მიებმება რუსთავს და მის ბიუჯეტს ძალიან წაადგება,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**"ეს იქნება რუსთავის გადარჩენისთვის მომუშავე კომისია. ამ ქალაქს უნდა გაუჩნდეს აზრი და ფუნქცია. ეს იქნება ორგანო, რომელიც არა დროის მოკლე პერიოდში, არამედ წლების მანძილზე იმუშავებს. მიდგომა ასეთი იქნება: პირველ რიგში მოხდება ქალაქის დღევანდელი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება-ინვენტარიზაცია. ამის შემდეგ აუცილებელია მარტივი, უცხოელებისათვის გასაგები ბიზნეს-გეგმის დაწერა და უახლოეს თვეებში რეალური ნაბიჯების გადადგმა. რაც მთავარია, რუსთავის მაგალითზე ჩვენ უნდა შევქმნათ მოდელი, რომელსაც შემდეგ საქართველოს სხვა ქალაქებშიც განვახორციელებთ,"** - განაცხადა ეროსი კიწმარიშვილმა. მან რამდენჯერმე გაუსვა ხაზი, რომ ეს პროექტი არ არის მხოლოდ ბიზნესზე ორიენტირებული, მისი მთავარი მიზანი რუსთავის სოციალური პრობლემების მოგვარებაა და, რაც მთავარია, ეს არის ღია პროექტი, რომელშიც მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, აქტიურად უნდა ჩაერთოს რუსთავის მოსახლეობა.

გუშინ რუსთავის ექსპერიმენტზე არაფერი უთქვამს რუსთავის მერს მერაბ ტყეშელაშვილს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ის პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ამ ექსპერიმენტის იდეა გამოთქვა და მისი თეორიული მხარის დამუშავებაც დაიწყო. რუსთავის მახლობლად ქართული "ლას ვეგასის" მოწყობის შესაძლებლობაზე რუსთავის მერი ერთი წლის წინაც საუბრობდა, თუმცა მაშინდელმა ხელისუფლებამ ამ გზით სათამაშო ბიზნესის ლეგალიზება არ მოისურვა.

რუსთავის ინტელიგენციას, რომელიც ახალი პროექტის წარდგინებას დაესწრო, მისით აღფრთოვანება არ გამოუთქვამს. მათთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ქარხნების გარდა, რუსთაველებს კაზინოებშიც მოუწევთ მუშაობა.

- ხომ გაიგეთ, ეროსიმ რა თქვა, ამ საქმესაც ისე ავაწყობ, როგორც ჩემს ბიზნესსო. მაგისი იმედი გვაქვს ახლა, - ამბობდა შეხვედრიდან გასული რუსთაველების ერთი ნაწილი, მეორე ნაწილი კი სკეპტიკურად დუმდა.

*თვალსაზრისი*

# პოლიტბაბუების შემოდგომა

პირველი გვერდიდან

ამავე დროს აჭარა, ფაქტობრივად, ცენტრის იურისდიქციის მიღმა რჩებოდა და ჩოლოქს იქით ერთადერთი კანონი ასლან აბაშიძის ნება იყო. ნიშანდობლივია, რომ აჭარის კონსტიტუცია საიდუმლო დოკუმენტად არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობისათვის, არამედ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვისაც კი რჩება.

თავისი ნებისა და ინტერესების დასაცავად ასლან აბაშიძემ შექმნა პარტია "აღორძინება", რომლის თითქმის ერთადერთი ფუნქცია თბილისში აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლობა იყო. ვამბობთ "აღორძინებას", ვგულისხმობთ ასლან აბაშიძეს და პირიქით. მიუხედავად უმწვავესი დაპირისპირებისა, საჭიროების შემთხვევაში, ედუარდ შევარდნაძეც და ასლან აბაშიძეც იოლად ახერხებდნენ საერთო ენის გამონახვას. ისინი გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს ძალაუფლების გადანაწილებისთვის, მაგრამ ეხმარებოდნენ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის. ეს არც ისეთი პარადოქსია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მთელ საქართველოში იყო მმართველობითი სისტემა, რომელიც ეფუძნებოდა პიროვნების ნებას და არა კანონს. უბრალოდ, ქვეყანა ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ჩოლოქს აქეთ სივრცეს დიდი ბაბუ განაგებდა, ჩოლოქს გადაღმა - პატარა ბაბუ. ორივე ცდილობდა, ერთადერთი ბაბუ ყოფილიყო მთელ ქვეყანაში, თუმცა, ამავე დროს, ორივე თავგამოდებით იღვწოდა თავად პოლიტიკური ბაბუობის ინსტიტუტის შესანარჩუნებლად. ეს მათი მხრიდან სრულიად ლოგიკური იყო, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ინსტიტუტის შეცვლა მათი პოლიტიკური კარიერის დასასრულიც იქნებოდა. სწორედ ამიტომაც, მართალია ერთმანეთის სერიოზული "ვერატანა" სჭირდათ, მაგრამ კიდევ უფრო ვერ იტანდნენ თუნდაც მეტოქესთან დაპირისპირებულ ძალებს, რომელთაც თავად ბაბუობის ინსტიტუტის შეცვლა ეწადათ. ედუარდ შევარდნაძე, ასლან აბაშიძე და "აღორძინების" წევრები ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ ისინი ერთმანეთის უკანასკნელი პოლიტიკური მოკავშირეები აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ ეს არ იყო ბედის ირონია, უპირველესად ეს იყო შედეგი და დასტური მათი ერთ ბედქვეშ ყოფნისა.

ორ ბაბუს შორის ერთი განსხვავებაც არის. ედუარდ შევარდნაძეს თავისი კარიერის დასასრულს ფაქტობრივად აღარ დარჩა მხარდამჭერი. აბაშიძე კი ერთი ადამიანი არ არის, სინამდვილეში იგი მოიცავს უამრავ განშტოებას, რომლებიც თავიანთი ლიდერის სახით საკუთარ თავსაც იცავენ, რადგან მათთვის აბაშიძის გადადგომა კიდევ უფრო ტრაგიკული შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე თავად აბაშიძისთვის. საგულისხმოა ისიც, რომ ასლან აბაშიძეს არავინ სთავაზობს იმ ტიპის გარანტიებს, როგორიც შევარდნაძეს შესთავაზეს. სხვა საქმეა, რომც შესთავაზონ, რამდენად ენდობა ავტონომიის ხელმძღვანელი ასეთ გარანტიებს და მართალიც იქნება, რადგან ძნელი წარმოსადგენია, გადამდგარ აბაშიძეს მემუარების წერა დააცადონ. დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ აჭარის ლომს გადადგომის შემთხვევაში ორი არჩევანი ექნება - ციხე ან უცხოეთი. თუმცა, არც საზღვარგარეთიდან ციხემდეა დიდი მანძილი. შეუძლებელია, ეს არ იცოდნენ ასლან აბაშიძემ და მისმა მხარდამჭერებმა. ამიტომ აბაშიძის ქმედებათა პროგნოზირებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ როგორ ესახება მას თავისი მომავალი. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ პატარა ბაბუმ დიდ ბაბუს მიბაძოს. ამას არც თვითონ დაუშვებს და არც მისი გარემოცვა.

28 მარტის შემდგომ ვითარების განმუხტვა ნებისმიერ შემთხვევაში დაიწყება, რადგან ძალთა რეალური ბალანსი გამომჟღავნდება. თუ აბაშიძე ძველ ხერხს მიმართავს და "აღორძინება" ხელოვნურად ერთი-ორად გაზრდილი ამომრჩევლის მეშვეობით 99 პროცენტს მოიპოვებს, ცენტრალური ხელისუფლება ამაზე თვალს ველარ დახუჭავს, როგორც ადრე, და დაპირისპირება დასკვნით ფაზაში შევა. თუ აბაშიძე არჩევნების ბოიკოტს აირჩევს, იგივე მოხდება, რაც "აღორძინების" დამარცხების შემთხვევაში. უმთავრესი არსი ამ დაპირისპირებისა ის არის, რომ ადრინდელისაგან განსხვავებით, ჩოლოქს გაღმა და გამოღმა სივრცეები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სისტემებით იმართება და მათი ხანგრძლივი თანაარსებობა სრულიად გამორიცხულია. ასე რომ, 28 მარტს აჭარაში ტარდება არა მხოლოდ არჩევნები, არამედ ამ დღეს გაირკვევა, რა მიმართულებით განვითარდება საქართველოს ეს კუთხე.

ნიშანდობლივია, რომ პირველად წლების მანძილზე, აჭარაში დაწყებულია საპროტესტო მოძრაობა. ადრე ამაზე ფიქრიც კი გამორიცხული იყო. თუ ეს მოძრაობა გაგრძელდა, იგი 28 მარტის შემდეგ, სავარაუდოდ, ძალიან გაძლიერდება და ლოგიკურ შედეგამდე მივა. ასლან აბაშიძე, ცხადია, ეცდება ამ მოძრაობის ჩახშობას, მაგრამ მხოლოდ ძალისმიერი მოქმედების ხარჯზე, რასაც ყოველთვის სერიოზული უკუჩვენებები აქვს. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ საპროტესტო მოძრაობის უკან ცენტრალური ხელისუფლება სრულიად აშკარად მოიაზრება.

ობიექტურები თუ ვიქნებით, აბაშიძეს ამ დაპირისპირებაში გამარჯვების ძალიან მცირე შანსი აქვს (თუ საერთოდ აქვს!), რადგან ამისთვის აუცილებელი იქნება, მან არა მხოლოდ ერთ რეგიონში, არამედ მთელ საქართველოში გაიმარჯვოს და პოლიტიკური ბაბუობის ინსტიტუტი აღადგინოს, რაც სრულიად გამორიცხულია. ერთადერთი, რასაც შეუძლია მიაღწიოს, ის არის, რომ ვარდების რევოლუციის ნაცვლად ეკლიანი რევოლუციის პერსონაჟად იქცეს და ცენტრს სიტუაციის მასშტაბური აფეთქებით დაემუქროს. აფეთქების მუქარა, ფაქტობრივად, ყველაზე სერიოზულ კოზირად რჩება. ძნელი სათქმელია, გაათამაშებს თუ არა იგი ამ კოზირს და რა იმძლავრებს მასში და მის გარემოცვაში - თავდაცვის ინსტიქტი თუ თვითგადარჩენა? ამ კითხვას 28 მარტი გასცემს პასუხს.

# კულტურის პოლიტიკა არც განსაზღვრული იყო და არც ხორციელდებოდა

**გიორგი გაბაშვილი, ბიოგრაფია ბოლოდან: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი; გაერთიანებული დემოკრატების გენმდივანი; ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" მთარგმნელობითი პროგრამების, მასმედიის, საგამომცემლო და პიარკომპანიის კოორდინატორი; სწავლობდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტში; ზაარბრიუკენის უნივერსიტეტში გერმანისტიკას და ფილოსოფიას სწავლობდა; სწავლობდა თსუ დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე; სწავლა დაიწყო 53-ე საშუალო სკოლაში და დაამთავრა ე.წ. "გერმანული სკოლა."**

*გიორგი გაბაშვილი სულსწრაფობას არ იჩენს და საზოგადოებას დეტალური გეგმის პრეზენტაციით მხოლოდ რამდენიმე თვის მუშაობის მერე წარუდგება. შესაბამისად, საუბარმა მინისტრის წარმატებისა და შეცდომების შესახებ ზუსტად ზემოხსენებული რამდენიმე თვით გადაიწია.*

*ახალი მინისტრების საუბარში, რომელი ხელისუფლებაც არ უნდა იყოს, ყოველთვის ბევრი სიახლეა. არც ეს ინტერვიუა გამონაკლისი. გოკა გაბაშვილი დელიკატურად არ ამბობს, რომ ყველაფერს ნულიდან იწყებს, მაგრამ ეს რომ ასეა, ადვილად დარწმუნდებით. ის კულტურის განვითარების სრულიად ახლებურ მოდელზე საუბრობს და იმის მიუხედავად, რომ ნიაზი, ზუმბა, აჩიკო გულედანი, ნინო არაზაშვილი მისი კლასელები და ბავშვობის მეგობრები არიან, ამბობს, რომ მინისტრს პირადი გრძნობების საქმეში გამომჟღავნების არათუ უფლება, საშუალებაც არ უნდა ჰქონდეს.*



გიორგი გაბაშვილი "24 საათის" რედაქციაში.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ჩვენ ვსაზღვრავთ პოლიტიკას, ვაცხადებთ პრიორიტეტებს, ამ პოლიტიკის საშუალებით და იმ თანხებით, რაც გაგვაჩნია, ჩვენს პოლიტიკას ვახორციელებთ, მაგრამ გადაწყვეტილებას კონკრეტულ სატენდერო საკითხებზე საზოგადოება უნდა იღებდეს.

აქ უნდა მოგროვდეს მენეჯმენტის, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და ამ გადაწყვეტილებებზე ოპერატიულად განხორციელების კუთხით ნიჭიერი და კომპეტენტური ხალხი, შემოქმედებით ინიციატივებში სამინისტრო არ ერევა.

მსოფლიოში ეს თანხები არსებობს, უბრალოდ, საჭიროა ადამიანი, ვინც იცის, რომელი მისამართიდან წამოიღოს ეს ფული.

კულტურის ექსპორტს ყოველთვის ტურიზმის იმპორტი მოჰყვება.

მაია ჭალაგანიძე

**- ორი დღის წინ სამინისტროში სტრუქტურული ცვლილებები განახორციელეთ. რისი თქმა უნდოდა კულტურის მინისტრს ამ დანიშვნებით?**

- საზოგადოებაში არსებობს პოტენციალი, რომელიც სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს და ისეთი ადამიანები მოიყვანოს მმართველობაში, რომელთაც იქამდეც ბევრი აქვთ ნაფიქრი და ნამუშევარი ამ საკითხებზე, ოღონდ, არა მთავრობაში. არასამთავრობო სექტორში ბევრი ცოდნა და გამოცდილებაა დაგროვილი და ეს ადამიანები ახლა არ დაიწყებენ ფიქრს. მათ გარკვეული წლები გამოიარეს.

თამაზ თევზაძე ევროსაბჭოში საქართველოს მხრიდან სპორტის საკითხებში ექსპერტი და აღმასკომის წევრი იყო. სპორტის პოლიტიკის სპეციალისტები მართლა ძალიან ცოტანი არიან. გოგი ნიჟარაძე არის ადამიანი, რომელიც ფინანსებში, ბიუჯეტის სტრუქტურაში, დაგეგმვაში და ადმინისტრაციულ მუშაობაში კარგად ერკვევა და, ამავე დროს, ძალიან შეტკივა გული კულტურაზე. ჩემი აზრით, არ შეიძლება აქ კულტურისგან აბსოლუტურად იზოლირებული ადამიანი განაგებდეს თანხებს. ვფიქრობ, რომ კარგი კომბინაცია გამომივიდა.

**- მაღალფარდოვან შეკითხვას დავსვამ - თქვენ უძველესი კულტურის ქვეყნის კულტურის მინისტრი გახდით. რას გავალებთ ეს?**

- რასაკვირველია, ეს შეგრძნება მაქვს. ნებისმიერი თანამდებობის პირი სტანდარტულად გიპასუხებთ, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობაა. მაგრამ, როცა ხარ იმის მინისტრი, რასაც დაახლოებით, 4000 წლის ისტორია აქვს და ეს მართლაც შენი მოსაფრთხილებელი და საზრუნავია, ამ პასუხისმგებლობას ნამდვილად გრძნობ.

რაც შეეხება სპორტს - ეს ის ქვეყანაა, სადაც სპორტულ წარმატებებზე საზოგადოებრივი მოლოდინი მაღალია. თუ სპორტში კარგად აეწყობა საქმე, ბუნებრივ მოვლენად აღიქმება, მაგრამ თუ ცუდად აეწყობა - ეს წარუმატებლობა იქნება.

**- ბევრი რამ არის შესაცვლელი თანამედროვე კულტურის სტრატეგიაში. რა მემკვიდრეობა დაგხვდათ, იწყებთ ნულიდან?**

- დღეს საქართველოში კულტურის პოლიტიკა, პრაქტიკულად, არ ხორციელდება. შარშან კულტურას სახელმწიფოს მხრიდან 11 მილიონი ლარი გამოეყოფოდა. აქედან 10 მილიონი ლარით ფინანსდება 45 ორგანიზაციის ხელფასები და კომუნალური გადასახადები. მხოლოდ 1 მილიონი ლარით ფინანსდება პროგრამები, ანუ - კულტურის პოლიტიკა. ამ მილიონის მხოლოდ 50 პროცენტია დაფინანსებული სახელმწიფოს მხრიდან.

45 ორგანიზაცია ფინანსდება კრიტიკის გარეშე - არ არსებობს ხელშეკრულება, არც ის არის გარკვეული, თუ რაში დებს ფულს სახელმწიფო, რა არის დაკვეთა, რატომ მაინცდამაინც 45 ორგანიზაცია და არა მეტი ან ნაკლები და ა.შ. არ არსებობს კონცეპტუალური მიდგომა. პრაქტიკულად, კულტურის სამინისტროს მოვალეობა კულტურაში დასაქმებული ადამიანების სოციალური დაცვა გახდა. ეს თანხა კი კონცენტრირებულად უნდა იყოს მიმართული კულტურის განვითარებისკენ.

**- იმედია, არ ელით, რომ სახელმწიფოსგან საკმარისი დაფინანსება გექნებათ...**

- კულტურის დაფინანსება, მით უფრო საქართველოში, სახელმწიფოს მხრიდან კიდევ დიდხანს არ იქნება საკმარისი. მაგალითად, ოპერისა და ბალეტის თეატრის, ან კონსერვატორიის, ან სამხატვრო აკადემიის დაფინანსება ნამდვილად არასაკმარისია, ეს ის ორგანიზაციებია, რაზეც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს - მათზე ტენდერს ვერ გამოაცხადებ. მთავრობის საერთო მიდგომა ასეთია - ეს ორგანიზაციები საჯარო სამართლის იურიდიული პირები უნდა გახდნენ. მათ უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებლობა, რათა სახელმწიფო დაფინანსების გარდა, კულტურულ ბაზარზე იმოძრაონ, მოიპოვონ სპონსორები, სხვა თანხები, გავიდნენ პირდაპირ კონტაქტებზე. დანარჩენი კარგი მენეჯმენტის საქმე იქნება.

ამგვარი მოდელი უკვე არსებობს. არ შემიძლია არ ვახსენო მანანა დოიჯაშვილი და კონსერვატორია - ადამიანი თავისი ინციატივით, უნიკალური მენეჯმენტის უნარით კონსერვატორიისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მწირ თანხას მაქსიმალურად ეფექტურად ხარჯავს და ერთ ამდენ თანხას თავად მოიპოვებს. სამხატვრო აკადემიაში აგრეთვე საინტერესო გეგმები აქვს გია ბუღაძესაც...

**- სხვათა შორის, ამ ორივე ადამიანს საკმაო პრობლემები ჰქონდათ და აქვთ იმ ინიციატივების გამო, რომელიც თქვენ ასე მოგწონთ. ინიცირებული იქნება თუ არა სამინისტროს მხრიდან რიგი საკადრო ცვლილებები იმ ორგანიზაციებში, სადაც დიდი ხანია, წარუმატებელი მენეჯმენტით მუშაობენ?**

- თუ დავინახავთ, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტი იმ პირობების შემსრულებელი არ არის, რომელიც სახელმწიფოს აქვს, ორგანიზაციამ (გააჩნია რა ფორმა აქვს ამ ორგანიზაციას) უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მენეჯმენტი ან გააუმჯობესოს, ან გამოცვალოს. არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ გაუაზრებელ პროექტებზე ვიძლეოდეთ ფულს. ჩვენი მწირი თანხა, პლუს სპონსორების, ქველმოქმედების თანხა მაქსიმალურად ეფექტურ სტრუქტურებში უნდა ხვდებოდეს - სწორედ ეს არის კულტურის პოლიტიკა. ცოტა ფული გვაქვს, მაგრამ დიდი შედეგი გვინდა.

**- სპონსორები, ძირითადად, კომერციულ პროექტებს აფინანსებენ. რა პოლიტიკას გაატარებს სამინისტრო იმისთვის, რომ კერძო დამფინანსებლებისთვის კულტურის სფერო მიმზიდველი გახდეს?**

- ჩვენ ვამზადებთ კანონმდებლობას. ამ კანონის მიხედვით, ყველა კომერციულ სტრუქტურას შეეძლება, მოგების გარკვეული ნაწილი ან საგადასახადოში გადაიხადოს, ან ქველმოქმედებას მოახმაროს. ეს იქნება მათ მიერ რეკლამაზე გაღებული თანხა და კომპანიის ფუნქციიდან გამომდინარე, მათ დაფინანსების პირდაპირი მოტივაცია უჩნდებათ. აქედან კულტურისა და სპორტისთვის მართლა სერიოზულ შემოსავლებს ველით.

ვმუშაობთ სპონსორობის შესახებ კანონზეც. სპონსორებსაც შევთავაზებთ კანონმდებლობით გათვალისწინებულ გარკვეულ პაკეტს, თუ რატომ უნდა იყოს საინტერესო მათთვის სპონსორობა. ვმუშაობთ აგრეთვე ეროვნულ ლატარიაზე - ჩვეულებრივი აზარტული თამაში, რომლის მეპატრონე სახელმწიფოა, ხოლო შემოსული შემოსავლებით ფინანსდება კულტურა და სპორტი, ანუ სფეროები, რომელიც საზოგადოების განივითარებისთვის მნიშვნელოვანია.

**- აზარტული თამაში საზოგადოებისთვის არც თუ ისე მისაღებია.**

- გეთანხმებით, მაგრამ ამის კომპენსაცია საზოგადოებისთვის სასარგებლო სფეროების დაფინანსებაა.

**- უშიშროების ახალმა მინისტრმა თავის უწყებაში გააუქმა კორუფციის ბუდე - ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილება. ჩამოაშორებთ თუ არა თქვენს სტრუქტურას კორუფციის კერებს, მაგალითად - ისტორიულ უბნებში ნებართვების, ლიცენზიების გაცემას?**

- გიგა ვაჩეიშვილის დიდი იმედი მაქვს. ის აქამდე კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ცენტრის დირექტორი იყო, დეტალურად და ზეპირად იცის არსებული პრობლემები. სხვათა შორის, ის იყო ორგანიზატორი ამასწინათ გამართული გამოფენისა, რომელიც აგრესიულ და უსახურ შენობებს ასახავდა. ჩვენი მხრიდან ბევრი ისეთი საკანონმდებლო ცვლილება წამოვა, რაც ამ სფეროს ერთხელ და სამუდამოდ დაარეგულირებს. მაგალითისთვის, თბილისი, როგორც ისტორიული ძეგლი, გამზადებულია იმისთვის, რომ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდეს, მაგრამ ეს არ ხდება. ეს ორგანიზაცია არ იწუნებს არც ძეგლის ხარისხს, არც მის ისტორიულობასა და უნიკალურობას. თბილისი ნუსხაში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ შედის, რომ ძეგლის მენეჯმენტის სტრუქტურა არ გვივარგა, თავად ვართ ცუდი პატრონები. ამისთვის პოლიტიკური ნება და საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო, რის გარეშეც ახალი მშენებლობისთვის არანაირი რეკომენდაცია არ გაიცემა. ისტორიულ ნაწილში ჯერ ამ კუთხით უნდა შეფასდეს ახალი მშენებლობების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. სანამ ამ კანონმდებლობას დავარეგულირებთ, ახალ მშენებლობებზე მორატორიუმის გამოცხადებას ვფიქრობთ.

**- კორუფციის სხვა კერები ვერ აღმოაჩინეთ?**

- ძალიან ბევრი რამ არის დასარეგულირებელი და წლების განმავლობაში ისეთი რამ ხდებოდა, რაც ნამდვილად არ უნდა მომხდარიყო. მათ შორის - გარკვეული კერძო ფირმების საწესდებო კაპიტალში ისტორიული შენობების ჩადება...

**- წიგნის სახლებისა და ბევრი ახალი წიგნის გამოცემის მიუხედავად, ბიბლიოთეკებმა ტრადიციული ფუნქცია დაკარგეს. ან ისინი უნდა გარდაიქმნან, ან განკერძოვდნენ, ან სახელმწიფომ უნდა მიხედოს... რა ბედი ეწევა ბიბლიოთეკის უკანონოდ პრივატიზებულ შენობებს?**

- როგორც ჩანს, ბიბლიოთეკა დაბალი ღობე იყო. ბიბლიოთეკების პრივატიზაცია 1996 წლიდან არის აკრძალული. და ამ დროიდან ჩატარებული პრივატიზაცია უკანონოა.

ამაღლების ქუჩაზე, ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმში ბიბლიოთეკა მდებარეობს. ეს შენობა თვითონ არის ძეგლი და ის ელექტროენერგიის ვალებში თუ გარკვეულ საფასურში 1997 წელს არის გადაცემული კომპანიაზე. ბუნებრივია, ეს საქმე სასამართლოშია და იმედი გვაქვს, რომ მოვიგებთ, იმიტომ, რომ იმ დროისთვის ყველა ბიბლიოთეკას კანონი იცავდა.

ასეთივე დღეშია მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის უძველესი ბიბლიოთეკა. აღმოჩნდა, რომ ის შპს-ს აქვს შეძენილი და იქ სასტუმრო უნდა გაკეთდეს... ბიბლიოთეკა შეიძლება გახდეს კერძო. ყველას მოვუწოდებ, იყიდონ ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, საცურაო აუზები - მაგრამ იქ უნდა დარჩეს ბიბლიოთეკა, კინოთეატრი და აუზი - პროფილი არ უნდა შეიცვალოს.

**- სხვადასხვა პროფესიულ საზოგადოებებს (თეატრალურს, კინემატოგრაფიულს), სოლიდური მატერიალური ქონება გააჩნდათ. დღეს ბევრ მათგანზე ქონებრივი დავებია სასამართლოებში, ბევრი განიავდა და დაიკარგა. მოხდება თუ არა ამ ქონების ინვენტარიზაცია?**

- ეს მთავრობის ერთიანი პროგრამით მოხდება და ამის შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობა იღებს. რა თქმა უნდა, საუბარი არ არის პრივატიზაციის გადახედვაზე, აქ საუბარია კულტურასა და სპორტში უკანონოდ მიტაცებულ და განიავებულ ქონებაზე, რომლის შესახებაც გარკვეული სამართლებრივი მოსაზრებების გამო კონკრეტული საუბრისგან თავს შევიკავებ.

**- ოლიმპიური წელია, რა შედეგებზე შეიძლება ვიფიქროთ?**

- ისევე, როგორც კულტურაში, სპორტშიც შესამუშავებელია პოლიტიკა - რას ითხოვს მთავრობა თავისი მწირი შესაძლებლობებით. რასაკვირველია, სახელმწიფომ უნდა მიხედოს საკუთარ ოლიმპიურ მონაწილეობას ამ უმაღლეს სპორტულ ფორუმში. ამ მხრივ დასაფასებელია ოლიმპიური ფონდის კერძო ინიციატივა, რომელიც ხარჯების დიდ ნაწილს თავის თავზე იღებს.

აქაც გადაბრუნებულ პირამიდასთან გვაქვს საქმე - სახელმწიფო სახსრების ძალიან მცირე ნაწილი მასობრივ, ახალგაზრდულ სპორტზე იხარჯება. მეორე მცირე ნაწილი - სპორტსმენთა მომზადებაზე და დიდი ნაწილი პროფესიული სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას ხმარდება. ეს არასწორია - თუ ყურადღება არ მივაქციეთ საფუძველს, საიდანაც სპორტის მომავალი უნდა წამოვიდეს, რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოში პროფესიული სპორტი შეიძლება გაქრეს. სახელმწიფომ ფიზკულტურის გაკვეთილი უნდა აღადგინოს, მოედნებს, აუზებს უნდა მიხედოს... ბუნებრივია, იმ შემთხვევებში, სადაც პროფესიულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობაა სახელმწიფოს პრიორიტეტი, სახსრები უნდა გამოიყოს. აქაც დიდი ასპარეზი ეხსნებათ სპონსორებსა და კერძო კაპიტალს, რომელიც მთელს მსოფლიოში სპორტის მთავარი მაცოცხლებელი ძალაა.

**- რა დარგებს შეეხება დეცენტრალიზება? როგორი ურთიერთობა გექნებათ შემოქმედებით კავშირებთან?**

- აქამდე სახელმწიფო მწერალთა კავშირს აფინანსებდა - უკრიტიკოდ და ექსკლუზიურად. ერთი შეხედვით, ეს ლიტერატურისა და მწერლობის განვითარებისთვის სახელმწიფოს მიერ გაღებულ თანხებს ჰგავდა, რაც არასწორია. მწერალთა კავშირი ერთ-ერთი სამწერლო ორგანიზაციაა, მწერლების გაერთიანება სხვაც ბევრი არსებობს, აქ კონკურენციაა. ამ თანხით ლიტერატურისა და მწერლობის განვითარებისთვის ბევრად უფრო მეტი ინიციატივის გამოჩენა შეიძლებოდა. ასე ველარ იქნება - შემუშავდება პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს ლიტერატურის მხარდასაჭერ სახელმწიფო პოლიტიკას და არ იზრუნებს ერთი ორგანიზაციის ექსკლუზიურ დაფინანსებაზე.

**- კულტურისა და სპორტის დარგში რისი დეცენტრალიზებაა აუცილებელი?**

- საერთოდ მთელი სტრუქტურის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს. აქამდე იყო შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ორგანიზაცია იყო პოლიტიკის განმსაზღვრელი, განმახორციელებელი, სამეცნიერო მეთოდური ფუნქციების მატარებელი, გრანტგამცემი, გრანტის გაცემაზე გადაწყვეტილების მიმღები და გრანტმიმღებიც... ეს ყველაფერი ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. იქ, სადაც სახელოვნებო ბაზარზე კონკურენცია არსებობს, ჩინოვნიკებს არ უნდა ჰქონდეთ იმ არჩევანის გაკეთების საშუალება, თუ რა უნდა დააფინანსონ და რა - არა. ამას საზოგადოებრივი კომისიები უნდა აკეთებდნენ. ჩვენ ვსაზღვრავთ პოლიტიკას, ვაცხადებთ პრიორიტეტებს, ამ პოლიტიკის საშუალებით და იმ თანხებით, რაც გაგვაჩნია, ჩვენს პოლიტიკას ვახორციელებთ, მაგრამ გადაწყვეტილებას კონკრეტულ სატენდერო საკითხებზე საზოგადოება უნდა იღებდეს.

**- არის თუ არა სამინისტროს მისია თავისუფალი შემოქმედებისთვის თავისუფალი სივრცის არსებობის ინსტიტუციონალურ დონეზე აყვანა?**

- რასაკვირველია, პირობების შექმნა ჩვენი საზრუნავია. არ უნდა ველოდოთ, რომ სამინისტროში იმუშავებენ ყველაზე ნიჭიერი რეჟისორები, ყველაზე ნიჭიერი მხატვრები და პოეტები - ეს არ არის ის ადგილი, სადაც ხელოვანი ხალხი უნდა იყოს. ეს არის ადგილი, სადაც იქმნება კანონები, ინიციატივები, იქმნება პოლიტიკა და საშუალებები იმისთვის, რომ ამ ნიჭიერმა ადამიანებმა შესაძლებლობები განავითარონ.

**- კულტურის სამინისტრო უნიჭოთა თავშესაყარი გამოდის...**

- აქ უნდა მოგროვდეს მენეჯმენტის, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და ამ გადაწყვეტილებებზე ოპერატიულად განხორციელების კუთხით ნიჭიერი და კომპეტენტური ხალხი, შემოქმედებით ინიციატივებში სამინისტრო არ ერევა.

**- რეგიონები დედაქალაქს ათჯერ და ათასჯერ ჩამორჩება ყველა ტიპის ინფრასტრუქტურით. როგორ შევა კულტურა რეგიონებში?**

- პირველ რიგში, უნდა შევიტანოთ ცოდნა - თუ რას ფლობენ ეს რეგიონები. მთავარია კულტურული მემკვიდრეობის სწორი გამოყენება. საქართველოს ნებისმიერ კუთხეში არსებობს მემკვიდრეობა, რომელსაც ტურისტული შემოსავლების უზარმაზარი პოტენციალი აქვს. არ არსებობს არც რეესტრი, არც პასპორტიზაცია, არ არის აღწერილი, თუ რისი მფლობელები ვართ და ამის გაკეთება ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. ამას დიდი თანხები სჭირდება. მსოფლიოში ეს თანხები არსებობს, უბრალოდ, საჭიროა ადამიანი, ვინც იცის, რომელი მისამართიდან წამოიღოს ეს ფული.

**- მისამართების დადგენამდე იქნებ რეგიონებისთვის გვეგრძნობინებინა, რომ ისინი მიტოვებულები არ არიან?**

- ისინი რომ ვილაცას ახსოვს, დაუყოვნებლივ იგრძნობენ. ამისთვის ბევრი დრო არ გვჭირდება - უნდა გავიდეთ და ვნახოთ, რა გვაქვს და რისი გაკეთება შეიძლება. იქვე მოვძებნოთ ინიციატივები, რომელიც რომელიმე ერთ დარგს ადგილზევე მიხედავს.

**- მივიღე პასუხი კითხვაზე, რომელიც დასაწყისში დავსვი - თქვენ ნულიდან იწყებთ.**

- ნულიდან არ ვიწყებ... ყველა მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული...

**- თქვენს დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე იყო კამათი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა კულტურის სამინისტრო. რას იტყვით, საჭიროა?**

- პანაცეა არც ერთი ორგანიზაციის არსებობა არ არის. მაგრამ, საქართველოში არ არსებობს სტრუქტურა, რომელიც იმ საკითხებზე გადაიბარებდა პასუხისმგებლობას, რაზეც სამინისტროა პასუხისმგებელი. ამერიკაში არ არის კულტურის სამინისტრო, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ არ არის კულტურა. იქ არსებობს რამდენიმე ძლიერი ფონდი, რომელიც არეგულირებს და კოორდინირებას უწევს ქვეყნის კულტურულ პოლიტიკას. საქართველოში, ტრადიციულად, ამას სამინისტრო აკეთებდა და ვფიქრობ, ეს საჭიროა. მით უფრო იმ ეტაპზე, როდესაც კულტურის პოლიტიკა ქვეყანაში არც განსაზღვრულია და არც ხორციელდება.

**- ახალი თაობა შოუბიზნესის ესთეტიკით იზრდება. გააკონტროლებს თუ არა ვინმე მასკულტურის ხარისხს?**

- შემოქმედების ხარისხის კონტროლი ნამდვილად არ არის სახელმწიფოს ფუნქცია. შოუბიზნესი არ განეკუთვნება კულტურის სამინისტროს ფოკუსირებული ყურადღების არეს. აქ მუშაობს ბიზნესის წესები, რომელშიც სახელმწიფო არ უნდა დებდეს ფულს. ჩვენი პრიორიტეტი არის კულტურული მემკვიდრეობა, სახელოვნებო განათლება და ყველაფერი ის, რაზეც აქამდე ვისაუბრეთ.

**- ქალაქის კულტურის სამსახური ხშირად საეჭვო ხარისხის ღონისძიებების ინიციატორია. რა ურთიერთობა გაქვთ მათთან?**

- ბატონ დათო ოქიტაშვილთან საუბარი მქონდა და ის აცხადებს, რომ ის თავის გეგმებსა და პრიორიტეტებს სრულიად შეუსაბამებს პარლამენტის მიერ მიღებულ სამთავრობო გეგმას.

**- პრეზიდენტი აცხადებს, რომ ფეხბურთს პირად კონტროლზე აიყვანს. რა დამოკიდებულებები აქვს სახელმწიფოს სხვადასხვა სახეობების ფედერაციებთან?**

- ისინი დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ჩვენ არავინ გვიშლის რჩევისა და კონსულტაციების მიცემას.

**- ანუ, ფეხბურთის არც წარმატებასა და არც წარუმატებლობაზე სპორტის სამინისტრო პასუხისმგებლობას არ იღებს?**

- ფეხბურთის სტრატეგიულ განვითარებაზე სამინისტრო პასუხისმგებლობას იღებს. აქ, მართლაც, სახელმწიფოებრივი მიდგომაა საჭირო. მაგალითად, 20 წლის წინ თურქეთი ისეთი საფეხბურთო ქვეყანა იყო, რომელსაც თბილისის "დინამო" ამხანაგურ თამაშსაც არ ეთამაშებოდა, ეს უინტერესო იყო "დინამოსთვის". 20 წლის განმავლობაში ამ ქვეყანამ დაგეგმა პროფესიული ლიგის განვითარება, ფეხბურთის პოპულარიზაცია თურქეთსა და სხვა ქვეყნებში, ლეგიონერების პოლიტიკა და ეს ყველაფერი სახელმწიფომ ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად იმგვარად დაგეგმა, რომ დღეს ეს ქვეყანა ერთ-ერთი საფეხბურთო ქვეყანაა. სიმართლე გითხრათ, დიდად არ მახარებს, რომ თურქეთთან ერთ ქვეჯგუფში ვართ... ასევეა სკანდინავიური ქვეყნებიც. ჩვენ ვართ საფეხბურთო ქვეყანა და ნიჭიერი ბავშვები გვყავს. სწორია, როცა პრეზიდენტი ამბობს, რომ ფეხბურთი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის სფერო, მისი პატრონაჟის ქვეშ არის - ეს ეხება 6 წლის ბავშვსაც და პროფესიულ ფეხბურთსაც.

**- ქალბატონი თამარ ქვარიანი, სანამ თქვენი მოადგილე გახდებოდა, ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ დღეს, პირველ რიგში, გარღვევის პოლიტიკაა განსასაზღვრი - კონკრეტულად რითი გავიჭრებით წინ, რა იქნება ჩვენი ექსპორტი?**

- რასაკვირველია, შესამუშავებელია გარღვევის პოლიტიკა და ეს არ არის მხოლოდ ჩვენი საქმე, ეს მთლიანად ხელისუფლების პრობლემაა. საქართველოს შესაბამისი სახე უნდა ჰქონდეს საზღვარგარეთ. ამ სახის უდიდესი კომპონენტი ქართული კულტურაა, რაც ნამდვილად არის საექსპორტო პროდუქტი. მოსაფიქრებელია კონცეფცია, თუ როგორ გვინდა, გვხედავდნენ გარედან. კულტურის ექსპორტს ყოველთვის მოჰყვება ტურიზმის იმპორტი, ამიტომაც გარღვევა ისე უნდა მოხდეს, რომ არ უნდა დავკარგოთ საგარეო კონტაქტის, ჩვენი თავის პოპულარიზაციის არც ერთი შანსი.



# აფიშა

### თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
რაფიელ ერისთავი
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ნიკოლაი ერდმანი
"თვითმკვლელი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე "ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გაგა თავაძე
დას: 19:00 სთ.

**"ძველი სახლი"**
თეოდორ დოსტოევსკი
"იდიოტი"რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი.
დას: 19:00 სთ.

### ცირკი

მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 12:00; 15:00 სთ.

### კინოთეატრები

**"რუსთაველი"**
"მიწებებულები" (კომედია)
დას: 12:00 სთ. ფასი: 5 ლარი

"28 დღის შემდეგ"
დას: 14:30 სთ. ფასი: 5 ლარი

"ბლუ ბერი"
(ფანტასტიკა ვინსენტ რასელის მონაწილეობით)
დას: 17:00; 19:30; 22:00 სთ.
ფასი: 5-დან 9 ლარამდე

**"ახმეტელი"**
"ბლუ ბერი"
დას: 12:00; 14:15 სთ. ფასი: 3-4 ლარი

"მიწებებულები"
დას: 17:00 სთ. ფასი: 3-4 ლარი

"28 დღის შემდეგ"
დას: 19:15; 21:30 სთ. ფასი: 4-5 ლარი

**"ამირანი"**
"საიდუმლო მდინარე"
დას: 14:00; 19:30; 22:00 სთ

"ტეხასური ჩეხვა ბენზოხერხით"
დას: 17:00 სთ.
ფასი: 6-დან 9 ლარამდე

### გამოფენა

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
ალექსანდრე როინიშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
საქართველოს დამსახურებული მხატვრის ავთო მოსიაშვილის
ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
(ფერწერა, გრაფიკა) გამოფენა

### კლუბები

**აჭარა მიუზიკ ჰოლი**
რეზიდენტი დი-ჯეები
ფასი: ბიჭებისთვის – 20 ლარი
გოგონებისთვის – უფასოდ
კლუბის გახსნა: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**შაბათს,** 13 მარტს, 19 საათზე – "ახალი სახეები ქართულ ხელოვნებაში". პროექტი "საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული პარლამენტი". მონაწილეები: პაატა ჩოხელი, დავით ქისტაური, ეკა ქართველიშვილი. სტუმრები: ვახუშტი კოტეტიშვილი, დავით მაღრაძე.

***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

## ძველი თარგმანის ახალი გამოცემა

გუშინ "წიგნის სახლში" ლერმონტოვის "მწირის" ინგლისურენოვანი თარგმანის პრეზენტაცია შედგა, რომლის ავტორი ვახტანგ ერისთავია. ეს "მწირის" პირველი ინგლისური გამოცემაა.

ყველაფერი კი ვახტანგ ერისთავის ვაჟის, ცნობილი მხატვრის – დიმიტრი ერისთავის სახელოსნოში დაიწყო, რომელსაც ქალბატონი ნანა ანდრონიკაშვილი და მისი გერმანელი მეუღლე ჰანს ფონ საქსენ-ალთენბურგი სტუმრობდნენ. ბატონ დიმიტრის მამის ხელნაწერების დათვალიერების შემდეგ მათ გაუჩნდათ იდეა, გამოეცათ წიგნი, რომელშიც "მწირის" და სხვა პოემების ინგლისური თარგმანები შევიდოდა.

მოწვეულ სტუმართა შორის არსებობდა აზრი, რომ თარგმანი არ არის განკუთვნილი ქართველი მკითხველისათვის, იგი შეიძლება გასაგები იყოს მკვლევარისთვის. მაგრამ სტუმართა უმრავლესობა ერთხმად შეთანხმდა, რომ ძნელია თარგმანი ორიგინალისაგან გაარჩიო. აქ რიტმი, შიდა რითმები, რომლებითაც ასე მდიდარია რუსული პოეზია, სრულიად დაცულია და მკითხველზე ისეთივე ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ორიგინალი. იდენტურობასთან ერთად, "მწირის" ინგლისურ თარგმანში, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, იგრძნობა ქართული სული - ასეთი იყო სტუმართა ერთსულოვანი აზრი. სტუმრებს შორის კი იყვნენ: ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშე, ამერიკის ადვოკატთა რეფორმების გატარების საზოგადოების დირექტორი, კეროლინ კლარკ კემბელი, ბატონი დიმიტრი ერისთავი და ქართული და უცხოური ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. აქ გაჩნდა იდეაც: დაწესდეს ვახტანგ ერისთავის სახელობის ჯილდო საუკეთესო თარგმანისათვის.

***ნინო ჯორჯაძე***

# თბილისის სიმფონიური ორკესტრის კურთხეული გაზაფხული

თეონა ჯაფარიძე

გაზაფხულის პირველსავე დღეებში, ჯერ სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში, შემდეგ კი 5 მარტს მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებული ვახტანგ კახიძის "საშობაო ტრილოგია" რუსეთის მუსიკალურმა ელიტამ მსოფლიო პრემიერად მონათლა, ხოლო იგორ სტრავინსკის "კურთხეული გაზაფხულის" შესრულებისთვის ორკესტრი და დირიჟორი მსოფლიო კლასიკური ხელოვნების მაღალი დონის შემსრულებელთა სტანდარტებს გაუთანაბრა.

თბილისის სიმფონიური ორკესტრისათვის ეს პირველი გასტროლი იყო რუსეთში, თუმცა მისთვის უცხო არასოდეს ყოფილა რუსული სამუსიკო სკოლის ცნობილ წარმომადგენლებთან - როსტროპოვიჩთან, ბაშმეტთან, რეპინთან ერთობლივი კონცერტები, ანდა - ევროპული ტურნეები თუ მსოფლიოს წამყვან ხმისჩამწერ სტუდიებთან თანამშრომლობა. მაგრამ, მსოფლიოში კლასიკური მუსიკის ცენტრებად აღიარებულ ქალაქებში პუბლიკის წინაშე წარდგომა ორი ნაწარმოებით, რომელთაგანაც ერთს – "საშობაო ტრილოგიას", პირველად ისმენენ, ხოლო მეორეს - სტრავინსკის "კურთხეულ გაზაფხულს", ყოველთვის პრეტენზიებით ხვდება დახვეწილი მაყურებელი, უთუოდ მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს. სხვათა შორის, ქართველმა შემსრულებლებმა სტრავინსკის ეს ქმნილება მისი პირველი საკონცერტო შესრულების 90 წლის იუბილეს მიუძღვნეს. ორკესტრთან ერთად, მსმენელის წინაშე კიდევ ორი უნიკალური კოლექტივი - ფოლკლორული ანსამბლი "რუსთავი" (ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი) და ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი "მძლევარი" (ხელმძღვანელი კახა ონაშვილი) წარდგა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ორკესტრი წარმატების გზაზე*

გუშინ ჯანსულ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე ბატონები - ვახტანგ კახიძე და ანზორ ერქომაიშვილი წარმატებული გასტროლის შესახებ გვიამბობდნენ: "სანკტ-პეტერბურგში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნემსი ვერ ჩავარდებოდა. პირველი მოქმედების შემდეგ ოვაციები არ წყდებოდა. სცენა ყვავილებით დაიფარა. ბისზე გასვლის წინ, მოულოდნელად უცნობმა ადამიანმა ბრინჯაოში ჩამოსხმული ტიტა გადმომცა და თან დაამატა: "Это вам от Питерских кузнецов". ეტყობა, ვარდი არ ჰქონდათ, მაგრამ თბილისში მომხდარი მოვლენების მიმართ დამოკიდებულება ასე გამოხატეს. ბისზე გასულმა ტრილოგიის მესამე ნაწილი გავიმეორე. ცალ ხელში ნაჩუქარი ბრინჯაოს ტიტა მეკავა და ცალით ორკესტრს ვდირიჟორობდი, " – იხსენებს ვახტანგ კახიძე. დიდი მაესტროს მემკვიდრემ პრესკონფერენციაზე სხვა საინტერესო ნიუანსებზეც ისაუბრა: " პეტერბურგის შემდეგ მოსკოვში ორკესტრმა უკვე ფსიქოლოგიური შიში დაძლია. იმიტომ, რომ მოსკოვის კონსერვატორიის სცენა ჩემთვის ახლობელია და, ეტყობა, სიმშვიდე ორკესტრს ჩემგან გადაედო. აქ შვიდი წელი ვსწავლობდი და ამ სცენაზე კონცერტებიც გამიმართავს და მიდირიჟორია კიდეც". ბატონი ანზორ ერქომაიშვილი კი ასე ხსნიდა პეტერბურგულ და მოსკოვურ წარმატებებს: "დღეს ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება. პეტერბურგის შემდეგ მოსკოვში ჩასულს უკვე გამიჭირდა ნაცნობებისათვის ჩვენ კონცერტზე დასასწრები ბილეთები მეშოვნა. საერთოდ, კონცერტს, ვატოსაგან განსხვავებით, სადირიჟორო პულტიდან კი არა, პარტერიდან, როგორც მსმენელი, ისე ვადევნებდი თვალს. მაყურებელი გაოგნებული იყო: ურთულესი პარტიტურით განთქმულ სტრავინსკის "კურთხეულ გაზაფხულს" ვატო კახიძე ზეპირად დირიჟორობდა."

თავად ვატო კახიძე ამ ფაქტს ასე ხსნის: "მახსოვს, მოსკოვში ბეჟარი ჩამოვიდა და სტრავინსკის "ფასკუნჯი" და "კურთხეული გაზაფხული" ჩამოიტანა. ბალეტს მე და მამა დავესწარით. "კურთხეული გაზაფხულის" ანუ, მეორე დასათაურებით "წარმართული რუსეთის სურათების" ცნობილი ფრანგი ქორეოგრაფის საბალეტო ვერსია და ვიზუალური მხარე სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. შესაძლოა, ამ ნაწარმოების შესრულების დროს ჩემ წარმოსახვას ბეჟარისეული დადგმაც ამწვავებს და, რაც მთავარია, თავად მუსიკა იძლევა წარმოსახვის მძაფრ იმპულსს."

ცოტა რამ "საშობაო ტრილოგიის" შესახებ: ეს ნაწარმოები ვატო კახიძემ ქრისტეშობის 2000 წლის იუბილის აღსანიშნავად შექმნა სპეციალურად შვეიცარიის არმიის სასულე ორკესტრისათვის. ის სამი ნაწილისაგან შედგება: "ალილუია", "ელეგია" და "სიუიტა ქოროს, ბიჭუნათა გუნდისა და ჩასაბერი ინსტრუმენტების თანხლებით". მომავალში ჩასაბერ ინსტრუმენტებს სიმფონიური ორკესტრი ჩაენაცვლა და სახელწოდებაც გაერთიანდა – "საშობაო ტრილოგია". უნდა აღინიშნოს, რომ ორკესტრის გარდა, რუსი მსმენელი ანსამბლ "რუსთავისა" და ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლის "მძლევარის" შესრულებამაც აღაფრთოვანა.

დღეს ორკესტრი სამშობლოშია და ჯანსულ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის იუბილესათვის ემზადება. ცენტრს დიდმა მაესტრომ 15 წლის წინ ჩაუყარა საფუძველი. დღეს აქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ამიტომ ცენტრის დაარსების 15 წლისთავს 13 მაისს ოპერის თეატრში აღნიშნავენ. რიმსკი კორსაკოვისა და მოცარტის მუსიკის გარდა, ქართველი მსმენელისათვის კარგად ნაცნობი ვატო კახიძისეული "ბოლერო" შესრულდება - ორკესტრის "ფეხზე ადგომით".

და ბოლოს, კიდევ ერთი სიახლე თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრიდან: ცენტრის თანაპრეზიდენტად ბატონმა ვატო კახიძემ, ავტორიტეტული პიროვნება – ანზორ ერქომაიშვილი წარმოგვიდგინა. "გოგი ნიჟარაძე, რომელიც ადრე იკავებდა ამ პოსტს, მოგეხსენებათ, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზეა გადაყვანილი. და მიუხედავად იმისა, რომ ცენტრმა მისი სახით კომპეტენტური ფინანსისტი დაკარგა, მაინც მივესალმები ამ ნაბიჯს, იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, სამინისტროში სერიოზული რეფორმებია მოსალოდნელი," – აღნიშნა პრესკონფერენციის დასასრულს ვატო კახიძემ.

# ფოტოქაღალდზე აღბეჭდილი საქართველო

ევტიხი ჟვანიას ფოტოსამყაროში

ნანა ბასილაშვილი

*ფოტოგრაფია დღეს ის სფეროა, რომელსაც საკმაოდ ბევრი "მიმდევარი" ჰყავს; უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში მოყვარული ფოტოგრაფები თავიანთ ჰობის თანდათანობით პროფესიულ საქმიანობად აქცევენ ხოლმე, იცვლება, მდიდრდება, იზრდება მოთხოვნილება, დამოკიდებულება და სურვილი, ამიტომაც სპეციალურ სასწავლებლებს აკითხავენ ან შეგირდად დაუდგებიან რომელიმე პროფესიონალ ფოტოხელოვანს. ასე ყოფილა ოდითგანვე...*

უკვე ტრადიციად ქცეული ფოტომოყვარულთა კონკურსი "ქოლგა," იმის გარდა, რომ ამ სფეროთი დაინტერესებულთათვის დიდი სარგებლობა მოაქვს, საზოგადოდაც მეტად სასიკეთო საქმეს ემსახურება. მესამე კონკურსზე "ქოლგის" ორგანიზატორებმა პირველი ქართველი ფოტოხელოვანის, ალექსანდრე როინაშვილის სახელობის პრიზი დააარსეს. დამწყები თუ მოყვარული ფოტოგრაფებისთვის (თუმცა, არა მხოლოდ მათთვის) იმის შეხსენება, რომ ყველანი წარსულიდან მოვდივართ, ურიგო ნამდვილად არ იყო. "ამ პრიზის დაწესება "ქოლგის" დაარსების დღიდანვე ჩავიფიქრე, თუმცა ამ დრომდე ჩვენი კონკურსი სათანადოდ არ იყო მომწიფებული. რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა ყოფილიყო პირველი პრიზიორი - საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოს პირველი მესურათხატის სახელობის ჯილდო, ისტორიულად მეორე ფოტოხელოვანისათვის უნდა მიგვენიჭებინა", - აღნიშნა "ქოლგის" ორგანიზატორმა ბესო ხაინდრავამ. კონკურსის დახურვის ცერემონიალზე კინოთეატრ "ამირანში", თითქმის, სრულად იყო წარმოდგენილი პირველი პრიზიორის შემოქმედება. პირადად ჩემთვის, და ალბათ, არა მხოლოდ ჩემთვის, "აღმოჩენა" იყო, როდესაც შევიტყე, რომ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ამსახველი უამრავი, საკმაოდ ცნობილი, უნიკალური ფოტომასალა სწორედ როინაშვილის სახელობის პირველ პრიზიორს ევტიხი ჟვანიას ეკუთვნის.

ფოტომოყვარულთა კონკურსზე ევტიხი ჟვანიასთვის მინიჭებული დიპლომი, ქართული ფოტოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მის ოჯახს გადაეცა. "ამ პრიზით მამა გამიცოცხლეს", - ამბობდა თვალცრემლიანი მურად ჟვანია, რომელიც თავის დროზე მამის ღირსეული კოლეგა იყო; ხოლო, 1975 წლიდან უკვე საკუთარ შვილთან ერთად მიჰყვება ერთ-ერთი პირველი ქართველი ფოტოგრაფის, ევტიხი ჟვანიას კვალს.



*მარჯვნივ ევტიხი ჟვანია*

მათი წყალობით რუსთაველის გამზირზე ევტიხი ჟვანიას ფოტოატელიე დღესაც არსებობს. დღესაც შეგიძლიათ ესტუმროთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ატელიე-მუზეუმს და სწორედ იმ აპარატით გადაიღოთ ფოტო, რომელიც ზუსტად იგივე ტექნიკით დამუშავდება, როგორც მე-20 საუკუნის დასაწყისში; შეგიძლიათ დაათვალიეროთ 1921 წლიდან შეგროვილი ისტორიული ფოტოების არქივიც.

"ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის, ჩვენი ფოტოატელიეს არსებობა. ეს ისტორიაა. ჩვენთან სურათის გადაღება მეტად პრესტიჟული იყო, - იხსენებს მურად ჟვანია, - არ არსებობს თბილისში ორგანიზაცია, სადაც მე და მამას ფოტო არ გვქონდეს გადაღებული".

საქართველოს უახლესი ისტორია, ევტიხი ჟვანიას წყალობით, ფოტოებზე ცოცხლდება. მისი ობიქტივით აღიბეჭდა უამრავი ცნობილი ქართველის ფოტოპორტრეტი, იმ დროის ყველა მიმდინარე მოვლენა, გასული საუკუნის დასაწყისის დაფარული და ჯერ კიდევ ახლო წარსულში გასაიდუმლოებული მოვლენების აშკარა დოკუმენტები; "მე-11 არმია საქართველოში"; "ტაბახმელასთან დახოცილი იუნკერები და გვარდიელები"; "საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წევრები. 1919 წელი"; "სრულიად საქართველოს პირველი საეკლესიო კრება. 1917 წელი"; "მერიის შენობა ლენინის გარდაცვალების დღეებში"... - და უამრავი ცნობილი ქართველის ფოტო - ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ნოე ჟორდანიას, უჩა დადიანის, პეტრე მელიქიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო მესხიშვილის, ზაქრია ფალიაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის, ვაჟა-ფშაველას (რომელიც თბილისის ლაზარეთში ვაჟას სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრეა გადაღებული)... - ეს, რა თქმა უნდა, არასრული ჩამონათვალია ევტიხი ჟვანიას მემკვიდრეობისა.

1900 წელს 10 წლის ევტიხი აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოდან ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში გაგზავნეს. სიდუხჭირის გამო, სწავლას თავი დაანება და პრაქტიკულ საქმეს მიჰყო ხელი. იგი შეგირდად დაუდგა ბათუმელ კერძო ფოტოგრაფს ნიკოლოზ გაიდაბურას, რომლისგანაც მონადინებულმა მოწაფემ ბევრი რამ ისწავლა. 1906 წელს ევტიხი ჟვანია თბილისში ოსტატის თანაშემწედ იწყებს მუშაობას. გარდა ფოტოგრაფიული საქმიანობისა, რეპორტიორობდა და სხვადასხვა დროს ფირზე აღბეჭდავდა ზაჰესის – ნატახტარის, თბილისის მოედნებსა და ქუჩების მშენებლობებს; მან გადაიღო მრავალი სცენა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის შესანიშნავი დადგმებიდან.

"ევტიხი ჟვანია იყო პირველი ქართველი ფოტოგრაფი, რომელიც ფოტოს მხატვრულ ნაწარმოებად აღიქვამდა. პორტრეტებზე მუშაობისას იგი, ფაქტობრივად, ფანქრით ასრულებდა ნამუშევარს და უკვე დასრულებულს საკუთარ ავტოგრაფს აწერდა. არც ისე ხშირია, როდესაც ფოტოგრაფი თამამად აწერს ხელს საკუთარ ფოტოს. ძალზედ საინტერესო იყო მისი პრაქტიკა - იგი აკეთებდა საკმაოდ დიდი ზომის ფოტოებს, რაც იმ დროისათვის, ასევე, იშვიათი იყო; მაგალითად, პეტრე მელიქიშვილის პორტრეტი და სხვა... ეს, დაახლოებით, 20-30-იანი წლების დაზგური პორტრეტია, რაც მაშინ, არა თუ საქართველოში, არამედ, საერთოდ, ფოტოს ისტორიაში უიშვიათესი მოვლენა იყო. დღეს სხვანაირი ფოტოგრაფია არსებობს, მაგრამ დიდი პორტრეტების პრაქტიკა - არა. სამწუხაროდ, მას ბევრი მიმდევარი არ გამოუჩნდა. "ქოლგის" ორგანიზატორების გადაწყვეტილება - ევტიხი ჟვანიას, თუნდაც, მხოლოდ გახსენება, უკვე კარგი იყო. შუა პერიოდის შესახებ, მაშინ, როდესაც საკმაოდ ბევრი ფოტოგრაფი მუშაობდა, ნაკლები ინფორმაცია გვაქვს. ევტეხი ჟვანია ერთ-ერთი მაგალითია, რომელზედაც შესაძლებელია ბევრი გამოკვლევა გაკეთდეს", - აღნიშნავს ფოტოხელოვანი გურამ წიბახაშვილი.

ერთ-ერთი პირველი ქართველი ფოტოგრაფი 1975 წელს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიცოცხლეში იგი ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწედ აღიარეს. ის დღესაც ქართული ფოტოგრაფიის მეტრად რჩება.

# სარეკლამო ნოვაციები და "პეპსი"

## ქართულ წყაროს წყალთან შეზავებამდე

თამარ ბაბუაძე

ბევრი ამტკიცებს, რომ ქართული “კოკა-კოლა” გაცილებით უფრო გემრიელია და ეს საქართველოს წყაროს წყლების დამსახურებაა. მალე ქართულ ბაზარზე “პეპსიც” ოფიციალურად შემოვა და ჩვენი წყაროების უპირატესობის დამტკიცებაში ისიც დაგვეხმარება. თუმცა, “პეპსი” არც მანამდე უჩივის უგემურობას და, სხვათა შორის, არც უგემოვნობას. ამაზე, პირველ რიგში, მისი ტელერეკლამები მეტყველებს. ექსპერტთა სოლიდური ნაწილი ხომ “პეპსის” უდიდეს ექსპანსიას გამაგრილებელი სასმელების ბაზარზე სწორედ მის შესანიშნავ რეკლამებს აწერს.

დღესაც “პეპსიზე” სწორედ მისი ახალი რეკლამის გამო ვსაუბრობთ. მსოფლიოს მრავალ არხზე უკვე ტრიალებს რგოლი ფეხბურთის მთელი თანავარსკვლავედის მონაწილეობით. გლადიატორების ფორმაში გამოწყობილი საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობა კიდევ უფრო უტოპიური და ვარსკვლავურია, ვიდრე “რეალის” დღევანდელი “დასი”. “პეპსის” კლიპში ჭეშმარიტ “რეალელებს” – ბექჰემს, რაულს, რობერტო კარლოსს ემატება ფრანჩესკო ტოტი, რონალდინიო, რაფაელ ვან დერ ვაარტი, დიეგო, ფერნანდო ტორესი და კუარეზმა. რონალდინიო და რობერტო კარლოსი ივიწყებენ უმნიშვნელოვანეს ბარიერს – “რეალისა” და “ბარსელონას” ისტორიულ ქიშპს, იხსენებენ, რომ ორივენი ბრაზილიიდან არიან და დანარჩენ ფეხბურთელ-გლადიატორებთან ერთად “პეპსის” უცხადებენ პატივისცემას. ბექჰემი “პეპსის” საიტზე აცხადებს კიდეც, რომ ის საერთოდ არ სვამს ლუდს, სამაგიეროდ დიდი სიამოვნებით მიირთმევს ჭიქა ღვინოს, ან ქილა “პეპსის”.

ვისაც ეს კლიპი ნანახი გაქვთ, დამეთანხმებით, რომ ის ისეთივე კარგი საყურებელია, როგორც ეფექტური მძაფრსიუჟეტიანი ფილმი. განსხვავება მხოლოდ დროის სიმცირეშია, თორემ მას აქვს დაძაბული სიუჟეტიც, ბატალური სცენებიც (ფეხბურთელები ქალაქს შემოტევისგან იცავენ), შესანიშნავი დადგმა, ვარსკვლავთა დასი (თანაც არატრადიციული – მთავარი პერსონაჟები არა კინოს, არამედ ფეხბურთის ვარსკვლავები არიან, ეს კი პუბლიკას კიდევ უფრო აინტრიგებს), არაჩვეულებრივი კოსტიუმები (გლადიატორების სამოსზე “პეპსის” რკინის ლოგოა ამოტვიფრული), იუმორი და ტრიუკები (ბიჭები ფეხბურთს ბურთის ნაცვლად “პეპსის” ქილებით თამაშობენ, მაყურებელს აჩვენებენ თავიანთ “საფირმო” ილეთებსაც).

იგივე შეიძლება ითქვას, “პეპსის” მეორე ახალ კლიპზეც, რომელშიც წყურვილს იკმაყოფილებენ უკვე შოუბიზნესის დედოფლები – ბიონსი, ბრიტნი სპირსი და ფინქი. მოქმედება იგივე დროში ხდება, თუმცა, არის სხვა მუსიკა – “ქუინის” უკვდავი We Will Rock You ბიონსის, ბრიტნისა და ფინქის შესრულებით.

არაჩვეულებრივი დადგმის წყალობით, ეს კლიპიც მინი-ფილმს ჰგავს და საოცრად გამომსახველია – ფერები, განათება, მაკიაჟი, კადრირება – ყველაფერი ისეთია, რომ პაპანაქება სიცხეს მაყურებელი ტელე-ეკრანზეც კი გრძნობს, წყურვილით იხრჩობა და ერთი სული აქვს, სანამ დაცვარული ქილიდან ყინულივით “პეპსით” გაიგრილებს ყელს.

ბევრი ამტკიცებს, რომ ეს სარეკლამო კამპანია “პეპსის” ისტორიაში ყველაზე ამბიციური და მასშტაბურია. თუ ადრე მხოლოდ ამის ნიშნები იყო, წელს უკვე აშკარად ჩნდება ისეთი შთაბეჭდილება, რომ “პეპსის” არა მხოლოდ კარგ რეკლამაზე აქვს პრეტენზია, არამედ კარგ “კინო-რეკლამაზე”. პრინციპში, რეკლამის ისტორიაში მსგავსი ტერმინის დამკვიდრება სწორედ “პეპსის” დამსახურებაა. მისი რეკლამები არა მხოლოდ სიუჟეტით გამოირჩევა, არამედ სრულყოფილად განვითარებული სიუჟეტით და ფილმისთვის დამახასიათებელი კიდევ ბევრი დეტალით. აი, თუნდაც ერთი: ვის უნახავს ოდესმე რეკლამის – თვითონ საპროპაგანდო ხასიათის პროდუქტის პრომოუტირება? ეს უნახავს და გაუგია – “პეპსის”. ლონდონში, ტრაფალგარის სკვერზე, სადაც, როგორც წესი, ჰოლივუდური ფილმების პომპეზური პრემიერები იმართება ხოლმე, “პეპსის” ახალი რეკლამის პრემიერაც შედგა. თანაც ეს ორი ღონისძიება არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან – დარბაზის შესასვლელში ისევე ელოდებოდა ფანების პუბლიკა ბიონსს, ფინქსა და ბრიტნის, თითქოს, ისინი ცნობილი კინოგმირები ყოფილიყვნენ და თითქოს რამდენიმე წუთში სრულმეტრაჟიანი ფილმის ჩვენება იწყებოდა. ახალი რეკლამის გამოსვლის შესახებ სატელევიზიო სიუჟეტებიც მომზადდა. “ბერლინალეთი”, “ოსკარით” და სხვა ცნობილი კულტურული თუ შოუბიზნესის ღონისძიებებით გადაჭედილ ახალ ამბებში დროს უთმობდნენ “პეპსის” ახალი რეკლამის პრემიერასაც.

ერთი სიტყვით, “პეპსის” ასწლოვანი ტრადიცია გრძელდება. ნოვატორის სტატუსს ის ახალ-ახალი ნოვაციებით იმყარებს. ეს ნოვაციები ცხადია, პირველ რიგში, თვითონ “პეპსის” ასორტიმენტზე აისახება – კომპანია სულ უფრო ნაირფეროვანი გემოს სასმელს უშვებს – “მაიუნთინ დიუ”, “სევენ აფ”, “პეპსი ჩერი”... მაგრამ განსაკუთრებული აგრესიულობითა და დახვეწილობით მაინც თავის სარეკლამო სტრატეგიას ადგენს. კომპანიის მესვეურები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მთავარ კონკურენტს “კოკა-კოლას” გაუსწრონ. სანტა-კლაუსთან და პოლარულ დათვებთან გაიგივებულ “კოკასთან” შედარებით “პეპსი” ათიოდე წლით ახალგაზრდაა, მაგრამ გაჩენის დღიდან ებრძვის მას (არსებობს ტერმინიც “კოლების ომი”).


ბიონსი, ბრიტნი სპირსი და ფინქი


რობერტო კარლოსი



დევიდ ბექჰემი

ამ სასმელების ერთგული მომხმარებლები, რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას გააპროტესტებენ, მაგრამ პრინციპში, ძალიან გულწრფელად რომ ვთქვათ, “კოკასა” და “პეპსის” დიდად განსხვავებული გემო არ აქვთ. მეც რომ “კოკას” “პეპსი” მირჩევნია, “პეპსი ლაითს” კი – ნამდვილი “პეპსი”, ესეც ნაწილობრივ გემოთი, ნაწილობრივ კი ფსიქოლოგიური განწყობითაა განპირობებული.

ამ განწყობას კი, პირველ რიგში, რეკლამა ქმნის. სარეკლამო კონცეფციებს იმდენად ფილოსოფიურად და სიღრმისეულად აყალიბებენ, რომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ძალიან მარტივად დავასკვნით – სასმელის მოწონება-არ მოწონებას მნიშვნელოვანწილად მათი ხარისხი განსაზღვრავს.

“პეპსის” რეკლამების ხარისხი კი, ისევე, როგორც “კოკა-კოლის", უმაღლესია (უბრალოდ, მათ კარდინალურად განსხვავებული სარეკლამო სტრატეგია აქვთ არჩეული – თითქმის იდენტური რეცეპტით დამზადებულ სასმელებს კარდინალურად სხვადასხვა განწყობა და იმიჯი რომ შეუქმნან). “პეპსის” ფსონი, ძირითადად, ცნობილ სახეებზე, კარგად განვითარებულ სიუჟეტზე, იუმორზე, ახალ თაობაზე და მომგებიან სარეკლამო დროზე (“ოსკარის”, სუპერ-თასის, “ოქროს გლობუსის” პირდაპირი ტრანსლაციები) იდება.

თავად განსაჯეთ, პირველი ცნობილი სახე “პეპსის” რეკლამაში გასული საუკუნის დასაწყისში – 1909 წელს ჩნდება – ავტომრბოლელი ბარნი ოლდფილდი საგაზეთო რეკლამიდან გვიმტკიცებს, რომ “პეპსი” უგემრიელესი და ჯანსაღი სასმელია. შემდეგ ამ მოწოდებას – თუმცა, მრავალგზის სახეცვლილს – სხვებიც იმეორებენ: ჯოან კროუფორდი, რეი ჩარლზი, ტინა ტერნერი, გლორია ესტეფანი, ბილი კრისტალი, სინდი კროუფორდი, “მეჯიქ” ჯექსონი, შაკილ ო`ნილი, ენდი გარსია, ფეით ჰილი, შაკირა, ბრიტნი სპირსი, დევიდ ბექჰემი. სწორედ ეს უკანასკნელი თამაშობს “პეპსის” ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ვიდეო-რგოლში: როცა “მანჩესტერ იუნაიტედისა” და “იუვენტუსის” მატჩის დროს მოედნიდან გაძევებულ ბექჰემს “იუვენტუსის” გულშემატკივარი იტალიელი ბიჭი გააშაყირებს. ეს რგოლი სამართლიანად ითვლება რეკლამა-კლასიკად.

რაც შეეხება ახალ თაობას, ეს თემა “პეპსის” სარეკლამო ისტორიაში 1961 წელს ჩნდება. სწორედ ამ პერიოდში ხვდება “პეპსი”, რომ მისი სამიზნე-მომხმარებელი ომის შემდგომი, ახალგაზრდა თაობაა და სლოგანსაც შესაბამისს აყალიბებს: “პეპსი” მათთვის, ვინც ახალგაზრდულად აზროვნებს”. მალე “ბეიბი-ბუმერების” თაობას “პეპსი” უფრო აქტიურად უბამს მხარს, სლოგანს უფრო მეტად ხვეწს და უკვე საკუთარ თაობას აყალიბებს. ასე ჩნდება ტერმინი “პეპსის თაობა”, რომლითაც კიდევ ერთხელ იცვლება რეკლამის ისტორია – პირველად ამ ისტორიაში პროდუქტის განმსაზღვრელი შტრიხი არა მისი დამახასიათებელი ნიშანი, არამედ მომხმარებლის ცხოვრების სტილი ხდება.

1976 წელს იქმნება კიდევ ერთი კლასიკა – “მოიწყვეთ “პეპსური” დღე”, მოგვიწოდებენ ავტორები და 30-წამიან კლიპში პატარა ბიჭუნასა და ლეკვების გადაღებით საოცარ ემოციურ მუხტს ქმნიან.

შემდეგ მოდის 80-იანი წლები, ახალი თაობა ცხოვრების წესსა და ღირებულებებს იცვლის და იცვლება “პეპსიც”: “პეპსი” – ახალი თაობის არჩევანია” გვეუბნება უკვე მაიკლ ჯექსონი და მისი ვიდეო-რგოლები არნახულ წარმატებას აღწევს. ეს ხომ ჯექსონის მეფობის პერიოდია და მისი რეკლამაში გადაღებაც სუპერ-წარმატებული სტრატეგიაა. როგორც ამბობენ, 1988 წელს გამოსული ოთხნაწილიანი რეკლამა სათაურით “გაედევნე” (მას “გრემის” ცერემონიალის ტრანსლაციის დროს გადასცემენ) რეკლამის ისტორიაში ყველაზე მეტად ყურებადი რგოლია.

90-იანი წლები კალათბურთისა და მოდის ვარსკვლავებით იწყება – შაკილ ო`ნილითა და სინდი კროუფორდით. სინდი “პეპსის” ახლებურ შეფუთვას წარმოგვიდგენს, შაკილი კი გვიმტკიცებს, რომ ლამის ასი წლის სასმელი ყველაზე ახალგაზრდულია: “იყავი ახალგაზრდა, გაერთე, დალიე “პეპსი”, - მოგვიწოდებს ის.

1995 წელს კეთდება ახალი სარეკლამო კამპანია მოწოდებით – “პეპსი” სხვა ვერ იქნება” და ის სარეკლამო კონკურსში მთავარ პრიზს იღებს. შემდეგ “პეპსი” ვარსკვლავეთის ომებთან” იწყებს მეგობრობას, 1999 წელს კი – ასი წლის იუბილეს აღნიშნავს – “როლინგ სტოუნზი”, “ქულ ენდ ზი გენგი”, რეი ჩარლზი, “პეპსის” ვარსკვლავები – ყველანი ერთად ზეიმობენ.

პარალელურად “პეპსი” ზრდის კონტაქტებს – განსაკუთრებულად მეგობრობს “მანჩესტერ იუნაიტედთან” და “რეალთან”, იპყრობს ინტერნეტს, ატარებს საქველმოქმედო აქციებს (წელს მელომანებს 100 მილიონი უფასო სიმღერის ინტერნეტიდან ლეგალურად ჩამოტვირთვის უფლება მისცა), ასპონსორებს ვარსკვლავების მსოფლიო ტურნეებს, საზოგადოებრივი შემეცნების გასაზრდელად იგონებს ათას ხერხს (2001 წელს შეიქმნა “ფანების შემფუთავი ქარხანა” – მომხმარებელს თავად შეუძლია განსაკუთრებული პერსონალური დიზაინი შეურჩიოს თავის “პეპსის” ქილას) და რჩება ერთ-ერთ ყველაზე გემოვნებიან, გემრიელ, ახალგაზრდულ, სახალისო და შემოქმედებით ლიდერად.

ცხადია, ამ იმიჯის შენარჩუნებას “პეპსი” მომავალშიც შეეცდება. ეს კი იმის გარანტია, რომ კარგი რეკლამის მოყვარულებს კარგი რეკლამები სალაპარაკოდ და განასხილველად არც მომავალში დაელევათ.

“პეპსის” რეკლამებით ტკბობას მათაც ვურჩევდით, ვინც მაღალ ხელოვნებას მისტირის და კიჩურ მასკულტურას ვერაფრით ეგუება. ეს უკანასკნელი ხომ იმდენად ხმაურიანად და მასობრივად არსებობს, რომ ვერსად დავემალებით. ამიტომ, მასში ისევ ისეთი ხარისხიანი გამონაკლისების ძებნა ჯობს, როგორებსაც “პეპსი” ქმნის. თან, მალე ხომ საქმეში ქართული წყაროს წყალიც ჩაერთვება და მერე ნახეთ, რა სიმძლავრით შემორაკრაკდება “პეპსი” გლობალურიდან ქართულ შემეცნებაში.

## ათეულები

**ბრიტანეთის კვირის საუკეთესო ალბომები BBC-1**

| შემსრულებელი | ალბომის სათაური | წინა კვირის პოზიცია |
|---|---|---|
| ქეთი მელუა | Call Off The Search | 1 |
| ნორა ჯონსი | Feels Like Home | 2 |
| "ზერო 7" | When It Falls | - |
| ჯამელია | Thank You | - |
| ჯეიმი ქალამი | Twentysomething | 3 |
| "ბლექ აიდ ფის" | Elephunk | 6 |
| "ნო დაუთ" | The Singles 1992-2003 | 5 |
| "აუთქასთ" | Speakerboxxx/The Love Below | 8 |
| "დიურან დიურან" | Greatest | 4 |
| უილ იანგი | Friday's Child | 16 |



**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის"**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| "ძველი ქართული [illegible]" | კრებული | "[illegible]" | 2.4 |
| კრებული | [illegible] | "[illegible]" | 2 |
| [illegible] |  | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| "[illegible]" | აკა მორჩილაძე | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" | აკა მორჩილაძე | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| "[illegible]" |  | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| "ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი" | ჯოან როულინგი | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1.6 |
| "[illegible]" | ალექსანდრე რონდელი | "[illegible]" | 1.6 |
| "მასების ამბოხი" | ხოსე ორტეგა ი გასეტი | "[illegible]" | 1.6 |
| "თუ" | რატი ამაღლობელი | "[illegible]" | 1.6 |



**კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "ქრისტეს ვნება" | მელ გიბსონი | ჯეიმს კავიზელი, მონიკა ბელუჩი, მაია მორგენშტერნი | 53,246,801 | 213,888,740 |
| "სტარსკი და ჰაჩი" | ტოდ ფილიპსი | ბენ სტილერი, ოუენ უილსონი, სნუპ დოგი, ქარმენ ელექტრა | 28,103,367 | 28,103,367 |
| "იდალგო" | ჯო ჯონსტონი | ვიგო მორტენსენი, ომარ შარიფი | 18,829,435 | 18,829,435 |
| "პირველი პაემანი 50-ჯერ" | პიტერ სიგალი | დრიუ ბერიმორი, ადამ სენდლერი | 7,637,128 | 99,348,370 |
| Twisted | ფილიპ კაუფმანი | ეშლი ჯადი, სემუელ ლ. ჯექსონი, ენდი გარსია | 5,126,387 | 16,483,793 |
| "თინეიჯერი დედოფლის აღსარება" | სარა შუგარმანი | ლინდსეი ლოჰანი, ელისონ პილი, ადამ გარსია | 4,045,006 | 21,803,186 |
| "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება" | პიტერ ჯექსონი | ელაია ვუდი, ვიგო მორტენსენი, ორლანდო ბლუმი, ლივ ტაილერი, ქეით ბლანშეტი | 3,037,822 | 368,210,170 |
| "ბინძური ცეკვები: ჰავანური ღამეები" | გაი ფერლენდი | დიეგო ლუნა, რომოლა გარაი | 2,962,008 | 10,149,976 |
| "სასწაული" | გევინ ო`კონორი | კურტ რასელი, პატრისია კლარკსონი | 2,543,422 | 59,822,969 |
| "მონსტრი" | პეტი ჯენკინსი | შარლიზ თერონი, კრისტინა რიჩი | 2,123,915 | 29,954,254 |

მოკლედ

## ჩემპიონის ოცნების მამაკაცი



ანი ფრიზინგერის ოცნების მამაკაცი ჯიმი მორისონი ყოფილა

აღიარების საფუძველზე ირკვევა, რომ ანი ფრიზინგერისთვის, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისთვის (1500 მეტრზე) ოცნების მამაკაცი, არც მეტი არც ნაკლები, ჯიმი მორისონი ყოფილა – ლეგენდარული "დოორზის" სოლისტი. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბავშვობისას მამამისის მიერ მაგიდაზე შემთხვევით დარჩენილ ფირფიტაზე მომავალი ეტალონის ფოტოსურათი შეამჩნია. მას შემდეგ, როგორც თავად გერმანელი ჩემპიონი ამბობს, "დოორზის" სოლისტი თურმე ხშირად სტუმრობს სიზმარში.

"მუდმივად ველაპარაკები ჯიმის, - სიზმრებს გვიყვება ანი. – როდესაც პატარა ვიყავი, იგი თითქმის ყოველ ღამე მესიზმრებოდა. ახლა კი იშვიათად, რომ სიზმარში მეწვიოს.

ისე კი, ფრიზინგერისთვის მორისონის გარდა სხვა ტკბილი მოგონებაც აქვს. ამ შემთხვევაში ოლიმპიური ჩემპიონი იხსენებს ერთ მეტად უჩვეულო სუვენირს, რომელიც თაყვანისმცემელთა არმიისგან მშობლიურ ინცელში (ბავარია) მიიღო. ამასთან, ის სუვენირი ქალაქის ხელისუფლებისგან სპეციალურად მის პატივსაცემად მოწყობილ საზეიმო ვითარებაში გადაუციათ. კერძოდ, ფრიზინგერზე უზომოდ შეყვარებულმა გულშემატკივრებმა ოლიმპიური ჩემპიონის სახელით დამშვენებული ქუჩის აბრა – ანი ფრიზინგერ შტრასე გადასცეს.

და მაინც, ოლიმპიური ჩემპიონი ყველაზე დიდ სუვენირად მიიჩნევს ბოიფრენდ შტეფან ედერს, რომელთანაც ახლო მომავალში იქორწინებს კიდეც. თუმცა, სამშობლოში პოპულარობით განებივრებული ფრიზინგერის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა თუ თაყვანისმცემელთა არმია იმაზე წუხს, რომ ქორწინების შემდეგ სათაყვანებელ ჩემპიონს სპორტული კარიერის დასრულება განუზრახავს.

## "შუმის" სურს, კლინსმანივით წავიდეს

"სასწრაფოდ გვესაჭიროება ახალი ჩემპიონი", - სამეფო რბოლების პირველი ეტაპის, ავსტრალიური გრან-პრის დასრულებისთანავე წამოიძახა ფორმულა 1-ის მხცოვანმა იმპრესარიომ ბერნი ეკლსტოუნმა. საქმე ისაა, რომ ეკლსტოუნი პირველივე ეტაპზე "ფერარის" გამარჯვებამ შეაშფოთა. ბუნებრივია, იმპრესარიო მიხაელ შუმახერის გამარჯვებით უნდა აღშფოთებულიყო. არა, ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ეკლსტოუნი სერიოზულად გაბრაზებულიყოს, უბრალოდ, ვითომ ხუმრობით, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ დროა, რაღაც შეიცვალოს. პირველ ყოვლისა, შუმახერისა და "ფერარის" ბატონობა კვლავაც გარდაუვალი იქნებაო. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი კი, პირიქით, თითქოს ეკლსტოუნის გულის გასახეთქად იქადნება, კიდევ ვაპირებ ჩემპიონობას, თანაც, რამდენჯერმეო.

ბოლო რამდენიმე წელიწადია (ამგვარი მოსაზრება განსაკუთრებით შარშან განმტკიცდა) მიხაელ შუმახერის უმთავრეს მემკვიდრედ "რენოს" ესპანელ პილოტს, ფერნანდო ალონსოს ასახელებენ. საინტერესოა, რომ ამავე აზრისაა გერმანელი ჩემპიონიც: "ბუნებით ერთმანეთისგან განვსხვავდებით, მაგრამ თუ შედეგებს გადავხედავთ, ჩვენს შორის ბევრია მსგავსება".

რაც შეეხება მიხაელის უმცროს ძმას, "ფერარის" პილოტი მისთვის არაფრის დათმობას არ აპირებს. აცხადებს კიდეც, იმედი მაქვს, რალფი მსოფლიო ჩემპიონი გახდება, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, როცა მე ველარ გავიმარჯვებ ან სპორტიდან წავალო. ისე კი, უმჯობესია, კიდევ რამდენჯერმე გავხდე ჩემპიონი. ამის მერე კი რალფსაც შეუძლია იგემოს ჩემპიონობაო.

"შუმის" სიტყვებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კარიერის დასრულებაზე ლაპარაკი ნაადრევია. "ჩემთვის ყველაზე კარგი, ალბათ, იურგენ კლინსმანის წასვლის მოდელი იქნებოდა. წავიდა და მორჩა. ერთ მშვენიერ დღეს მიხვდა, რომ წასვლის დრო მოვიდა. ჰოდა, ისიც მშვიდად წავიდა, რათა დარჩენილი დრო საკუთარი თავისთვის დაეთმო".

## ნატოს საოლიმპიადო მობილიზაცია

მადრიდში მომხდარი ტერაქტის შემდეგ 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს უსაფრთხოების ნორმების გაძლიერება სურთ.

საბერძნეთის სახელმწიფო ტელევიზიაზე დაყრდნობით, თითოეულ რკინიგზის სადგურზე, მატარებლებში, მეტროში უკვე გარკვეული კონტროლია დაწესებული. გაძლიერებულია უსაფრთხოების ნორმები ქვეყნის ყველა აეროპორტში.

მეტიც, საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გუშინდელი განცხადებით ირკვევა, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ნატო-საც მიმართეს თხოვნით.

თხოვნის თუ მიმართვის მიხედვით ჩრდილო ატლანტიკურმა ალიანსმა უნდა აკონტროლოს საბერძნეთის საჰაერო სივრცე, მოაწყოს საზღვაო ტერიტორიის პატრულირება და საჭიროების შემთხვევაში თავიდან აიცილოს ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური თავდასხმის საშიშროება.

## მსაჯის გაშიშვლებული საჯდომი

ბელგიელი მსაჯი ჯეკი ტემერმანი ქვეყნის დასაცინი გახდა. გახურებული მატჩისას...

ტემერმანი "იონგს სტარს ეკლოსა" და "ზელზატოს" მატჩს სჯიდა. ერთი გულშემატკივარი მოედანზე გაიჭრა და მსაჯს ტრუსი ჩახადა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი - სპორტულ ტრუსს საცვალიც მიაყოლა. როგორც კი განზრახვა სისრულეში მოიყვანა, შურდულივით უკან, ტრიბუნებისკენ გაიქცა.

"წარმომიდგენია, ასობით გულშემატკივრის წინაშე რა კარგი სანახავი ვიქნებოდი, - "ხეტ ლაატსეს" საინფორმაციო სააგენტოსთან ინტერვიუში განაცხადა შეურაცხყოფილმა ტემერმანმა. – იმ ბიჭმა საშინელ მდგომარეობაში ჩამაგდო...

მეტს ველარ გავბედავ მოედანზე გასვლას. სჯობს, ვინმე სხვა იდიოტი მოძებნონ, რომელიც მზად იქნება, ერთ თამაშში შიშველი საჯდომი 20 ევროდ გამოამზეუროს".

ფეხბურთი

## ლონდონური დერბი ჩემპიონთა ლიგაში

იძიებს თუ არა შურს მორიენტესი?

აკა ტონია

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე საქალაქო დერბი შედგება - ლონდონის "ჩელსი" თანაქალაქელ "არსენალს" დაუპირისპირდება. ასე გადაწყდა გუშინ, შუადღისას, შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩატარებულ კენჭისყრაზე. იქ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალების წყვილები გამოავლინეს.

კენჭისყრის დაწყებამდე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მადრიდში მომხდარი ტერაქტის დროს დაღუპული ადამიანების ხსოვნას, შემდეგ კი პროცედურა დაიწყო. ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში შემორჩენილ რვა საუკეთესო გუნდს შორის ესპანეთის, ინგლისისა და საფრანგეთის ჩემპიონატებს ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავთ, თუმცა, "რეალ"-"დეპორტივოსა" და "ლიონ"-"მონაკოს" გზები გაიყარა. სამაგიეროდ, "ჩელსისა" და "არსენალს" ლონდონის მიტოვება არ მოუწევთ და, ალბათ, დენის ბერგკამპიც შეძლებს ორივე მატჩში თამაშს.



არსენალი და ჩელსი ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგაშიც შეხვდებიან

შეიძლება ითქვას, რომ "ჩელსის" არ გაუმართლა. ჯერ ერთი, აბრამოვიჩის გუნდი ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტს შეხვდა. მთავარი კი ის არის, რომ "არსენალი" მეტად უხერხული მეტოქეა "ჩელსისთვის". მიმდინარე სეზონში ეს გუნდები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამივე მატჩი "არსენალის" გამარჯვებით დასრულდა, თანაც, ერთი და იმავე შედეგით – 2:1. მაგრამ "არსენალის" ხელმძღვანელობა ამ სტატისტიკას არაფრად აგდებს. "ადვილი მეტოქეები აღარ არსებობენ. გაიხსენეთ "მან ესტერი" და "იუვენტუსები". ეს გუნდები ფავორიტები იყვნენ, თუმცა, ჩემპიონთა ლიგას უკვე გამოეთიშნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის გადალახვა ყოველთვის გვიჭირდა", - ამბობს ლონდონელთა ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დეინი. საუკეთესო ოთხ გუნდს შორის მოხვედრა "არსენალმა" უკანასკნელად 2001 წელს შეძლო, შემდეგ კი ნახევარფინალში "ვალენსიასთან" წააგო.

მეტისმეტად უხერხული მეტოქე შეხვდა იტალიურ "მილანს", რომელიც მეოთხედფინალში ესპანურ "დეპორტივოს" დაუპირისპირდება. შეძლება ითქვას, რომ გაუმართლა მადრიდის "რეალს". სამეფო კლუბი "მონაკოს" დაუპირისპირდება. ამ წყვილის უპირობო ფავორიტი, ცხადია, "რეალია". თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "მონაკომ" დიდი გაჭირვებით სძლია მოსკოვის "ლოკომოტივს", მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ "რეალი" პირველივე მატჩში გადაწყვეტს ყველაფერს. თუმცა, "მონაკოს" ჰყავს ერთი ფეხბურთელი, რომელიც "რეალის" წინააღმდეგ გაათმაგებულად მოტივირებული ითამაშებს. ფერნანდო მორიენტესს არ სურდა სამეფო კლუბიდან წასვლა და მადრიდელებმა ის მაინც გაყიდეს მონაკოში. ახლა მას უნიკალური შანსი ეძლევა იმისთვის, რომ "რეალის" ხელმძღვანელობაზე შური იძიოს.

მეოთხე წყვილი "პორტო"-"ლიონია". ამ დაპირისპირების ფავორიტი, ალბათ, პორტუგალური კლუბია, რომელმაც "მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხებით კარგად დაგვანახა საკუთარი სიძლიერე.

მეოთხედფინალების შემდეგ ნახევარფინალისტთა დასაწყვილებლად კენჭისყრის გამართვა საჭირო აღარ იქნება. ვინ ვის შეხვდება შემდეგ ეტაპზე, ახლავე ცნობილია. "რეალი"-"მონაკოს" წყვილის გამარჯვებული "არსენალისა" და "ჩელსის" შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება, ხოლო "პორტოსა" და "ლიონს" შორის მოგებული ნახევარფინალში "მილანი"-"დეპორტივოს" წყვილის გამარჯვებულს შეხვდება.

მეოთხედფინალების პირველი წრე 24 და 25 მარტს გაიმართება, ხოლო განმეორებითი მატჩები - 6 და 7 აპრილს. სამი კვირის შემდეგ, 20-21 აპრილს, ნახევარფინალური ეტაპი დაიწყება, რომლის განმეორებითი მატჩები 4 და 5 მაისს ჩატარდება.

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ფინალი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს გაიმართება და მას გელზენკირხენი უმასპინძლებს.

### მეოთხედფინალები

**1. პორტო – ლიონი**
**2. რეალი – მონაკო**
**3. ჩელსი – არსენალი**
**4. მილანი – დეპორტივო**

### ნახევარფინალები

**2 წყვილში გამარჯვებული – 3 წყვილში გამარჯვებული**
**1 წყვილში გამარჯვებული – 4 წყვილში გამარჯვებული**

## პაოლო დი კანიო - სიამაყე და სიმარტოვე

ნინო პირველი

სულ რაღაც ორი-სამი წლის პაოლო დი კანიოს სახელი ყველას პირზე ეკერა - დიდ ბრიტანეთშიც, სადაც ის თამაშობდა და იტალიაშიც, სადაც ტიფოზები მას არასოდეს ივიწყებდნენ. პაოლო დი კანიო 1968 წლის 9 ივლისს დაიბადა რომში. 20 წლისა მოხვდა რომის "ლაციოში", საიდანაც მალე ტურინის "იუვენტუსში" გადავიდა. როცა "იუვენტუსმა" ახალგაზრდა რომაელი გუნდში აიყვანა, დი კანიოს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. "იუვეში" გადასვლა მას ორი მიზეზის გამო უხაროდა: ჯერ ერთი, ტურინში თამაში ბრწყინვალე კარიერის გაკეთებაში დაეხმარებოდა და, ამას გარდა, ბევრ ფულსაც მიიღებდა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო არცთუ ისე მდიდარი ოჯახიდან გამოსული ფეხბურთელისთვის. "იუვეში" მოხვედრა მაშინ სულ არ იყო უბრალო საქმე - დი კანიოს აყვანამდე ტურინელებმა რობერტო ბაჯო გაუშვეს გუნდიდან. იტალიის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად მიჩნეულ "პატარა ბუდას" დაუნანებლად უკრეს თავი ფლორენციულ "ფიორენტინაში." დი კანიო ბაჯოს ადგილის დაკავებას შეეცადა და ერთხანს თითქოს კარგადაც მოერგო "იუვენტუსს", მაგრამ მალე მისი დიდი პილიგრიმობის ხანა დაიწყო: რომაელი ფეხბურთელი ჯერ "მილანში" გადავიდა, მერე "ნაპოლიში", ბოლოს კი სულაც მიატოვა იტალია და შოტლანდიაში წავიდა. "სელტიკში" ისე გამოიჩინა თავი, რომ წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ამის შემდეგ ყველა ფიქრობდა, რომ დი კანიოს ბიოგრაფიაში ახალი ერა დაიწყებოდა - მას ისევ დაიბრუნებდნენ იტალიური კლუბები და ნაკრებშიც მიიწვევდნენ, მაგრამ მოულოდნელად დი კანიოს ერთ-ერთ ინგლისელ მსაჯთან კონფლიქტი მოუვიდა და სანაკრებო კარიერაზე ოცნებაც ამით დამთავრდა. იტალიაში დაბრუნების ნაცვლად, დი კანიო გადავიდა "ტოტენჰემში", სადაც მოულოდნელად ფეარ პლეის საპატიო პრიზი მიიღო, რითაც დიდად გააოგნა როგორ ინგლისელი, ისე იტალიელი გულშემატკივრები. ეს უცნაური შემთხვევა ლამის პრემიერ ლიგის ისტორიაში შევიდა: დი კანიო, ჩვეულებრივ, აქტიურად უტევდა მოწინააღმდეგის კარს, ფანები დაძაბული ელოდნენ, რითი დასრულდებოდა ყველაფერი. დი კანიოს სულ ცოტაღა აკლდა გოლის გატანამდე, როცა შენიშნა, რომ მეტოქე გუნდის ერთ-ერთი



ასეთი ეპიზოდი დი კანიოს კარიერაში ჩვეულებრივი მოვლენაა

ფეხბურთელი მოკრუნჩხული იწვა მოედანზე. იმის ნაცვლად, რომ შეტევა გოლით დაესრულებინა, რასაც ყველა ელოდა - დი კანიოს მომხრეც და მოწინააღმდეგეც, იტალიელი შეჩერდა, ბურთი მოედნიდან გადააგდო და, - დაშავებულს მიხედეთო, - მოითხოვა. ამ დიდსულოვანი საქციელისთვის ფიფამ უყოყმანოდ დააჯილდოვა ფეარ პლეის პრიზით, რასაც იტალიელი ფეხბურთელები და კლუბები მეტად იშვიათად იღებენ ხოლმე.

აი, ასეთი სახელგანთქმული იყო პაოლო დი კანიო ოდესღაც. დღეს კი ის, ცოტა არ იყოს, მიივიწყეს. სამშობლოში მის დაბრუნებას დიდი სიხარულით და მოუთმენლობით აღარავინ ელის. იტალიის ნაკრებში თამაშს მას არავინ აღირსებს, ეს ყველამ კარგად იცის, ყველაზე კარგად კი - თავად ფეხბურთელმა. ჯოვანი ტრაპატონის, რომელიც მისი მწვრთნელი იყო "იუვეში" ყოფნისას, არ უყვარს იტალიის ფარგლებს გარეთ მოღვაწე თანამემამულეების აყვანა "სკუადრა აძურას" რიგებში. ეს ცნობილი ამბავია... რაც შეეხება პრემიერ ლიგას, აქ მიაჩნიათ, რომ ექსცენტრული იტალიელი უკვე დაბერდა და მისი დრო წავიდა. პაოლო დი კანიო ერთგვარად ჩრდილში მოექცა. ინტერვიუ, რომელიც მან იტალიური GQ-ს კორესპონდენტს მისცა, საზოგადოებისთვის დი კანიოს პერსონის შეხსენებად შეიძლება ჩაითვალოს...

**- იტალია არ გენატრებათ?**

- არა. ყოველთვის მინდოდა, რომ კარიერა ინგლისში დამემთავრებინა. გასულ ზაფხულს, სანამ "ჩარლტონთან" გავაფორმებდი კონტრაქტს, "სიენასგან" მივიღე წინადადება. თავისუფლად შემეძლო იტალიაში დაბრუნება და სერია ა-ში თამაში, მაგრამ არ დავთანხმდი. ლონდონში დარჩენა ვამჯობინე. ინგლისმა მე ყველაფერი მომცა, რაც მინდოდა. აქაურობა ძალიან მომწონს - ხალხი, გარემო, ფეხბურთი... იტალიაში ცხრა წელი ვითამაშე, ინგლისში კი - შვიდი. აქაურმა ფეხბურთმა უფრო მეტი მომცა, ვიდრე იტალიურმა.

**- ადრე "ვესტ ჰემში" თამაშობდით, მერე კი "ჩარლტონის" წინადადებას დათანხმდით, რომელიც ნამდვილად არ არის "ვესტ ჰემის" დონის კლუბი...**

- "ჩარლტონი" პატარა, მაგრამ ძალიან კარგად აწყობილი კლუბია. ყველა საკითხი უმაღლეს დონეზეა მოგვარებული - წმინდა წყლის პროფესიული, ტექნიკური თუ საორგანიზაციო. ამ გუნდს შესანიშნავი ფეხბურთელები და მწვრთნელები ჰყავს, რომელთაც მე არაჩვეულებრივად შევეთვისე.

**- რამდენადაც ვიცი, გასული ზაფხული თქვენთვის მეტად მოუსვენარი იყო.**

- კი, საკმაოდ. ბევრს ვმუშაობდი. ყოველდღე ვვარჯიშობდი. ჩემს ასაკში ბევრს მოძრაობაც კი უჭირს. საბედნიეროდ, მე ჯერ კიდევ კარგ ფორმაში ვარ.

**- თქვენ, ცოტა არ იყოს, უცნაური პოლიტიკური შეხედულებები გაქვთ. ერთხელ ისიც კი თქვით, მუსოლინი მეოცე საუკუნის უდიდესი ფიგურა იყოო. ამის გამოც ხომ არ მოხდა თქვენი იმიგრირება ინგლისში?**

- არც უმაგისობაა. იტალიაში ისეთი ფეხბურთელები მოსწონთ, რომლებიც ვერ აზროვნებენ და ფეხბურთის გარდა არც ერთ საკითხზე არ შეუძლიათ აზრის გამოთქმა. მე ყოველთვის იმას ვამბობდი, რასაც ვფიქრობდი და ეს ბევრს არ მოსწონდა.

**- მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ? მწვრთნელობას ხომ არ აპირებთ?**

- არა. ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები შევალიე ფეხბურთის თამაშს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მომავალი მეინც სტადიონს მიღმა წარმომიდგენია. მწვრთნელი ნამდვილად არ გავხდები.

ეზრა პაუნდი ამბობდა: თუ ადამიანს თავისი შეხედულებების დაცვა არ შეუძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი აზრების ფასი ნულიაო. პაოლო დი კანიო ყოველთვის ახერხებდა საკუთარი პრინციპებისა და შეხედულებების დაცვას. ამის გამო მას არცთუ ისე იოლი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ უკან არასოდეს დაუხევია. ყველაზე დიდი პარადოქსი მის კარიერაში, ალბათ, მაინც ფეარ პლეის პრიზის მიღებაა - ის ხომ მუდამ გააფთრებით ებრძოდა მოწინააღმდეგეს და დათმობა არ იცოდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი კაცი პრემიერ ლიგის ყველაზე კეთილშობილი ფეხბურთელი გახდებოდა?

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ტრავმის გამო ერთი თვით მწყობრიდან გამოვიდა ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდი არიენ რობენი. რობენი "ოსერთან", უეფას თასის შეხვედრაში დაშავდა. თუმცა, ეს ტრავმა მას ხელს არ შეუშლის, პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე ითამაშოს, თუ, რა თქმა უნდა, განაცხადში მოხვდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" მეკარე კარლო კუდიჩინი ერთი თვით გამოაკლდა კლუბს. სწორედ ეს დრო დასჭირდება მას მოტეხილი ხელის რეაბილიტაციისთვის. ამრიგად, ის გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის ორივე მატჩს ლონდონის "არსენალის" წინააღმდეგ. ბარძაყის ტრავმის გამო "ბოლტონთან" დღევანდელ მატჩს გამოტოვებს მეორე მეკარე ნილ სალივანი. მის ადგილს კარში მარკო ამბროზიო დაიკავებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბოხუმის" შემდეგ სანდი ოლისესთან კონტრაქტი დორტმუნდის "ბორუსიამაც" გაწყვიტა. ოლისე "ბოხუმში" იჯარის წესით თამაშობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოლისემ თანაგუნდელ ვაჰიდ ჰაშემიანს ცხვირი გაუტეხა, კლუბმა გადაწყვიტა, ნიგერიელს დამშვიდობებოდა. "ბორუსიასთან" კონტრაქტი 2005 წლამდე იყო გათვალისწინებული, მაგრამ კლუბმა ნიგერიელთან ურთიერთობის გაწყვეტა ამჯობინა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კანადის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს უელსის წინააღმდეგ. მატჩი 30 მაისს არის დაგეგმილი. თამაში რექსჰემში გაიმართება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლესტერის" სამი ფეხბურთელი, რომლებიც სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააპატიმრეს, თავდებით გაათავისუფლეს. ფეხბურთელებს ინგლისში დაბრუნების უფლება აქვთ. საუბარია კეიტ გილესპიზე, ფრენკ სინკლერსა და პოლ დიკოვზე. გირაოს თანხამ 288 000 ამერიკული დოლარი შეადგინა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტურინის "იუვენტუსის" კაპიტნის ალესანდრო დელ პიეროს ტრავმა უფრო უმნიშვნელო აღმოჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ფორვარდი მხოლოდ 4-5 კვირას გამოტოვებს და ევროპის ჩემპიონატზე თამაშს შეძლებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანული "მიუნხენ 1860"-ის პრეზიდენტი კარლ-ჰაინც ვილდმოზერი, რომელიც დიდი ოდენობით ფულის მითვისების ბრალდებით დააპატიმრეს, თავდებით გამოუშვეს. საუბარია იმ თანხაზე, რომელიც მიუნხენში საკლუბო სტადიონის მშენებლობისთვის იყო განკუთვნილი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ პარასკევს გუნდის მთავარ მწვრთნელს, სერ ალექს ფერგიუსონს გულის შეტევა დაემართა. მას უმნიშვნელო ოპერაცია გაუკეთდა და მეორე დღეს ფერგიუსონი გუნდის ვარჯიშზე გამოცხადდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ალვარო რეკობამ განაცხადა, რომ სურს, მომავალი სეზონი ესპანეთში, კერძოდ, "ბარსელონაში" გაატაროს. "იტალიური ფეხბურთი მოსაწყენია. იტალიაში თამაში ძალიან რთულია. მუდმივად დაცვაზე უნდა იზრუნო. ეს კი საგოლე მომენტების რაოდენობას ამცირებს, – განაცხადა რეკობამ, – მიმაჩნია, რომ მადრიდის "რეალი" ევროპის საუკეთესო გუნდია, მაგრამ "ბარსელონაში" თამაშს ვამჯობინებდი. მე ძალიან მომწონს ქალაქი და სტადიონი, სადაც კლუბი თამაშობს".

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ესპანელი ხუან კარლოს ფერერო ინდიანა-უელსის ტურნირზე არ ითამაშებს. ამის მიზეზი გახდა ნიკრისის ქარი, რომელიც ჩოგბურთელს აწუხებს. ფეროროს ტურნირზე ჯეფ სელეზენშტაინი შეცვლის. "მე მხოლოდ გუშინ გავიგე, რომ ნიკრისის ქარი მჭირს, – ამბობს ხუან კარლოს ფერერო, – ყველაფერი შეიძლება დაგემართოს და ამის წინაშე უძლური ხარ. გულდაწყვეტილი ვარ, რადგან ამ ტურნირზე თამაში ძალიან მინდოდა".

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ორლანდო" დაემშვიდობა გენერალურ მენეჯერ ჯონ გაბრიელს. მის ნაცვლად გუნდს ჯონ ვეისბროდი უხელმძღვანელებს. საქმე ის არის, რომ 2000 წელს გაბრიელმა 93 მილიონ დოლარად 7-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა გრანტ ჰილს, რომელმაც მას შემდეგ მხოლოდ 47 მატჩი ითამაშა. დანარჩენი დრო კი ტრავმის გამო გააცდინა.

■ ■ ■

**კრივი.** ჰასიმ რახმანმა 2001 წლის შემდეგ პირველი ბრძოლა მოიგო. მან ელ კოული დაამარცხა. რახმანს სამივე არბიტრმა არგუნა გამარჯვება. შორეულ 2001 წელს კი რახმანმა ცნობილი ბრძოლა მოუგო ლენოქს ლუისს.

■ ■ ■

**ბობსლეი.** გუშინ უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა გერმანელი ბობსლეისტი ივონი ჩერნოტა. ვარჯიშის დროს მისი ბობიკი გზიდან გადავარდა. სპორტსმენი გარდაიცვალა ვერტმფრენში, რომელსაც ის საავადმყოფოში გადაჰყავდა. მისმა პარტნიორმა შტეფან გრანდიმ სერიოზული ტრავმები მიიღო და მძიმე მდგომარეობაშია. გარდაცვლილი 24 წლის იყო. ერთი თვის წინათ ის გერმანული ეკიპაჟის შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ადგილზე გავიდა.

## ფეხბურთი

# ექვსმაგი თანხა ბექჰემის სანაცვლოდ!

### აბრამოვიჩი "რეალს" 210 მილიონ ევროს სთავაზობს




*აბრამოვიჩი ბექჰემის სანაცვლოდ არნახულ თანხას - 210 მილიონ ევროს იძლევა*

აკა ტონია

რომან აბრამოვიჩმა ლონდონის "ჩელსისთვის" ახალი ფეხბურთელების შესაძენად უკვე გაიღო 200 მილიონი. მან შეიძინა ერნან კრესპო, ადრიან მუტუ, ხუან-სებასტიან ვერონი, კლოდ მაკელელე, ჯერემი ნჯიტაპი და დემიენ დაფი. თუმცა, შეძენილი ფეხბურთელების სია ბევრად უფრო მოკლეა, ვიდრე იმ მოთამაშეთა ნუსხა, რომელთა შეძენა მომავალში სურს აბრამოვიჩს. რუსი მილიარდერისთვის სასურველ ვარსკვლავებს შორის მადრიდის "რეალის" ფეხბურთელის გვარებიც ფიგურირებდა - რონალდო, რობერტო კარლოსი, ბექჰემი, ზიდანი, ფიგუ, რაული...

თუმცა, რეალურ შეთანხმებამდე საქმე არ მისულა. ეს ფეხბურთელები "რეალს" ვერ თმობდნენ და არც მადრიდულ კლუბს ხიბლავდა აბრამოვიჩის მიერ შეთავაზებული მილიონები. ასეთ შემთხვევაში "რეალი" ამა თუ იმ ფეხბურთელის კონტრაქტში დაფიქსირებულ ასტრონომიულ სატრანსფერო თანხაზე მიუთითებს. კონტრაქტით გათვალისწინებული სატრანსფერო თანხა კი, როგორც წესი, რამდენჯერმე აღემატება მოთამაშის რეალურ საფასურს.

დევიდ ბექჰემის სატრანსფერო თანხა, კონტრაქტის თანახმად, 210 მილიონი ევროთი არის განსაზღვრული. თუ ადრე ბექჰემის მყიდველებს "რეალი" ამ თანხის დასახელებით აფრთხობდა, ახლა რომან აბრამოვიჩი მზადაა, 210 მილიონი გადაიხადოს. 210 მილიონი რომ ახალი სატრანსფერო რეკორდი იქნება, თავისთავად ცხადია, მაგრამ განსხვავებასაც ხომ აქვს მნიშვნელობა?! ფეხბურთელის სანაცვლოდ ოდესმე გადახდილი ყველაზე დიდი თანხა აქამდე მადრიდის "რეალს" ეკუთვნის. სამეფო კლუბმა სატრანსფერო რეკორდი დაამყარა, როდესაც ზინედინ ზიდანის სანაცვლოდ 57 მილიონი ევრო გადაუხადა "იუვენტუსს". აბრამოვიჩი კი თითქმის ოთხ ამდენს სთავაზობს ბექჰემის სანაცვლოდ. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ "რეალმა" ბექჰემი 35 მილიონ ევროდ შეიძინა "მანჩესტერისგან".

ეს ყველაფერი მეტისმეტად არარეალურად ჩანს, თუმცა, აბრამოვიჩისგან უკვე შევეჩვიეთ სიურპრიზებს. ინგლისური საინფორმაციო წყაროები ამტკიცებენ, რომ ბექჰემი მადრიდში თავს ცუდად გრძნობს და აბრამოვიჩმა "დრო იხელთა". ამბობენ, რომ ბექჰემმა თავისი მადრიდული ვილის ქირის კონტრაქტი აღარ გააგრძელა და თავისი შვილი, ბრუკლინი, ჯერაც არ გადაუყვანია მადრიდულ სკოლაში. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ბექჰემის მეუღლე, ვიქტორია, ბევრად უფრო მეტ დროს ატარებს ლონდონში, ვიდრე მადრიდში. თავად ფეხბურთელი ამ ფაქტებს უარყოფს და აცხადებს, რომ ბინის კონტრაქტი მხოლოდ დროის უქონლობის გამო არ გაუხანგრძლივებია.

მაგრამ ჟურნალისტებს კარგად ახსოვთ ბექჰემის ამასწინანდელი გამონათქვამი, როდესაც მან განაცხადა, რომ ძალიან ენატრება ინგლისი და მშობლიური "ოლდ ტრაფორდი". საყურადღებოა მადრიდელთა მწვრთნელის, კარლოს კეიროშის სიტყვებიც: "დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოხდება..."

თუ აბრამოვიჩმა ნამდვილად 210 მილიონის გადახდა გადაწყვიტა, ბექჰემის ტრანსფერი, მართლაც, რეალურია. 210 მილიონ ევროზე თვით მადრიდის "რეალიც" ვერ იტყვის ადვილად უარს - ამ ფასად ხომ ზუსტად 6 ბექჰემი მოვა...

## ბოულინგი

# შეინარჩუნეთ სპორტული ფორმა და გაერთეთ:

### ბოულინგი საუკეთესო განწყობის საწინდარია



*ბოულინგი გართობის საუკეთესო საშუალებაა*

ბოულინგი სპორტიც არის და დროის საუკეთესოდ გატარების საშუალებაც. მას ჩვენში საკმაოდ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. არაერთი მათგანი პროფესიულ დონეზე დაეუფლა თამაშს. მოყვარულები, რომლებიც ბოულინგს მხოლოდ გასართობად თამაშობენ, დაგვეთანხმებიან, რომ ამ ერთი შეხედვით მარტივი თავშესაქცევით სპორტული ფორმის შენარჩუნებაც შეიძლება. განტვირთვა და გახალისება ნებისმიერ ადამიანს სჭირდება – თავგამოდებული სპორტსმენი იქნება ის თუ მხოლოდ მოყვარული. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დაღლილობის მოსახსნელად და სტრესისგან გასათავისუფლებლად ბოულინგი, მართლაც, არაჩვეულებრივი საშუალებაა. მხოლოდ გასათვალისწინებელია ზოგიერთი ნიუანსი, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოთამაშის სხეულის ჰარმონიულ განვითარებას. შემოგთავაზებთ პროფესიონალ ინსტრუქტორთა რამდენიმე რჩევას:

იმისთვის, რომ თამაში, მართლაც, სიამოვნების მომგვრელი იყოს და არ შეგიქმნათ რაიმე დისკომფორტი, სასურველია ისწავლოთ ბურთის სწორად დაჭერის ტექნიკა. შეგახსენებთ: ბილიკზე ბურთის გაგორებამდე დატვირთვა მოდის ხერხემალზე, კუნთებზე, სახსრებზე. ამიტომ რეკომენდებულია, რომ ძირითადი მოძრაობების შესრულებისას კუნთები მუდმივად ტონუსში გქონდეთ. შეეცადეთ, თანაბრად გადაანაწილოთ ბურთის სიმძიმე ზურგის, ხელისა და ფეხის კუნთებზე, რათა თამაშის შემდეგ არ გაგიჩნდეთ დაჭიმულობის ან ტკივილის შეგრძნება. მართალია, ბურთის გაგორებისას დატვირთვა, ძირითადად, ერთ ხელზე მოდის, მაგრამ სხეულის ასიმეტრიისა და პრესის არათანაბარი განვითარების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა სხეულის ორივე მხარე დაიტვირთოს. შესაბამისად, ბურთის სასროლად საწყისი პოზიცია მოითხოვს მეორე ხელის შეშველებას. ამასთან, საჭიროა, გარბენისას მოძრაობები კოორდინირებული იყოს, ანუ პირველი ნაბიჯის გადადგმის პარალელურად ბურთი გაგაქვთ წინ. მომდევნო მოძრაობაა ბურთის ქვედა პოზიციაში გადატანა, შემდეგ ბურთიანი ხელი გადის უკან და სხეულის ინერციით მაქსიმალურ ძალას ატანთ ბურთის ბილიკზე გასრიალებას. სროლის მომენტში საპირისპირო ხელი განზე გადის, რათა მოძრაობა დაბალანსდეს.

ამ რჩევის გათვალისწინებით და რეგულარული ვარჯიშით თქვენ ნამდვილად შეძლებთ, აიმაღლოთ სარეიტინგო მაჩვენებელი, შესაძლებელია კლუბის რეკორდსმენიც გახდეთ, ანდა მოიგოთ რომელიმე პრიზი, რასაც სულ მალე ბოულინგცენტრის ხუთი წლისთავთან დაკავშირებული ტურნირი გპირდებათ. მაგრამ თუ პროფესიონალ ბოულერად ჩამოყალიბება ნაკლებად გიზიდავთ და არც მაინცდამაინც აზარტული ბრძანდებით, თქვენ მაინც მოგებული ხართ, რადგან ბოულინგით სპორტულ ფორმას ინარჩუნებთ და ხალისობთ კიდეც. აი, ის, რაც ესოდენ მთავარია ფიზიკურ-ემოციური განტვირთვისა და თქვენი გაჯანსაღებისთვის.

***გახსოვდეთ: ბოულინგის თამაშის დროს საუკეთესო შედეგის მისაღწევად რჩევისთვის ყოველთვის შეგიძლიათ მიმართოთ ინსტრუქტორს.***

# საქართველოს ჩემპიონი

## თათია მიქაძე

ჩოგბურთი



რუბრიკას უძღვება
*ზვიად გიორგაძე*

| | |
|---|---|
| *დაბადების თარიღი:* | *1988 წლის 27 მარტი* |
| *სიმაღლე:* | *171 სმ.* |
| *წონა:* | *55 კგ.* |
| *ოჯახური მდგომარეობა:* | მამა, დედა, ბებია და და |
| *ტიტულები:* | საქართველოს ჩემპიონი 14 წლამდე 2000წ. 16 წლამდე 2001წ. 16 წლამდე 2002წ. ქალთა შორის 2001წ. 2002წ. 2003წ. 2001წ. იტალია. ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი წყვილთა თანრიგში. 2002წ. აღმოსავლეთ ევროპა, პირველი ადგილი 14 წლამდე წყვილთა თანრიგში. 2002წ. ადანა, ქალებში პირველი ადგილი. 14 წლამდე წყვილებში. პირველი ადგილი. |
| **პირველი მწვრთნელი:** | გურამ თოხაძე |
| **პირველი გამარჯვება:** | 1996წ. ჟიული შარტავას მემორიალზე. |
| **ყველაზე დიდი მიღწევა:** | ევროპის ჩემპიონატზე ფინალში გასვლა წყვილთა თანრიგში. |
| **ბავშვობის ოცნება:** | დიდი ჩოგბურთელობა. |
| **ყველაზე დიდი იმედგაცრუება:** | 16 წლამდე აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე, როცა მეოთხედ ფინალში დავმარცხდი. |
| **უხერხული მოწინააღმდეგე:** | ულარუ რაისა. ყველაზე დაძაბული მატჩი მასთან ჩავატარე, მაგრამ გამარჯვება მოვიპოვე. |
| **საყვარელი ილეთი:** | ე.წ. "სვეჩკის" დარტყმა. |
| **თქვენი აზრი ქართული სპორტის შესახებ:** | ქართული სპორტი სავალალო მდგომარეობაშია. საჭიროებს დიდ დახმარებას, სხვა შემთხვევაში საქართველოში სპორტი მოკვდება. მიკვირს ან როგორ ვაღწევთ იმ შედეგებს რაც გვაქვს. არანაირი ხელისშეწყობა არაა. ჩვენზე არავინ ზრუნავს. სახელმწიფო დახმარების, თანადგომის, სპონსორის ინსტიტუტის არსებობის გარეშე მისი განვითარება შეუძლებელია. |
| **რა გაღიზიანებთ, რა გახარებთ:** | ყველაზე უფრო მაღიზიანებს წაგება, მახარებს მოგება. |
| **კურიოზი:** | --------- |
| **ჰობი:** | კითხვა. |
| **საყვარელი მსახიობი:** | კიანუ რივზი |
| **საყვარელი ფილმი:** | "ტკბილი ნოემბერი" |
| **საყვარელი მწერალი:** | სერვანტესი |
| **საყვარელი წიგნი:** | "დონ კიხოტი" |
| **საყვარელი მუსიკოსი:** | სტინგი |
| **რომელ სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას:** | ქართულს, თურქულს, იტალიურს |
| **საყვარელი კერძი:** | ხაჭაპური, პიცა |
| **საყვარელი სასმელი:** | ხილის წვენი |
| **ვისთან ერთად იქეიფებდით:** | მეგობრებთან ერთად. |
| **სად იცხოვრებდით საქართველოს გარდა:** | საფრანგეთში |
| **რომელ კურორტზე დაისვენებდით:** | ბორჯომში. |
| **რას მოისმენდით საკუთარ თავზე:** | სასიამოვნო ინფორმაციას. |
| **მიზანი:** | წარმატებებისკენ სწრაფვა. |
| **დევიზი:** | "თუ გინდა ბედნიერი იყო, მთელი არსებით უნდა მიეცე საყვარელ საქმეს" - ბერნარდ შოუ. |

## TV-სპორტი

### შაბათი. 13 მარტი

**НТВ+ ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი
15:10 "ევროფანკლუბი"
15:40 "გაიტანე"!
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 "ყველაზე სასაცილიო ლიგა"
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. "ბოლტონი" – "ჩელსი". პირდაპირი ტრანსლაცია
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:25 თავისუფალი დარტყმა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 გერმანიის ჩემპიონატი
22:25 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "სარაგოსა". პირდაპირი ტრანსლაცია
00:25 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
00:55 "დარტყმა გოლისთვის"
01:10 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" – "ბოავიშტა". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:50) – თავისუფალი დარტყმა
03:10 03:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. "ORLANDO MAGIC" - "SEATTLE SUPERSONICS". პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV – NBA შიგნიდან

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

10:00 "ჰარმონიის ფორმულა"
11:00, 14:05, 16:50, 20:00, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ყინულის ხანა". პროგრამა ჰოკეიზე
12:20 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
12:50 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
13:35 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
14:20 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "SAN ANTONIO SPURS" – "GOLDEN STATE WARRIORS"
17:05 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Ice Dreams"
18:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
18:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი იტალიაში. ქალები. სლალომი
20:15 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი იტალიაში. ვაჟები. გიგანტური სლალომი
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ფინალი იტალიაში. ქალები. 15კმ.
00:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "SAN JOSE SHARKS" - "LOS ANGELES KINGS". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:15) – ახალი ამბები
02:30 02:30-დან 06:30-მდე შესვენება
06:30 პროფესიული კრივი

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
12:00 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი იტალიაში
14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი იტალიაში
14:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი იტალიაში
16:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
18:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
19:00 ველორბოლა. ტური პარიზი-ნიცა
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
21:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
22:00 ფეხბურთი. უეფას თასი
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
05:00 ახალი ამბები



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად









რა ბედნიერებაა, როდესაც ისე იცხოვრე, იმოღვაწე, ისე მეგობრობდი, ისე გიყვარდა, რომ ყველას მხოლოდ სიამაყის გრძნობა დაუტოვე, რომ გიცნობდნენ, მათი სცენიური პარტნიორი, მეგობარი, მშობელი, თანამოქალაქე იყავი.

თბილისის ცენტრში, პატარა, ვიწრო ქუჩაზე, "იტალიური" ანუ თბილისური ეზოს ერთ-ერთი ძველი სახლის კედელზე დიდი ქართველი მსახიობის გოგი გეგეჭკორის მემორიალური დაფა გაიხსნა.

პირველად, ღრმა ბავშვობაში გოგი გეგეჭკორი "ჭინჭრაქას" წარმოდგენის შემდეგ მამაჩემმა გამაცნო. მას შემდეგ არაერთხელ შევხვედრივარ, სცენაზე მინახავს, სახლში ვყოფილვარ და ყოველთვის განსაკუთრებული სისუფთავისა და ზნეობის შეგრძნება მქონდა. ამ კვირაშიც მისი მემორიალის გახსნაზე დასწრების პატივი მერგო, სადაც კახი კავსაძემ ზუსტად ის თქვა, რასაც მთელი ცხოვრება ვგრძნობდი:

"გოგი გეგეჭკორი რუსთაველის თეატრს ჰგავდა. ის მისი სახე, სიამაყე, სინდისი იყო".




# "ქარის მოტანილს, ქარივე წაიღებს"

არსებობს ქართული ანდაზა - "ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო", მაგრამ თუ ადამიანმა, რომლის ბედი ამინდზეა დამოკიდებული, ზუსტად იცის, დღეს საიდან უბერავს, ქარმა, შეიძლება, პირიქით, მოუტანოს და არაფერიც არ წაიღოს. ქვეყანაში არსებულ, განსაკუთრებულ პოლიტიკურ ამინდს ზუსტად უნდა გრძნობდე, მედროვის გაწაფული ყნოსვა და კარიერისტის ინტუიცია უნდა გქონდეს განვითარებული. უნდა იცოდე, ვის როდის შეაქციო ზურგი, ვისკენ მოატრიალო სახე და მაშინ, ქარი არათუ გავნებს, არამედ, ყველა დროში შენთვის მომგებიანად დაუბერავს. საბედნიეროდ, ეს ბევრს არ გამოსდის. ამისათვის განსაკუთრებული, თანდაყოლილი ნიჭია საჭირო, რომელიც ბოლო პერიოდში აშკარად გამოვლინდა. სამწუხაროა, როდესაც საკუთარი ერის თუნდაც ერთეულებში იმ მახინჯ თვისებას აწყდები, რომელიც გერჩივნა, არასოდეს დაგენახა.

ნოემბერში თბილისში ძლიერი ქარი ქროდა და პროგნოზის ოპერატიულად გამკეთებლებმაც იჩინეს თავი. ყველას დაუფასდა დროული ზურგის შექცევა, გადადგომა, ღალატი, "პროტესტი" და დღეს, როდესაც ქარი ჩადგა, ისევ იმ ადგილებზე, მაღალ თანამდებობებზე აღმოჩნდნენ, საიდანაც ბოლო წლების განმავლობაში უღრუბლო, უქარო, მზიანი ამინდის ილუზიას გვიქმნიდნენ პროფესიულ-კომკავშირული დემაგოგიის ხარჯზე. ამინდის, ქარის დროულ ამოცნობაზე არანაკლებად საჭიროა ყველა შესასვლელ-გამოსასვლელის, ხვრელის ცოდნაც. ცენტრალური შესასვლელი თუ აგიჭედეს, უკანა კარიდან შეხვალ. იმასაც გადაკეტავენ, ფანჯრიდან გადაძვრები, მაგრამ შენთვის ასეთ სანატრელ სავარძელს მაინც მიაღწევ. თანამშრომლების გეშინია? - გაძლიერებულ დაცვას დაიყენებ. კოლეგებს ეზიზღები? - მერე რა, შენც გეზიზღებიან. თუ გეშინია წარსულიდან რამე არ წამოგაძახონ - ლაქიასავით უფრო მეტად მოიხრები, გაიღიმებ და მონურად ემსახურები ქარის ახალ წამობერვამდე და მერე გამოჩნდება, ვისი აჯობებს. შენი ყოფილი თანამოაზრეების გაღიზიანება არ გინდა, მაინც ძალიან ბევრი კომპრომატი აქვთ შენს შესახებ? - ერთი-ორს თან წაიყვან, მისთვის სასურველ თანამდებობაზე დანიშნავ, ამბიციებს დაუკმაყოფილებ, გააჩუმებ და ამინდის ცვლილებას ერთად დაელოდებით. ბოლო წლებში შენდამი მინდობილ უწყებაში ყველაფერი გააპარტახე, გაყიდე, დააქციე - მერე რა, იცი, ვის გადააბრალო. შენს მოღვაწეობას დივერსია, საბოტაჟი უფრო ჰქვია, ვიდრე მუშაობა - დაგიმტკიცონ! პრეზიდენტის კაცი იყავი - ახლაც იქნები. სულ ვიღაცის იქნები, ამაზე ადვილი რა არის? აბა, უპატრონოდ ხომ არ დარჩები? კომკავშირის ინსტრუქტორობისას ეკლესიაში არავინ შეუშვაო, კარებთან დადექიო და გვარები ჩაიწერეო - იდექი, იწერდი და სადაც საჭიროა, იქ ასმენდი. კომკავშირული ქორწილი გადაიხადეო - გადაიხადე. ილოცეო, გითხრეს - ლოცვა დაიწყე, თავიდან გაგიჭირდა არსის გაგება, მაგრამ ნელ-ნელა მიეჩვიე. ახლა ეკლესიასთან ყოველ ჩავლაზე, გამომუშავებული ჩვევით პირჯვარს იწერ. ვისაც საჭიროა, მამას ეძახდი, ვისაც საჭიროა - დედას. არ დაგიკარგეს. განსაცდელი დაუდგათ, მერე რა უნდა გექნა? მაგათთვის კი არა, შენთვის უნდა მიგეხედა. ახლა ქარი სულ სხვა მიმართულებით უბერავს და რა დროს ერთგულებაა. ან რას ნიშნავს ეგ სიტყვა? ვინც ძლიერია დღეს და შეიძლება ხვალაც იყოს, იმისი უნდა იყო, გუშინდელი რა გასახსენებელია? დროზე გადადექი - ინტუიციამ არ გიმტყუნა, მაინც კომკავშირული სკოლა სულ სხვაა, სწორად გათვალე!

გულწრფელობა, უკომპრომისობა, მადლიერება, რწმენა - ან ეგ სიტყვებიც რას ნიშნავს? აი, მესმის - საჭიროა, დროულია, მომგებიანია, მაწყობს! ზედმეტი პრინციპებით თავის დატვირთვა მხოლოდ სულელების ხვედრია, რომლებსაც, რატომღაც, წესიერებს ეძახიან. ქარის მიმართულება კიდევ რომ შეიცვალოს, მაშინ ვნახოთ, ეს "წესიერები" სად იქნებიან ან როგორ. შენ კი სულ იქნები და იქნები - ცოტა შეშინებული, კუდამოძუებული, დაძაბულობისგან ოფლიანი, კმაყოფილებისგან გაპეყილი, კარგად გამდიდრებული და მორგებული. ხელოვნური წითელი ვარდი და მისთვის შესაფერისი, ზედმეტად ძვირიანი ლარნაკი (არა უშავს, ათმაგად ამოიღებ) კაბინეტში დასადგმელად უკვე შეიძინე. ვინც შემოვა, იცოდეს შენი ორიენტაცია, შემთხვევით რამე არ წამოგაძახოს. რა მყუდროდ მოეწყვე, თანაც სად?! ან შენ გონიხართ სულელი, ან თვითონ ვერ გარკვეულან, რა უნდათ.

რა მოხდება, ცოტა ხანი ქარმა რომ აღარ დაუბეროს. ამდენი ტრიალისგან დაიღალე. შენი ცხოვრების განმავლობაში საით არ შებრუნებულხარ! ეგება ახლა მაინც გაცალოს. პატარა კომკავშირელი ბიჭი ხომ აღარ ხარ, ახლა, საშუალო ასაკში, "რევოლუციონერობა" მოგიწია. ძნელია! ახალ დროს როგორმე უნდა გაუგო. ადრე ვინც კარგი, ძლიერი იყო, ვისიც გინდოდა, რომ ყოფილიყავი, ახლა უსუსური, ცუდი გახდა. რამდენს უღიმოდი, საიდან არ უვლიდი - ახლა იჭერენ. ვისაც კაბინეტში არ უშვებდი, ახლა მისაღებში გალოდინებენ - მერე რა, დაელოდები, მოთმინება კი გაქვს. ამას ადვილად აუღებ ალღოს, ეგეთები გადაგიტანია, გადაგიყლაპია? დროზე მოსვლაც იცი და დროზე წასვლაც. მაინც რას ნიშნავს პროფესიონალიზმი - ოღონდ, რაში? რა მნიშვნელობა აქვს, ვისაც რა უნდა, ის დაუძახოს. რა დროს თავმოყვარეობაა, შენ ხომ კარგად ხარ. სახეში გაუღიმებ, გულში დასცინებ. იყავი, ხარ და კიდევ დიდხანს იქნები. შენნაირები არ იკარგებიან. მთავარია, ერთხელაც ქარის მიმართულება არ შეგეშალოს!

"ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო" - აი, თუ წაიღებს, მაგასაც ვნახავთ! მთავარია, არ მოდუნდე, დროზე შემობრუნდე, გადადგე და მაშინ არაფერი გემუქრება - აღგადგენენ. ადამიანები გულმავიწყები არიან, მით უმეტეს - არარაობის მიმართ.

**P.S.** ვის ვგულისხმობ, მიხვდით? ნუთუ მართლა ასეთი გულმავიწყები ხართ, თუ ჩემი წერილის ადრესატია განსაკუთრებული არარაობა? ან, იქნებ, ჩვენ გარშემო ბევრია ასეთი?

# 8 მარტი





8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღე ჩემთვის ვალენტინა ტერეშკოვასთან, ანგელინა ვოვკთან და კლასის დამრიგებელ ზინა ცინცაძესთან ასოცირდება. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვენს ოჯახში ამ დღეს დიდად არავინ აღნიშნავდა - არც ქალები და არც კაცები. ერთადერთი, ბებიაჩემს სარვამარტო კონცერტების ყურება უყვარდა, რომლებშიც ლევ ლეშჩენკო, იოსიფ კობზონი და იშვიათად, მისი საყვარელი მომღერალი მარკ ბერნესი მონაწილეობდნენ. 8 მარტის მოლოცვას მაინცდამაინც არც მე ვარ მიჩვეული და ქალთა დღეს, უმეტესად, საკუთარ თავს პატარა თაიგულის ყიდვით თავადვე ვულოცავ. წლევანდელი 8 მარტი გამონაკლისი აღმოჩნდა და ჩემმა ქმარმა, რომელსაც, ეტყობა, ასაკთან ერთად სენტიმენტალობაც მოემატა, ყვავილები მომართვა და საღამოს, მეგობრებთან ერთად, რესტორანშიც აღმოვჩნდი, სადაც ჩემი ბავშვობის მეგობარი ეკა ჭაჭიაშვილი მღეროდა. თუ 8 მარტთან არანაირი განსაკუთრებული მოგონება არ მაკავშირებს, ეკას სიმღერაზე მთელი ბავშვობა, დაბადების დღეები, კიკეთის ზაფხულები მახსენდება.

8 მარტის თუ ჭაჭიაშვილისეული კულტურული, გემოვნებიანი ქართული სიმღერის გამო, რესტორანი სავსე იყო, მაგრამ უმეტესად ჩემთვის უცნობებით. იმ ერთეულთაგან, ვისაც მე რესტორანში ვიცნობდი, გოგოლა კალანდაძე, ია ფარულავა და ეკა კახიანი იყვნენ, რომლებიც ერთად ისხდნენ და საკმაოდ ესთეტურ სანახაობას ქმნიდნენ. რა სასიამოვნოა ლამაზი ქალის ნახვა, თანაც სამი ერთად და თანაც 8 მარტს! კიდევ იცით, ვინ იყო - ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილე ლალი მოროშკინა, სასიკვდილოდ ვიწრო, მოჭერილ ცისფერი ჯინსებით და საზოგადოებისთვის სახიფათო დეკოლტეთი. ვერ ვიტყოდი, რომ მოროშკინა ან გარეგნობით, ან სიცილით მომწონს, არც ვიცნობ, მაგრამ სახეზე ვიცი, როგორც ყვითელი პრესის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი სტუმარი. მართალია, ვერ გამიგია, თუნდაც "სარკეს" ან "ბომონდისნაირი" ჟურნალების მისადმი ინტერესი რითია გამოწვეული, ნუთუ მხოლოდ მკერდის ზომით?

ეკა ჭაჭიაშვილი თვალებდახუჭული ოპტიმალურად შერჩეულ, ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერებისგან შემდგარ რეპერტუარს ასრულებდა, ხალხი ცეკვავდა, ოფიციანტები დარბოდნენ, სანთლები ენთო, ზედმეტად არავინ დამთვრალა, არავის უჩხუბია, არავინ არავის აკიდებია, არავის უკამათია პოლიტიკაზე, ყველა ერთმანეთს უღიმოდა და ჩუმად საუბრობდა. უცნაურია, მაგრამ რესტორნის მაგიდებთან უმეტესად სხვადასხვა ასაკის, შავებში ჩაცმული ქალები ისხდნენ, ყოველგვარი კავალრების გარეშე. ეტყობა, ქართველებისთვის 8 მარტი დიდი არაფერი დღესასწაულია. ხოდა, არც ჩემთვის. უბრალოდ, სასიამოვნო საღამო გავატარე ყოველგვარი განსაკუთრებულობის გარეშე. სახლში გვიან არ დავბრუნებულვართ და მაგიდაზე ჰოლანდიური ყვავილების უზარმაზარი თაიგული დამხვდა, რომელიც ჩემს ერთ-ერთ ქალიშვილს მიართვეს და რომლის ფონზე ჩემი ქმრის მორთმეული იები ცოტა საწყლად, მაგრამ უფრო გულის ამაჩუყებლად გამოიყურებოდნენ.

ესეც ჩემი 8 მარტი.

# 15 წუთის შთაბეჭდილება

ოთხშაბათს, ღამის თორმეტის ნახევარზე დედაჩემმა ამხანაგისგან სახლში წაყვანა მთხოვა. ვაკეში გავუარე და სახლისკენ, ვაკე-საბურთალოსკენ, თამარაშვილის ქუჩაზე წავედით. იპოდრომის ცენტრალურ შესასვლელს რომ მივუახლოვდით, მთელი ქუჩა უამრავი ხალხით, უმეტესად, კაცებით და მანქანებით იყო სავსე. თავიდან ავარია მეგონა, მერე რეიდი, მაგრამ ინსპექცია რომ ვერ დავინახე, მივხვდი, რომ რაღაც სხვა ხდებოდა. ალბათ, პროკურატურა, უშიშროება და შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთობლივ სპეცოპერაციას ატარებს-მეთქი ვიფიქრე. ბრმა ტყვია არ მომხვდეს-თქო - ცოტა შემეშინდა, მაგრამ ოქრუაშვილის დანახვის სურვილმა მძლია, მანქანა შევანელე და შუშა ჩამოვწიე. რა ავარია, რის სპეცოპერაცია! თურმე, ღამის 12 საათზე თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე ავტორალის ატარებენ ერთმანეთს მანქანებით ეჯიბრებიან! ეგეთი რამე არ გამიგია! ძლივს გამოვასწარი!

5-10 წუთში რუსთაველის მეტროსთან მივედი და ის იყო სახლთან, ზანდუკელის ქუჩაზე უნდა ამეხვია - ვხედავ, რუსთაველი სახანძრო მანქანებით არის გადაკეტილი, ქუჩა მეხანძრეებით, შლანგებით, პოლიციით და წყლით არის სავსე და ამ ყველაფრის შუაში - თეთრი ცხენი დგას! სრულიად გაოგნებული, პირველივე მეხანძრეს ვეკითხები, - "რა, მელიქკაზარიანცის სახლი იწვის"? პასუხი - "არა, ქალბატონო, მამუკა ონაშვილი კლიპს იღებს".

ეტყობა, 11 საათის შემდეგ თბილისი გიჟებს ბარდება და ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს.

"სახლი სავსეა გიჟებით, მობრძანდით, გეპატიჟებით" - კოტე ყუბანეიშვილი.

# თხოვნა

დიდი, მაგრამ არამოკრძალებული თხოვნით მინდა მივმართო ჩემთვის უცნობ პროდიუსერს, კლიპის ავტორს, მენეჯერს, სტილისტ-დიზაინერს - ვინმემ ბუკა მანაგაძეს ბავშვობა დაუბრუნეთ, რომელსაც ვულგარულად გამოწყობილი, დახატული, საშინელ კლიპში გადაღებული, უნიჭობაში იარაღად გამოყენებული, ასაკდაკარგული ბავშვი ასე სასოწარკვეთით, თუნდაც ძალიან ცუდი სიმღერის ფორმით ითხოვს!

"მენატრება ბავშვობა, უდარდელი ბავშვობა" - ნუთუ არ გეცოდებათ? რას ერჩით! დაუბრუნეთ ის, რაც მას ეკუთვნის და რაც ცოტა ხანში ისედაც სანატრელი და მოსაგონარი ექნება.

თქვენს კომერციულ მიზნებს და შემოქმედებით ამბიციებს ბავშვს ნუ სწირავთ, რომელსაც ენატრება უდარდელი, მეგობრებთან გატარებული, მხიარული, ბუნებრივი, ასაკისთვის შესაფერისი ბავშვობა. ალბათ, თქვენ მიერ შექმნილ იმიჯში საბრალო ბუკას არავინ ეთამაშება, თანატოლები იბნევიან, იბოჭებიან მის დანახვაზე, გოგოები ჭორაობენ, ბიჭები დასცინიან, მასწავლებლები უჯავრდებიან, მშობლები ვერ ერევიან და ბავშვი კი განიცდის, თავის თავში იკეტება, იჯერებს, რომ მომღერალია, "შოუ-ბიზნესს" წარმოადგენს და ამასობაში იღუპება. არადა, ისეთი უნდა იყოს, როგორებიც მისი ტოლებია, რომლებსაც გაუმართლათ და თქვენი ინტერესებისა და გავლენის მიღმა აღმოჩნდნენ. ეგება ბუკაც უფრო სიმპათიური იქნებოდა, მის ცხოვრებაში თქვენ რომ არ ჩარეულიყავით.

"მენატრება ბავშვობა, დაკარგული ბავშვობა!" - გაჰკივის გამწარებული ბავშვი. ძნელია ამის გულგრილად მოსმენა, გასკდა გულიც და თავიც! დაანებეთ თავი ბუკას, ძალიან გთხოვთ და, საერთოდ, მოეშვით ბავშვების დასახიჩრებას! ან ბავშვი შეიცოდეთ, ან მსმენელი, ან თქვენი თავი!

# მოსახლეობის მხრიდან ნდობის ხარისხი კვლავ მაღალია



















კვლევითმა ჯგუფმა "BCG research"-მა და ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა არჩევნების წინ მორიგი კვლევა ჩაატარა. კვლევა განხორციელდა ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოს" არჩევნების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში.

5-დან 10 მარტამდე საქართველოს ყველა რეგიონში, აჭარის ჩათვლით, 1300 რესპონდენტი გამოიკითხა. ამ კვლევის თანახმად, მოსახლეობაში ახალი ხელისუფლებისა და მის მიერ გატარებული პოლიტიკისადმი ნდობა საკმაოდ მაღალია. გამოკითხულთა 74,7 პროცენტი არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აუცილებლად აპირებს.

რესპონდენტთა 83,6 პროცენტის აზრით, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიან ბარიერს აუცილებლად დაძლევს "ნაციონალური მოძრაობა". ამავე გამოკითხვის თანახმად, შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი აქვს "ახალი მემარჯვენეები – მრეწველებს", "ლეიბორისტებს", "აღორძინებას", "ედეპე – ტრადიციონალისტებს", "ერთობას", "თავისუფლებას".

როგორც რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (78, 1 პროცენტი) განაცხადა, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, ხმას "ნაციონალურ მოძრაობას" მისცემდა. გამოკითხულთა მხოლოდ 3,9 პროცენტმა საკუთარი ხმა "აღორძინებისთვის" გაიმეტა, ხოლო 2,8 პროცენტის სიმპათია შალვა ნათელაშვილის "ლეიბორისტულმა პარტიამ" დაიმსახურა. დანარჩენი პარტიების რეიტინგი ერთ პროცენტზე დაბალი აღმოჩნდა.

პოლიტიკური კვლევის მეორე ნაწილი უკვე აჭარაში მიმდინარე მოვლენებს მიეძღვნა. მოსახლეობის ნახევარი მოელის, რომ აჭარაში პრობლემები ერთ თვეში ან თვენახევარში გადაწყდება. გამოკითხულთა 87 პროცენტის აზრით, აჭარაში მდგომარეობის მოსაგვარებლად, რეგიონის ხელმძღვანელობაც და იქ მოქმედი ოპოზიციაც ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა დაემორჩილოს.

**24 საათი**

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*13 მარტი*

### რუსთავი - 2

**13.03 08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი P.S. **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "ტელექსელი". რეჟ. სიდნეი ლიუმეტი. **01.20** მხ. ფილმი "ტერმინატორი 3". მთ. რ-ში: არნოლდ შვარცენეგერი.

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** გლობუსი **12.35** პოზიცია **13.20** კვალი **13.50** დოკ. ფილმი "მომგებიანი ფორმულის ძიებაში" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი "საღამოს ტანსაცმელი აუცილებელია" **16.50** რეალური სამყარო **17.00** საწინდარი **17.30** სპორტული კურიოზები **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.30** დოკ. ფილმი "წყვილები და დუეტები" **20.35** ცაიტნოტი **21.45** ფორტუნა **22.25** პროფათეული **23.00** ამბობენ **23.50** მხ. ფილმი "წითელი სიცხე" **01.30** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "ძლიერი ქარი". მთ.რ-ში მაიკლ მაკკიანი, გერი შირერი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ჩრდილთა შემქმნელი" მთ. რ-ში მაიკლ რუკერი, ლესლი ჰოუპი. **01.50** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

13 **09.00** მულტფილმი "მეფე ლომი 1" **10.15** საბ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გულში" **11.30** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** სერიალი "ფანტაზიების კუნძული" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "ნიურნბერგი" **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "ბლექბერნი"-"არსენალი" **21.20** მხ. ფილმი "ხედი ზემოდან" (გვინეტ პელტროუ) **23.10** მხ. ფილმი "რევოლუცია" (ალ პაჩინო)

### მეორე არხი

13 **19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** გაცოცხლებული ქვები **20.00** ჯანმრთელობა **20.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **21.30** გლობუსი **22.00** მხ. ფილმი "საღამოს ტანსაცმელი აუცილებელია"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "დიკ ტრეისი" **13.30** მხ. ფილმი "საქმის გარჩევა პატარა ტოკიოში" **15.00** მხ.ფილმი "მისის დაუთფაიერი" **17.00** მხ. ფილმი "მახე" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "უკეთესად არ არსებობს" **00.20** მხ. ფილმი "ეჭვმიტანილი პირები"

### მეცხრე არხი

**13.03 08.20** მხ. ფილმი "მულანი" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "სამი ფერი-თეთრი" **13.20** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **14.50** მუსიკა **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ლუდის ბატონები" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" მე-5ს. **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** კონცერტი **20.00** "ტელემეტრი" **22.00** მხ. სერიალი "ფერადი ცხოვრება" **23.00** საუბრები სტუდიაში **23.50** სერიალი "ჰენრი ჯეიმსი" მე-5ს. **01.00** მხ. ფილმი "იულიუს კეისარი" 1-ლი ს.

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.05** ანიმაც. ფილმი "ყურცქვიტა პიტერის ახალი თავგადასავალი" 1ნ. **10.30** მხ. ფილმი "ვატელი" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** ეროვ. საკალათ. ასოციაცია **17.05, 01.20** იმედის მელოდიები **17.30** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** ფილმი-ზღაპარი "მეათე სამეფო" 1 ნ. **10.55** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** "პოზიცია" **14.10** მხ. ფილმი "დღესასწაული არ იქნება" **15.50** მუსიკა **16.20** მულტფილმი **17.50** მუსიკა **18.30** კომედია "მამაკაცები უპირატესობას ქერათმიანებს ანიჭებენ" **20.10** "მსოფლიო ისტორიის ფურცლები" **20.40** ფილმი-ფანტასტიკა "სატურნი შშშძ **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20 Слово 00.40** ისტორიული ფილმი "ბენ ჰური" **04.10** დოკუმენტური ფილმი

### ОРТ

**07.00** Новости. **07.10** Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". **07.40** Сергей Столяров в фильме "**САДКО**" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря. **10.10** Здоровье. **11.00, 13.00, 19.00** Новости **11.10** "Смак" **11.30** Юбилейн. концерт Надежды Кадышевой и группы "Золотое кольцо". **13.10** История с географией. "Осторожно - змеи". **14.10** Тайны века. "Женщина "красных": Александра Коллонтай". **15.00** Дисней-клуб: "Братец Медвежонок". Фильм о фильме. **15.20** "Ералаш". **15.40** Умницы и умники. **16.20** Док. фильм "Остров Даманский. 1969 год". **17.10** Анатолий Кузнецов в фильме "**БЕЛОЕ СОЛНЦЕ ПУСТЫНИ**" **18.50** Золотые годы Микки Мауса **19.10** Концерт "Мелодии и ритмы зарубежной эстрады по-русски". **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время. **22.25** "Розыгрыш". **00.00** "Золотой Граммофон". **01.00** Юнг Ву-Санг, Тсанг Зийи в фильме "**ВОИН**" **03.40** Боевик Жана-Жака Бенекса "**ДИВА**" **05.50** Сериал "**ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ**"

### РТР

**06.50** Марина Ладынина в фильме **"В ШЕСТЬ ЧАСОВ ВЕЧЕРА ПОСЛЕ ВОЙНЫ" 08.20** Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ". **08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.45** "Большая перемена" **10.10** Утренняя почта. **10.45** Сам себе режиссер. **11.40** Звезды России в игре "Форт Боярд". **13.15** В поисках приключений. **14.15** Клуб сенаторов. **15.00, 21.00** Вести. **15.20 Евгений Матвеев в фильме "ЛЮБИТЬ ПО-РУССКИ" 17.00 Футбол.** Чемпионат России. "Спартак" (Москва) - "Динамо" (Москва). Прямая трансляция со стадиона "Торпедо". **19.00** Ефим Шифрин, Елена Воробей и Юрий Гальцев в юбилейном концерте Семена Альтова. **21.25** Зеркало. **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг. **23.20** Сергей Безруков в фильме **"ЖИЗНЬ ОДНА" 01.30** Ингеборга Дапкунайте в фильме **"ПОДМОСКОВНЫЕ ВЕЧЕРА" 03.35** Горячая десятка. **04.35** Евдокия Германова в фильме **"НИАГАРА"**

### НТВ

**07.00** Шон Коннери в фильме **"БРИЛЛИАНТЫ ОСТАЮТСЯ НАВСЕГДА". 09.00, 13.00, 17.00** Сегодня. **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок: Владимир Пресняков (старший) - Александр Новиков. **12.00** Квартирный вопрос: розовое - Лизе, зеленое - Полине. **13.20** "Дикий мир: коренной зубр". Экспедиция Тимофея Баженова. **14.10** Вкусные истории. **14.20** Макалей Калкин в комедии **"НАРАВНЕ С ОТЦОМ" 16.25** Рекламная фишка. **17.20** "Женский взгляд". Нелли Кобзон. **17.55 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 7 с. 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Василий Мищенко в боевике **"СОЛНЕЧНЫЙ УДАР". 23.00** Микки Рурк в фильме **"ХАРЛЕЙ ДЭВИДСОН И КОВБОЙ МАЛЬБОРО" 01.10** Мила Кьюис в фильме **"АМЕРИКАНСКИЙ ПСИХОПАТ 2" 02.50** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой. **03.30** Двое в городе.

## კიდმანი და ლოპესი ერთად ითამაშებენ და იმღერებენ



ნიკოლ კიდმანი და ჯენიფერ ლოპესი 30-40-იანი წლების ეპოქის ახალ ფილმში მთავარ როლს შეასრულებენ. ფილმის სახელწოდება American Darlings იქნება. როგორც გაირკვა, "მულენ რუჟის" ვარსკვლავი წლების განმავლობაში იდეას გამოხატავდა და ცდილობდა ფილმში მონაწილეობა მიეღო. ფილმი ორი, ქალთა მუსიკალური ჯგუფის - თეთრკანიანი, შავკანიანი და ესპანური წარმოშობის გოგონების შესახებაა. სიუჟეტში ისინი მოგვიანებით საერთო შემოქმედებითი მიზნებისთვის გაერთიანდებიან.

იმ დროს ქალებს კლუბებში სიმღერა ეკრძალებოდათ, რადგან იქ მეტწილად კაცები დადიოდნენ. თუმცაღა, სქესობრივი დისკრიმინაცია ცხოვრების ყველა ასპექტში და, ამასთანავე, მუსიკაშიც ლიკვიდირებული გახდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა რუზველტმა იაპონიას ომი გამოუცხადა. ქალებმა წამყვანი კლუბების მოედნებზე მთელ ამერიკაში დაიწყეს თამაში. ფილმი იმ დროს არსებული პრობლემების შესახებაა და ამიტომ კინოკრიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ჩანაფიქრი უფრო დრამად და არა მიუზიკლად ჩამოყალიბდება, მაგრამ აქ მუსიკალური თემაც ფართოდ იქნება წარმოჩენილი. კიდმანიც და ლოპესიც American Darlings-ში, ბუნებრივია, იმღერებენ და არა ერთხელ.

## რინგოს შვილი და "ოაზისი" სცენაზე ერთად გამოვლენ



ბრიტანული როკ-ჯგუფი "ოაზისი" ექს-ბითლზის, რინგო სტარის ვაჟიშვილთან ერთად მუშაობს. ზაკ სტარკი მამის კვალს გაჰყვა და დასარტყამ საკრავებზე უკრავს. ზაფხულისთვის ის ჯგუფ The Who-სთან ერთად საგასტროლო ტურნეში გამგზავრებას გეგმავს.

გარდა ამისა, ზაკი "ოაზისის" მუსიკოსებთან – ნოელ და ლიამ გალაჰერებთან გაერთიანებას აპირებს, რათა გრანდიოზულ საქველმოქმედო კონცერტში მიიღონ მონაწილეობა. პროექტში ჩართულები არიან როჯერ დალტრი ჯგუფიდან The Who და კელი ჯონსი (Stereophonics).

"ოაზისის" წევრები, როგორც ცნობილია, "ბითლზის" ფანატები არიან და, ალბათ, ამიტომაც აღფრთოვანდნენ ლეგენდარული ოთხეულის ერთ-ერთი მუსიკოსის ვაჟიშვილთან მუშაობით. ამავდროულად, თვითონ ზაკ სტარკიც მოხარულია "ოაზისთან" თანამშრომლობით. "ისინი დიდი ფანატები არიან "ბითლზის", სტარკი – დიდი ფანატია მათი, ასე რომ ყველა ბედნიერია", აცხადებს Sky News.

ზაკმა ბოლო ორი დღე გალაჰერებთან ერთად ლონდონში, რეპეტიციაში გაატარა. კონცერტი 30 მარტს ალბერტ ჰოლში გაიმართება. მოგებული თანხა კი კიბოთი დაავადებულ ბავშვთა სამკურნალოდ გადაირიცხება.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
"რუსული კლუბი"

წარმოგიდგენთ

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

"ყვითელი ანგელოზი"

*22, 29 მარტი*
*5, 12,19, 26 აპრილი*
"თავისუფალი თეატრი"

*დასაწყისი 19.00 საათზე*
*ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21*



## ერთი კათხა პოეტისთვის

სამეფო კარის მიმართ მუდმივად არაკეთილგანწყობილი პრესისთვისაც კი ძნელი იქნება პრინც ჩარლზს კათხა ლუდის დიდი მოყვარული უწოდოს. მაგრამ ეს კათხა მან თავისი მეგობრის, ინგლისელი პოეტი-ლაურეატის ტედ ჰიუზის ხსოვნისთვის შესვა. ჩარლზმა გახსნა პაბი, სახელწოდებით - "პოეტი-ლაურეატი", რომელიც ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით, სოფელ პაუნდბარიში მდებარეობს. სოფლის გარემოს განვითარებაში პრინცი აქტიურად იყო ჩაბმული, რათა გარემო ტრადიციულ სოფელს დამსგავსებოდა და არა ურბანულ დასახლებას. ჰიუზი, აშკარად არ ჰგავდა ისეთ პიროვნებას, რომელსაც კეთილგანწყობის ინსპირირება შეუძლია: მის პოემებში ინგლისური სოფლური დასახლებების მიმართ, ძირითადად, მობეზრებული და მოსაწყენი დამოკიდებულება იგრძნობა. მაგრამ, იმედია, პაბის დაარსება პოეტებს სტიმულს გაუჩენს ლირიკული ლექსები სადმე სხვაგან წერონ და არა სააბაზანოს კედლებზე.

## ჯორჯ კლუნი - ყველაზე მოდური მსახიობი

გამოქვეყნდა მსოფლიო შოუბიზნესის ყველაზე მოდური ვარსკვლავების სია, რომელიც ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა Vanity Fair-მა შეადგინა.

საუკეთესოთა ათეულში "ოსკარის" მფლობელი კინორეჟისორი სოფია კოპოლა და მოდელი კეიტ მოსი მოხვდნენ. მამაკაცებში კი, გამომცემლობის აზრით, ყველაზე კარგად ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი და ჰოლივუდელი მსახიობი ჯორჯ კლუნი იცმევენ.

ტანსაცმლის შერჩევაში, ასევე, "უბადლონი" აღმოჩდნენ აშშ-ში პოპულარული შოუს წამყვანი ოპრა უინფრი და ბრიტანელი მსახიობი ჯუდ ლოუ.

ამგვარ რეიტინგებს ჟურნალი გასული საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ადგენს.













## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



თუ გამოცდილება რამეს გვასწავლის, იგი გვასწავლის, რომ ყველაზე მეტი სიფხიზლე გვმართებს მაშინ, როდესაც ჩვენი მთავრობის ზრახვები კეთილნი არიან.
თავისუფლებას ნაზიარები ხალხი ბუნებრივ მზადყოფნაშია ბოროტი განზრახვით მართულ ხელისუფალთა მხრიდან მოქალაქეთა თავისუფლებაზე გალაშქრების შემთხვევაში ასეთი შეტევის მოგერიებისათვის.
უდიდესი საფრთხე კი, რომელიც თავისუფლებას ემუქრება, მომდინარეობს იმ მთავრობის შეფარული გადაჭარბებებისა და გადამეტებებისგან, რომელსაც სიკეთის კეთების დიდი სურვილი აქვს, მაგრამ საქმის არსის მცირე რამ თუ გაეგება.
...ეფექტური მმართველი სისტემის შესაქმნელად აუცილებელია შემდეგი პრინციპების აღიარება და გათავისება.
პირველი: იმისათვის, რომ ხელისუფლებამ ეფექტურად და სამართლიანად მართოს, იგი კარგად უნდა ერკვეოდეს ადამიანის ბუნების თავისებურებებში, რაც მხოლოდ მისი (ადამიანის) ქცევის ანალიზით მიიღწევა; და მეორე: ხელისუფლება, რომელიც მართავს ტირანული მეთოდების გამოუყენებლად, ერთადერთი სტაბილური ხელისუფლებაა.
... ჩვენს დამფუძნებელ მამებს ისიც ესმოდათ, რომ ნამდვილ სიმშვიდეს მხოლოდ სასჯელისადმი შიში არ ქმნის; მათ იცოდნენ, რაოდენ მავნეა ადამიანის არსებაში იმედის, აზრისა და რწმენის ჩახშობა და რომ რეპრესია მარტოოდენ სიძულვილის მშობელია, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლების სტაბილურობას ემუქრება. სწამდათ, რომ უსაფრთხოებისკენ მიმავალი გზა სატკივარის თავისუფლად განსჯისა და გამოსავლის ძიებაზე გადის; და რომ საშველი უვარგის მმართველთა უმჯობესით შეცვლაშია...
...ისინი, ვინც ჩვენს დამოუკიდებლობას ბრძოლით მიაღწია, არ იყვნენ მხდალნი. მათ არ ეშინოდათ პოლიტიკური ცვლილებების და არ სწამდათ თავისუფლების ხარჯზე დამყარებული წესრიგისა.

ლუის ბრენდაისი.
აშშ უზენაესი სასამართლო
1916-1939 წელი

## პოლიტიკური მეცნიერება

*ვიცით, რომ ხელისუფლების მშვიდობიან ცვლილებას, რომელიც "ვარდების რევოლუციად" მოინათლა, ხალხის უმრავლესობა დიდი ნდობითა და იმედით შეეგება. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლების ცვლა არის არა მიზანი, არამედ მიზნის მისაღწევად აუცილებელი (მაგრამ არასაკმარისი) საშუალება. ჩვენი რწმენით, საჭიროა, რომ საზოგადოების თავისუფლებისადმი ლტოლვას ახალი ხელისუფლების მხრიდან მოჰყვეს მართლაც რევოლუციური ცვლილებები როგორც მმართველობის ოპერირების სტილში, ისე მმართველ სუბიექტთა მიერ საკუთარი როლისა და სტატუსის გადაფასებისა და ახლებურად გააზრების საქმეში. გაჩნდა დიდი იმედი, რომ ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაწყვეტილი საუკუნოვანი კავშირი, რომელიც იდეაში ურთიერთმომთხოვნელობასა და პროაქტიურ აზროვნებას ეფუძნება, აღდგენის კონდიციაშია. ჩვენ გვაქვს იშვიათი შესაძლებლობა იმისა, რომ ვირწმუნოთ - ჩვენი მთავრობა აღარ არის ჩვენი მტერი. ამის მიუხედავად, ნებისმიერი ხელისუფლებისადმი სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ჯანმრთელი ეჭვის არსებობა თავისუფლების შენარჩუნების უმთავრეს ფაქტორად ითვლება, რომელიც კეთილგონიერებითა და ისტორიის გაკვეთილებითაა ნაკარნახევი. მომხდარმა ცვლილებებმა კიდევ უფრო მეტად გახადა აუცილებელი, რომ საზოგადოების წევრებმა ლოკალურ ქმედებებს გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისათვის კი საჭიროა გავეცნოთ იმ უნივერსალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებს, რომელთა საშუალებითაც დღეისათვის ყველა თავისუფალი ქვეყანა ურთიერთობს. მკითხველს ვთავაზობთ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცებაც, ერთი მხრივ უმიზნო და, მეტწილად მსმენელთა დაბნევაზე გათვლილი მრავალსიტყვიანობისგან დაგვიცავს; მეორე მხრივ კი, არსებულ გაუგებრობათა აღმოფხვრაში დაგვეხმარება.*

**აბსენტური ხმის მიცემა** -ეს პროცედურა მრავალ ქვეყანაში გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ამომრჩეველს არ ძალუძს საარჩევნო უბანზე გამოცხადება ასაკის, საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებებისა თუ სხვა მიზეზების გამო. აბსენტური ხმის მიცემის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა საფოსტო საშუალებით ხმის მიცემა, მაგრამ ნდობით აღჭურვილი პირის გამოყენებაც საკმაოდაა გავრცელებული. იმისათვის, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეძლოს იმ ხალხმა, ვინც ვერ აღწევს საარჩევნო უბნამდე, შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციალური საშუალებები; მაგალითად, გადასატანი ყუთები და სხვა. ხშირად ამგვარი საშუალებების გამოყენება ამომრჩევლებს საშუალებას აძლევს, ხმა მისცენ საყოველთაო არჩევნების დანიშნულ დღემდე.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, რომელიც არ ცნობდა გერმანიის სოციალისტური ნაწილის - ე.წ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენობას, არჩევნების დროს სასაზღვრო ზოლზე დგამდა საარჩევნო ყუთებს და გამოყოფდა სპეციალურ სატელეფონო ხაზებს იმისათვის, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში მყოფ გერმანელებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ჰქონოდათ და ამის წყალობით ქვეყნის გამთლიანებამდე საკუთარი სამშობლოს სრულუფლებიან მოქალაქეებად ეგრძნოთ თავი.

**ირედენტიზმი** - ეს ტერმინი იტალიური სიტყვის irredenta-სგან მომდინარეობს, რომელიც "გამოუხსნელს" ნიშნავს. ე.წ. "გამოუხსნელ" იტალიად ითვლებოდნენ ქვეყნის ნაწილები, როგორიცაა, მაგალითად, ტრენტინო და ისტრია, რომლებიც იტალიის გაერთიანების შემდგომ, ანუ 1870 წლიდან, ავსტრიის კონტროლის ქვეშ დარჩნენ. მსოფლიოში ირედენტიზმის მრავალი სხვა მაგალითიც შეიძლება დასახელდეს. ამდენად, ირედენტიზმი მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ ასპექტად რჩება.

**"ენშენ" (ძველი) რეჟიმი** - ეს ტერმინი სათავეს იღებს საფრანგეთიდან, იხმარება იმგვარი მმართველობის დახასიათებისათვის, როგორიც გავრცელებული იყო საფრანგეთის რევოლუციამდელ ევროპაში, რომელმაც საკუთარი იდეებით მიაღწია "ენშენ რეჟიმის" საბოლოო დასამარებას. ეს რეჟიმი ეფუძნებოდა ალიანსს "სამეფო ტახტსა და საკურთხეველს", ანუ ეკლესიას შორის. ამ ტიპის მმართველობისას ეკლესია ლეგიტიმაციას უკეთებდა მონარქს და მხარს უჭერდა მონარქის მიერ შექმნილი კანონების აღსრულებას საკუთარი (ეკლესიის) მორალური სტანდარტების გაცხადების საშუალებით და საკუთრივ, მითითებით, რომ ხალხი აუცილებლად უნდა დამორჩილებოდა საერო მმართველობას. "ენშენ რეჟიმის" პრაქტიკები და გავლენა კარგად აქვს აღწერილი ალექსის დე ტოკვილს.

**"დამშვიდების" (appeasement) პოლიტიკა** - ეს ტერმინი, რომელიც დიდი ხანია დიპლომატებისათვის ხმარებაშია, გავრცელდა მას შემდეგ, რაც 1930-იან წლებში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემბერლენი (1868-1940) ცდილობდა, საკუთარი ქვეყნისათვის აეცილებინა ომი იტალიელი და გერმანელი ფაშისტი დიქტატორების დამშვიდების საშუალებით. "დამშვიდებამ", როგორც ტერმინმა, შეიძინა ნეგატიური დატვირთვა იმდენად, რამდენადაც მასში იგულისხმება ცუდად გათვლილი და განწირული პოლიტიკის გატარება, რომელიც აგრესიული ოპონენტისადმი პრინციპების ხარჯზე გაკეთებულ დათმობებს გულისხმობს. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ "დამშვიდების" პოლიტიკა ღირსეულ და გონივრულ პოლიტიკად იყო მიჩნეული. იმ დროისათვის არსებობდა დაძაბულობის სერიოზული მუხტი როგორც დიდ, ისე მცირე სახელმწიფოთა შორის, და ამ დაძაბულობის ხარისხის ოდნავი შემცირებაც კი (შეცდომით) მიჩნეული იყო როგორც ბრძნულ, ასევე სასიკეთო საქმედ.

ერთა ლიგამ, რომელიც ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით დაარსდა, საკუთარ წესდებაში შეიტანა მშვიდობის გახანგრძლივების კარგ საშუალებებად მიჩნეული იდეები, როგორებიც იყო განიარაღება, დისპუტების მშვიდობიანი მოგვარება და ჯგუფური (კოლექტიური) უსაფრთხოების კონცეფციები. თუმცა, პრაქტიკაში მათი განხორციელება არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. კოლექტიური უსაფრთხოების პოლიტიკა გულისხმობდა "დამშვიდების" პოლიტიკაზე უარის თქმას და აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ეს, თავისთავად, ნიშნავდა იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში ომი მისაღებ პოლიტიკურ ინსტრუმენტად უნდა ჩათვლილიყო, რაც, თავისთავად, ახლო წარსულში მომხდარი სისხლისღვრების შემდგომ, ევროპული სახელმწიფოებისათვის საკმაოდ რთულად ასაღიარებელ სინამდვილეს წარმოადგენდა.

ამის შედეგად ის ხალხები და სახელმწიფოები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ერთა ლიგას, როგორც ომის საწინააღმდეგოდ არსებულ ყველაზე საიმედო გარანტიას, ერთგვარად განეწყვნენ დაუმშვიდებელი ფაშისტი დიქტატორების "დასამშვიდებლად", რისთვისაც მათ თავდაპირველად გერმანიის ძლიერების იტალიის ძალებით დაბალანსება სცადეს, რამაც ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო, რის შემდეგაც ამ ორივე ქვეყნის მიმართ დათმობების მთელი წყება გაკეთდა. "დამშვიდების" პოლიტიკამ აშკარად ულირსი იერი მიიღო მაშინ, როდესაც წევრმა ქვეყნებმა ომისათვის თავის არიდების მიზნით, გამოხატეს მზადყოფნა, რომ ეს მცირე ერების ინტერესების ხარჯზე მომხდარიყო. ამის მაგალითად ჩეხოსლოვაკიის დანაწილებაზე ევროპულ ძლიერ მოთამაშე ქვეყანათა თანხმობაც გამოდგება. ეს მაგალითი ასევე მიანიშნებს ტრადიციული დიპლომატიის მარცხზე. ფრანგმა და ბრიტანელმა დიპლომატებმა, ვინც ნაცისტებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, დაუშვეს უპატიებელი შეცდომები საკუთარ ძალთა და ნაცისტების ბუნების შეფასებებში; უპატიებელი იმიტომ, რომ ნაცისტების განზრახვათა ამოცნობა ძალზე იოლი იყო მისთვის, ვინც ელემენტარულად გაეცნობოდა ფაშისტების გამოსვლებსა თუ პუბლიკაციებს.

თუმცა, ამ ისტორიულ მაგალითზე დაყრდნობით არ უნდა დავასკვნათ, რომ ოპონენტთა მიმართ გაკეთებული ყველა სახის დათმობა მცდარი და არაკეთილგონივრულია. "დამშვიდების" პოლიტიკა ზოგიერთ გარემოებაში შეიძლება აზრიანი გამოსავალი იყოს. იმისათვის, რომ დადგინდეს, სჯობს თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში "დამშვიდების" პოლიტიკის გამოყენება, აუცილებელია ჯანსაღი შეფასების უნარი.

**ძალთა ბალანსირება** - ეს კონცეფცია სათავეს თუკიდიდეს ეპოქიდან იღებს და იგი შეგნებულ პოლიტიკად მეთვრამეტე საუკუნეში იქცა. ამ კონცეფციის მიმდევრები სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს განიხილავენ ჰობსის მიერ შემოთავაზებულ სამყაროს კონტექსტში, სადაც ნებისმიერ სახელმწიფოს ეშინია ყველა დანარჩენისა და განწყობილია იმისათვის, რომ წინასწარ აღკვეთოს სხვათა აგრესია პრევენციული დარტყმით. ამგვარ რეჟიმში საერთაშორისო ანარქია დაისადგურებდა. ამდენად, ძალთა ბალანსირების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ მშვიდობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება ქვეყანათა შორის ალიანსების შექმნაა, განსაკუთრებით ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ. 1815 წლიდან ევროპის კონტინენტზე ოთხი "ზესახელმწიფო" - საფრანგეთი, პრუსია, რუსეთი და ავსტრო-უნგრეთი, ერთმანეთს ცვალებადი ალიანსებით დაუპირისპირდნენ. ამ დროს ითვლებოდა, რომ დიდი ბრიტანეთი მთელი თავისი სიძლიერით იმ მხარეს მიემხრობოდა, რომლის გაძლიერებაც ბალანსს შეინარჩუნებდა.

1914 წლამდე ცენტრალური ძალები - გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და იტალია დაუპირისპირდნენ რუსეთსა და ანტანტის ბრიტანეთისა და საფრანგეთისგან შემდგარ კავშირს. ძალთა ამ ბალანსირებამ ვერ გამორიცხა პირველი მსოფლიო ომი და 1918 წლის შემდეგ ამ კონცეფციამ, როგორც მშვიდობის შენარჩუნების ინსტრუმენტმა, დაკარგა პოპულარობა. საგარეო პოლიტიკის დემოგრაფიული კონტროლის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ომის მიზეზი იყვნენ საერთაშორისო დიპლომატები და კანცელარიები, რომლებიც იარაღის ინდუსტრიისა და სამხედრო იერარქიების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მეორე მსოფლიო ომის რეალობად ქცევაც შეიძლება მიეწეროს ისეთ სახელმწიფო მოღვაწეთა მარცხს, როგორიც, მაგალითად, ნევილ ჩემბერლენია, ვინც მოძველებული პოლიტიკის ერთგული დარჩა და ვინც ვერაფრით ვერ შეიგნო ახალ მსოფლიო პოლიტიკაზე ისეთი ახალი ფენომენის გავლენა, როგორიც იდეოლოგია იყო.

თუმცა, 1945 წლის შემდგომ დაწყებულმა ცივმა ომმა ძალთა ბალანსირების პოლიტიკის გაცოცხლება გამოიწვია. ორი სუპერსახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, შეიარაღებულნი თავიანთი ალიანსებით - ნატოთი და ვარშავის პაქტით - ერთმანეთს ე.წ. "რკინის ფარდის" გასწვრივ დაუპირისპირდნენ. იმან, რასაც "ტერორის ბალანსს" უწოდებდნენ, წარმატებულად მოახერხა "ცივი მშვიდობის" შენარჩუნება.

## პრეცედენტი

# აშშ ნიქსონის წინააღმდეგ

სტივენ კრისტიანსონი

*მოსარჩელე: ამერიკის შეერთებული შტატები.*
*ბრალდებული: პრეზიდენტი რიჩარდ მ. ნიქსონი.*
*მოსარჩელის მოთხოვნები: პრეზიდენტი უნდა დამორჩილებოდა სასამართლოს ბრძანებას, რომელიც მისგან მოითხოვდა იმ აუდიოჩანაწერებისა და დოკუმენტების სასამართლოსათვის გადაცემას, რომლებიც ეხებოდნენ პრეზიდენტის საუბრებს საკუთარ მომხრეებთან და თანაშემწეებთან უოტერგეიტის ძარცვასთან დაკავშირებით.*
*მთავარი დამცველი: ჯეიმს დ. კლერი.*
*მოსარჩელე მხარის ადვოკატები: ლეონ იავორსკი და ფილიპ ლაკოვარა.*
*უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები: ჰარი ბლეკმანი, უილიამ ბრენანი, უორენ ბერგერი, უილიამ დაგლასი, სორგუდ მარშალი, ლუის პაუელი, პოტერ სტიუარტი და ბაირონ უაიტი. უილიამ რენკვისტმა საქმის მოსმენაში საკუთარ მონაწილეობას აცილება მისცა.*
*პროცესის ადგილმდებარეობა: ვაშინგტონის ფედერალური ოლქი.*
*გადაწყვეტილების თარიღი: 1974 წლის 24 ივლისი.*
*განაჩენი: პრეზიდენტ ნიქსონს სასამართლომ უბრძანა, აუდიოჩანაწერები და დოკუმენტები ბრალმდებელთათვის გადაეცა.*
*საქმის მნიშვნელობა: ამ სასამართლო გადაწყვეტილებამ დაამკვიდრა კანონი, რომ პრეზიდენტს არ იცავს იმუნიტეტი სასამართლო პროცესისაგან და რომ იგი ვალდებულია, სასამართლოს გადასცეს ის მტკიცებულება, რომელსაც ეს უკანასკნელი მისგან (პრეზიდენტისგან) მოითხოვს. აღმასრულებლის პრივილეგიის დოქტრინა პრეზიდენტს კონფიდენციალურობის მაღალ ხარისხს ანიჭებს, თუ მტკიცებულება ეროვნული უსაფრთხოებისა და სხვა მგრძნობიარე ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრეზიდენტს არა აქვს უფლება, მის ხელთ არსებული მტკიცებულებები დამალოს.*



1974 წლისათვის უოტერგეითის ძარცვისა და მისი შემდგომი მიჩქმალვის მცდელობების სამთავრობო გამოძიება დიდ სისწრაფეს იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ნიქსონმა მრავალჯერ უარყო მის მიმართ წაყენებული ბრალდებები, კონგრესისა და ამერიკის საზოგადოებისათვის სულ უფრო ნათელი ხდებოდა ფაქტი, რომ ნიქსონის ადმინისტრაციის წევრები და, სავარაუდოდ, თვით პრეზიდენტი ნიქსონიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ძარცვის მიჩქმალვის მცდელობებში. 1974 წლის 1 მარტს ცხრამეტკაციანმა დიდმა ფედერალურმა ჟიურიმ გენერალურ პროკურორს ჯონ მიტჩელს ბრალი დასდო მართლმსაჯულების ობსტუქციის მიზნით კონსპირაციაში მონაწილეობისთვის. ამ საქმეს ეწოდებოდა "აშშ მიტჩელის წინააღმდეგ". კონსპირაციაში მონაწილეობისათვის აგრეთვე ბრალი დასდეს ნიქსონის ადმინისტრაციის ექვს სხვა წარმომადგენელს, ვინც პრეზიდენტის ხელახალი არჩევის მიზნით შექმნილ კომიტეტში მოღვაწეობდნენ; ესენი იყვნენ ჩარლზ კოლსონი, ჯონ ერლიხმანი, ჰ. ჰალდემანი, რობერტ მარდიანი, კენეთ პარკინსონი და გორდონ სტრაქნანი. პრეზიდენტი ნიქსონიც მოხსენიებული იყო, მაგრამ არა როგორც ბრალდებული კონსპირატორი.

1974 წლის 18 აპრილს სპეციალურ საქმეთა პროკურორმა ლეონ იავორსკიმ, ვისაც ევალებოდა უოტერგეითის გამოძიება მთავრობის მხრიდან, მიმართა ფედერალური საოლქო სასამართლოს მოსამართლე ჯონ სირიკას. იავორსკის მიმართვის საფუძველზე მოსამართლემ გამოსცა ბრძანებულება, რომელიც პრეზიდენტ ნიქსონს ავალდებულებდა, რომ ამ უკანასკნელს წარმოედგინა "კონკრეტული აუდიოჩანაწერები, მემორანდუმები, დოკუმენტები, სამუშაო ჩანაწერები თუ სხვა ქაღალდები", რომლებიც კავშირში იყო კონკრეტულ შეხვედრებთან და საუბრებთან, რომლებიც დასახელებული იყო სასამართლოს ბრძანებაში. ეს მასალები უნდა წარედგინათ 1974 წლის 2 მაისისათვის, რომ ისინი გამოეყენებინათ სასამართლო პროცესში, რომელიც იმავე წლის 9 სექტემბრისათვის იყო დანიშნული. იავორსკიმ შეძლო ზუსტად დაესახელებინა ამ შეხვედრების თარიღები, ადგილმდებარეობები და მონაწილენი, რადგან მას ხელთ ჰქონდა თეთრი სახლის შეხვედრების ყოველდღიური ჟურნალები.

ნიქსონი ეწინააღმდეგება ბრძანებას. 1974 წლის 30 აპრილს პრეზიდენტმა სასამართლოს გადასცა 43 საუბრის ჩანაწერი, რომლებიც

გაგრძელება C3 გვერდზე

პრეცედენტი

# აშშ ნიქსონის წინააღმდეგ

C2 გვერდიდან

ბრძანებაში ჩამოთვლილი საუბრების 20 ნაწილს შეიცავდა. თუმცა, ამავე წლის 1 მაისს ნიქსონის ადვოკატმა ჯეიმს კლერმა მიმართა მოსამართლე სირიკას ამ უკანასკნელის მიერ გამოშვებული ბრძანების გაუქმების მოთხოვნით. ნიქსონი იმედოვნებდა, რომ ის ჩანაწერები და ნაწილობრივი ინფორმაცია, რომელიც მისი მითითებით უკვე გადაეცა სასამართლოს და საჯაროდაც გამოქვეყნდა, დააკმაყოფილებდა საზოგადოებისა და სასამართლოს მოთხოვნას ინფორმაციის მიღების თაობაზე ყველა აუდიოჩანაწერის სასამართლოსათვის გადაცემის გარეშე. ნიქსონი შეცდა: მოსამართლე სირიკამ უარი განაცხადა საკუთარი ბრძანების გაუქმებაზე. მან ხელახლა მოსთხოვა "პრეზიდენტს და მის ნებისმიერ დაქვემდებარებულ ოფიციალურ პირს, ოფიცერს თუ დაქირავებულ ადამიანს, ვისაც ხელთ ჰქონდა ჩამოთვლილ დოკუმენტთაგან ნებისმიერი", რომ მათ ისინი სასამართლოსათვის გადაეცათ არა უგვიანეს 1974 წლის 31 მაისისა.

1974 წლის 24 მაისს, მოსამართლე სირიკას მიერ დანიშნული ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე, პრეზიდენტის ადვოკატმა კლერმა სარჩელით მიმართა კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლოს. მიუხედავად ამისა, ორივე მხარე კარგად აცნობიერებდა, რომ გადამწყვეტ სიტყვას იმ საკითხის გადაწყვეტაში, ჰქონდათ თუ არა სასამართლოებს პრეზიდენტისათვის ბრძანების წაყენებისა თუ მის სხვა სამართლებრივ პროცესებში ჩართვის უფლება, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო იტყოდა. ამასთან, ორივე მხარეს კარგად ესმოდა საქმის პოლიტიკური მნიშვნელობა, ორივე მხარე ცდილობდა, თავი აერიდებინა დროში გაწელილი სასამართლო პროცესისათვის, რომლის რეზულტატის წინასწარმეტყველება შეუძლებელი იყო. ამდენად, 1974 წლის 24 მაისს ბრალმდებელმა იავორსკიმ გადადგა საკმაოდ უჩვეულო ნაბიჯი და მიმართა უზენაეს სასამართლოს საქმის მოსმენის მოთხოვნით დაბალი ინსტანციის სასამართლოს მიერ "განაჩენის გამოტანამდე". სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე საქმის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილვა შესაძლებელს გახდიდა სწრაფი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

1974 წლის 15 ივნისს უზენაესმა სასამართლომ საქმის მოსმენაზე თანხმობა განაცხადა. პროცესზე პრეზიდენტის ინტერესებს ადვოკატი კლერი იცავდა; მთავრობას კი წარმოადგენდნენ პროკურორები იავორსკი და ფილიპ ლაკოვარა.

არსებობს გავრცელებული შეხედულება, რომ სასამართლო ხელისუფლება, და განსაკუთრებით უზენაესი სასამართლო, აპოლიტიკურია. ეს არის მითი, რომელიც რეალობას არ შეესაბამება. 8 ივლისს, როდესაც იავორსკი და ლაკოვარა უზენაესი სასამართლოს შენობას ეწვივნენ, მათ იქ ასობით აჟიტირებული მომლოდინე შეეგება. უზენაესის მოსამართლენიც საქმით ძლიერ დაინტერესებულნი ჩანდნენ და პროცესის განმავლობაში გამოკითხვის შემტევი ხასიათით არ ინდობდნენ არც ერთ მონაწილე მხარეს. მოსამართლე ლუის პაუელი სვამდა კითხვას ნიქსონის დაცვის მიმართულებით, თუ რას ნიშნავდა პრეზიდენტის მტკიცება, რომ აუდიოჩანაწერები საიდუმლო უნდა დარჩენილიყო საზოგადოებრივი ინტერესებისა გამო:

"ბატონო კლერ, რა სახის საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება კრიმინალური კონსპირაციის საიდუმლოდ შენახვა?"

კლერის შედარებით გაუბედავი პასუხი ასეთი იყო:

"პასუხი, ჩემო ბატონო, ისაა, რომ კრიმინალური კონსპირაცია მხოლოდ მას შემდეგ მოიხსენიება კრიმინალურად, რაც მისი კრიმინალური ხასიათი დამტკიცდება".

მთავრობის მხარეც ასევე გულდასმით დაიკითხა. განსაკუთრებით იმ საკითხთან მიმართებაში, ხომ არ აფუძნებდა დიდი ჟიურის მიერ პრეზიდენტის კონსპირატორად მოხსენიება სახიფათო პრეცედენტს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრალმდებელს არ ჰქონდა მოთხოვნილი დიდი ჟიურისაგან პრეზიდენტისათვის ბრალდების წაყენება. მოსამართლე პაუელის კითხვაზე პროკურორი ლაკოვარა ამტკიცებდა:

"დიდი ჟიური, ჩვეულებრივ, არ არის ხოლმე მტრულად განწყობილი და ვინმეს დასჯის სურვილით შეპყრობილი ჯგუფი. ჩვენ პროკურორებზეც კი ვერ ვიტყვით, რომ ისინი აუცილებლად არაკეთილმოსურნენი არიან... მე გამცნობთ, ბატონო იმას, რომ, ისევე, როგორც ამ საქმეში დიდ ჟიურის იოლად არ დაუდანაშაულებია პრეზიდენტი კანონის დარღვევაში, ასევე უსაფუძვლო შიში, რომ რომელიმე დიდი ჟიური ოდესმე შეიძლება მტრულად განეწყოს პრეზიდენტის მიმართ და მას ბრალი დასდოს დანაშაულში, სულაც არ გვაძლევს იმის განცხადების საბაბს, რომ დიდ ჟიურის ზოგადად არა აქვს პრეზიდენტისათვის ბრალდების წაყენების უფლება".

1974 წლის 24 ივლისს უზენაესმა სასამართლომ საზოგადოებას საკუთარი განაჩენი ამცნო, რომლის მიღების პროცესშიც მოსამართლეები ყველანაირად ცდილობდნენ, დაწერილიყო იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც ყოველი მათგანისათვის მისაღები იქნებოდა. მიუხედავად ფაქტისა, რომ უზენაესი სასამართლოს ნებისმიერ მოსამართლეს აქვს უფლება, არ დაეთანხმოს უმრავლესობის გადაწყვეტილებას, თუ ეს მას საჭიროდ მიაჩნია, მოსამართლეებს ამ საქმეში ერთსულოვანი განაჩენის დაფიქსირება სურდათ, რადგან ფსონი, რომელიც აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტას ეხებოდა, ძლიერ მაღალი იყო. არაერთსულოვანი და არაერთხმად მიღებული განაჩენი, მათი აზრით, დაასუსტებდა ამ გადაწყვეტილებას. იმის მიუხედავად, რომ უორენ ბერგერი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო და ფორმალურად მას ევალებოდა გადაწყვეტილების დაწერა, ამჯერად ყველა დანარჩენმა მოსამართლემ მიიღო მონაწილეობა განაჩენის სხვადასხვა ულუფის შეთხზვაში.

### ნიქსონი აუდიოჩანაწერების გამოქვეყნებას ბრძანებს

რამდენიმე საწყისი პროცედურული საკითხის გარკვევის შემდეგ სასამართლომ მთავარი საკითხის გარჩევა დაიწყო: იყო თუ არა პრეზიდენტი სასამართლო პროცესებისაგან იმუნიტეტით დაცული, რომელსაც მას ე.წ. "აღმასრულებლის პრივილეგიის" დოქტრინა სთავაზობდა. პირველ რიგში სასამართლომ გაიმეორა პრინციპი, რომელიც დაფუძნდა უმნიშვნელოვანესი სასამართლო გადაწყვეტილების მიერ, რომელიც ცნობილი იყო სახელით "მარბერი მედისონის წინააღმდეგ". ეს პრინციპი ამტკიცებდა, რომ "ესაა სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული და სავალდებულო ფუნქცია, რომ მან დაადგინოს, თუ რა არის კანონი".

"იმ დათმობების მიუხედავად, რომელიც ხელისუფლების განშტოებებმა ერთმანეთთან მიმართებაში უნდა აკეთონ, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლება, რომელიც ფედერალურ სასამართლოებს კონსტიტუციის მესამე ნაწილით აქვს მინიჭებული, ისევე არ შეიძლება, რომ სასამართლომ აღმასრულებელ ხელისუფლებას გაუზიაროს, როგორც, მაგალითად, აღმასრულებელ ხელისუფლებას არ ძალუძს საკუთარი ვეტოს უფლება სასამართლოს გადასცეს, ანდა როგორც კონგრესს არა აქვს უფლება, რომ საპრეზიდენტო ვეტოს კონგრესის უმრავლესობით გაუქმების უფლება ხელისუფლების რომელიმე სხვა შტოს გადაულოცოს. ყველა სხვა დასკვნა წინააღმდეგობაში მოვა ძალაუფლების დანაწილების საბაზისო პრინციპთან და "შემოწმებებისა და ბალანსირების" მექანიზმთან, რომელიც სამნაწილიანი მთავრობის მოდელიდან მომდინარეობს. ამგვარად, ჩვენ ვიმეორებთ, რომ ესაა ამ სასამართლოს განსაკუთრებული და სავალდებულო ფუნქცია, განაცხადოს, თუ როგორია კანონი იმ პრივილეგიასთან მიმართებაში, რაზეც საუბარია ჩვენს წინაშე არსებულ საქმეში".

შემდგომ სასამართლო შეუდგა ნიქსონის ორი არგუმენტის განხილვას, რომელთა საშუალებითაც იგი "აღმასრულებლის პრივილეგიის" დაცვას ცდილობდა. პირველ არგუმენტში პრეზიდენტის ადვოკატი ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროებოდა მაღალ თანამდებობის პირებსა და მათ თანაშემწეებს შორის არსებული კომუნიკაციების კონფიდენციალურობის გარანტია; სხვაგვარად, ამტკიცებდა კლერი, თუ ყოველ განცხადებას საჯაროობა დაემუქრებოდა, მრჩევლები თავისუფლად საუბარს მოერიდებოდნენ, რაც დააზარალებდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. მეორე არგუმენტი კი ამბობდა, რომ ძალაუფლების დანაწილების დოქტრინა პრეზიდენტს ანიჭებდა სასამართლო პროცესებისაგან დამცავ იმუნიტეტს. სასამართლომ ამ არგუმენტთაგან არც ერთი დამაჯერებლად არ ჩათვალა. მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ თუმცა კომუნიკაციების კონფიდენციალობა მნიშვნელოვანი იყო, მისი შენარჩუნება არ გამოირიცხებოდა, თუკი მოსამართლეს მიეცემოდა საშუალება მტკიცებულების in cameva, ანუ საკუთარ კაბინეტში განხილვისა:

"პრეზიდენტისათვის აუცილებელ გულწრფელობასა და ობიექტურობას მის თანაშემწეთა მხრიდან სასამართლოები დიდი გაგებით უნდა მოეკიდონ. მიუხედავად ამისა, როდესაც აღმსარებლის პრივილეგიას ამართლებენ ზოგადი არადიფერენცირებული საზოგადოებრივი ინტერესებით, თავს იჩენს სხვა ფასეულობებთან ამგვარი მტკიცების აშკარა წინააღმდეგობა. სამხედრო, დიპლომატიური ან სახელმწიფო უსაფრთხოებასთან კავშირში მყოფი საიდუმლოებების დაცვის მოთხოვნის გამოკლებით, ჩვენ გვიჭირს, დამარწმუნებლად ვაღიაროთ ის არგუმენტები, რომ პრეზიდენტის უდავოდ მნიშვნელოვანი ინტერესი, კონფიდენციალურად შეინახოს საკუთარი ურთიერთობები რამენაირად დაზარალდება, თუკი ის მოთხოვნილ მასალებს საოლქო სასამართლოს განსახილველად წარუდგენს, თუკი ეს უკანასკნელი ამ მასალებს მხოლოდ საკუთარ კაბინეტში გაეცნობა".

იმის გამო, რომ ნიქსონს არ დაუსახელებია არც ერთი სპეციფიკური მიზეზი, რის გამოც სასამართლოს განსახილველად არ უნდა მიეღო ის აუდიოჩანაწერები, რომლებიც სასამართლომ მოითხოვა საქმეში "აშშ მიტჩელის წინააღმდეგ", უზენაესმა სასამართლომ უბრძანა ნიქსონს, ეს ჩანაწერები საკუთარ კაბინეტში განსახილველად გადაეცა მოსამართლე სირიკასათვის.

პრეზიდენტისათვის ბრძანება ერთი რამაა; ამ ბრძანების აღსრულება კი - სულ სხვა რამ. სასამართლო ხელისუფლება მთავრობის დანარჩენ განშტოების თანასწორი სახელისუფლებო შტოა, მაგრამ იმგვარი შტო, რომელსაც არა აქვს არც "მახვილი და არც საფულე", ანუ კონსტიტუციის ავტორთა მიხედვით მას არ გააჩნია არც აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ძალა და არც კონგრესის ხელში მყოფი დაბეგვრის ძალაუფლება. სასამართლო ხელისუფლება საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის ეფუძნება საკუთარ სტატუსს და საზოგადოების დემოკრატიული სისტემისადმი არსებულ პატივისცემას. ნიქსონის ადვოკატმა კლერმა პროცესის დამთავრებისას საკმაოდ ორაზროვნად განაცხადა, რომ პრეზიდენტს ჰქონდა "მისი ვალდებულებები კონსტიტუციის ქვეშ", რამაც შექმნა ერთგვარი გაურკვევლობა იმის თაობაზე, დაემორჩილებოდა თუ არა პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს ბრძანებას აუდიოჩანაწერების ფედერალური სასამართლოსათვის გადაცემის საკითხში.

ნიქსონი იმყოფებოდა კალიფორნიის შტატის ქალაქ სან კლემენტეში, როდესაც მან სასამართლოს ერთსულოვანი გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო მისი თანაშემწე ალექსანდერ ჰაიგისგან. თუმცა, ერთი დღის განმავლობაში ნიქსონმა საჯაროდ განაცხადა იმის თაობაზე, რომ დაემორჩილებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას. ნიქსონის განცხადების საინტერესო ნაწილი ასე გამოიყურებოდა:

"მიუხედავად იმისა, რომ გულდაწყვეტილი ვარ ამგვარი რეზულტატით, პატივს ვცემ და ვაღიარებ სასამართლოს გადაწყვეტილებას. მე გავეცი განკარგულება, რომ მიღებული იყოს ყველა ზომა იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სასამართლოს მოთხოვნა".

ნიქსონმა მოსამართლე სირიკას გადასცა 64 აუდიოფირი, რომელთაგანაც ზოგიერთი შეიცავდა პრეზიდენტისა და მისი დამხმარეების ბრალეულობის სერიოზულ ნიშნებს უოტერგეიტის ძარცვის საქმეში. კონგრესი მზად იყო ნიქსონის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის წამოსაწყებად. ნიქსონმა საბოლოოდ გააცნობიერა, რომ მისი პრეზიდენტობა განწირული იყო. 1974 წლის 8 აგვისტოს ნიქსონმა საკუთარი გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება და ჯერალდ ფორდი, აშშ ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტი გახდა. იმის გამო, რომ ფორდმა შემდგომ ნიქსონის მიმართ საკუთარი საპრეზიდენტო შეწყალების უფლება გამოიყენა, ყოფილ პრეზიდენტს არ მოუწია კონგრესში სასამართლოს წინაშე წარდგომა. მიუხედავად ამისა, ამ საქმემ დააფუძნა ძლიერ მნიშვნელოვანი პრეცედენტი, რომელიც აკანონებდა, რომ არანაირი აღმასრულებელი პრივილეგია პრეზიდენტს არ ანიჭებდა სასამართლოსგან მტკიცებულების დამალვის უფლებას. ამ საქმემ რიჩარდ ნიქსონის პოლიტიკურ კარიერას წერტილი დაუსვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარსულში ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და წარმატებული პრეზიდენტი იყო.

*ინგლისურიდან თარგმნა ნიკოლოზ რურუამ*

ადვოკატურის ისტორიიდან

# სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე

# 534 წელი

ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოს. მაგრამ თქვენი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით, და ამიტომ ჩვენ შევუდგებით საქმის ვითარების განმტკიცებას. ამრიგად, ჩვენ მიერ შესრულებული იქნება კანონით დაწესებული, თუმცა ჩვენი სიტყვა მარტივი და გაუმართავი იქნება და, შესაძლებელია, ჩადენილი ბოროტმოქმედების მნიშვნელობა მან ვერც კი გადმოგცეთ. რა გამართლება შეიძლება ვუპოვოთ იმათ, რომელთაც ისე შეუპოვრად მოკლეს ასეთი დიდებული კაცი, თქვენი მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე ომიანობის დროს და მშვიდობიანი ცხოვრებისა და ზავის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენნაირად მოაზროვნე და თქვენი წესების მიმდევარი, და რომელთაც უდიდესი მტრობა გამოიჩინეს თქვენ მიმართ, თქვენს მტრებს კი სამსახური გაუწიეს? მოკლული ხომ მეფე იყო, მსაჯულო, არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული, და რომაელთა საქმეებისათვის მუდამ იყო მკვლელებზე უფრო ერთგული.

უკუღმა დატრიალდა კოლხთა საქმეები და დაინგრა, განსაკუთრებით, სახელმწიფო საქმეები, თუმცა ჩვენი ქვეშევრდომი სახელმწიფოს ერთ, არა უმნიშვნელო, ნაწილს შევადგენთ. თქვენც აღარა გაქვთ თავისუფალი და ურყევი მდგომარეობა და საგრძნობლად დაგისუსტდათ საკუთარი ძალღონე. თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსამე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას. რადგან ყველაფერ ამის ჩამდენნი ისინი არიან, ამიტომ გეუბნებიან: ამ - ამის ატანა: თვითონვე აშკარად ამბობენ, რომ მოკლეს ის კაცი, და თანაც სტყუიან, რომ ამით უდიდესი სარგებლობა მოუტანეს სახელმწიფო საქმეებს. როგორ თავსდება მათ თავში ეს წინააღმდეგობა, ან როგორ შეგვიძლია ჩვენ, რომლებიც ამ საქციელს საზიზღარს ვუწოდებთ, შევაქოთ მისი ჩამდენი

> თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსამე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას.

თუმცა საშინელს - საქმეს კი ნუ უყურებთ, არამედ მხოლოდ ის განსაზღვრა უნდა გამოიკვლიოთ და მხედველობაში მიიღოთ, რომლითაც ვხელმძღვანელობდითო; და უფრო ამჯობინებენ ზოგიერთი ბუნდოვანი - თითქოს სინამდვილის შესაფერისი - საბუთების საშუალებით დაგისახონ თავისი მოქმედება, როგორც თქვენ საკეთილდღეოდ ჩადენილი, ვიდრე აღიარონ აშკარა ზარალი, საქმისათვის მიყენებული. ასეთ ტყუილებს ყბედობდნენ ისინი ხშირად სასამართლოს დანიშვნამდე და ფიქრობდნენ, რომ ბევრს შეაცდენდნენ. თუ კი ისინი საქმის გარჩევის დროსაც ასეთსავე მოსაზრებებს წამოაყენებენ, დე იცოდნენ მათ, მსაჯულო, რომ არც რომაელს და არც სამართლიანობას სჩვევია ასეთი ცხადი და აშკარად ჩადენილი უსამართლობა უყურადღებოდ დასტოვოს და თავი მოატყუებინოს ბუნდოვან მიზეზებს, რომლებიც უსაფუძვლოდაა მკვლელების მიერ შეთხზული. შეუწყნარებელია და ვთქვათ, რომ მისი მიზანი იყო სახელმწიფოსათვის სარგებლობა მოეტანა? იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურეველნი, მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი.

თუკი მათ ზრახვებს გავაშიშვლებთ და გამოვიკვლევთ, აქაც ისინი გამოჩნდებიან უბოროტეს მტრებად, სპარსელთა სასარგებლო განზრახვების მქონეებად; ასე რომ საკადრისიც არ არის ამ სისხლის მსმელებს რომლების სახელით ვიხსენიებდეთ, ან კეთილგანწყობილი ურთიერთობა ვიქონიოთ მათთან, როგორც თვისტომებთან; ისინი უნდა ჩავთვალოთ უკიდურეს მტრებად, რომლებიც ჩვენგან გამოთიშა ბუნების კანონმა, თუმცა ეს კანონი თქვენგან ხელმოწერილი არაა; მოწინააღმდეგესა და მტერს ხომ საქმის მიხედვით გამოიცნობს ადამიანი და არა სიშორის მიხედვით. ცხადია, მტრად უნდა ჩავთვალოთ ის, ვინც იმას აკეთებს ხალისით, რაც მოწინააღმდეგეებს ესიამოვნებათ, თუნდაც ის შენთან იყოს და შენთან ერთად ლაშქრობდეს და ახლო ნათესაურ კავშირში იყოს შენთან. ეხლა ისინი ამბობენ, რომ მოკლეს არა მეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი, ტირანი და სპარსელების მომხრე. კიდევ მეტი: ისინი ისეთ უსამართლობამდე მივიდნენ, რომ განსვენებულს აბრალებენ მედიზმსაც. საბრალო! სიკვდილის შემდეგაც ვერ განთავისუფლდა უბედურებისაგან, და ეხლაც, როდესაც მას აღარ შეუძლია თავი იმართლოს, მოღალატეობაში ედება ბრალი. რომელი კანონი - თქვენი ან ბარბაროსებისა - მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს და მერე წაუყენო ბრალდება? ისინი თვითონ არიან მსაჯულებიც, მტრებიც და ბრალმდებლებიც, ყველაფერი ერთად შეასრულეს და საქმის გაურჩევლად სრულიად

> მოწინააღმდეგესა და მტერს ხომ საქმის მიხედვით გამოიცნობს ადამიანი და არა სიშორის მიხედვით. ცხადია, მტრად უნდა ჩავთვალოთ ის, ვინც იმას აკეთებს ხალისით, რაც მოწინააღმდეგეებს ესიამოვნებათ.

უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნეს, როგორიც შეეფერებოდა მართლაც ტირანობაში გამტყუნებულს. ეხლა კი, როდესაც თავის გამართლება სჭირდებათ, მოდიან და ბრალსა სდებენ უსამართლოდ დასჯილ კაცს; სანამ მას მოჰკლავდნენ, საჭირო იყო თუ კი ისინი დარწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში, საქვეყნოდ მიეცათ ის სასამართლოში და თვით პირველნი გამოსულიყვნენ ბრალმდებლებად და არა ისე, როგორც ეხლა მოხდა: როდესაც ისინი თვით არიან ბრალდებულნი, საპასუხო ბრალდებას აყენებენ. თუ ეს ყველასათვის ნებადართულია, რა გვიშლიდა ხელს ჩვენც საკუთარი ხელით მოგვეკლა ეს სისხლის მსმელები? ჩვენც, სამართალში მიცემულნი, მათ, უკვე მიცვალებულთ, ბრალდებად წავუყენებდით მათ მიერ წინათ ჩადენილ შეცდომებს, და ამით შევეცდებოდით, სრულიად სამართლიანად, სამაგიერო შეგვეცოდა. ჩვენ ხომ ძალიან აღელვებული ვართ წინათ მათ მიერ აშკარად ჩადენილი საქციელით და სამართლიანად ვიძიებდით შურს! დავაც წესიერად წარიმართებოდა, მაგრამ არც ჩვენ, არც სხვებმა ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველზე ვაპირებთ ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, თუ ყოველ მსურველს ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი მტრების მოკვლა, ამგვარი საქციელის ხშირად ჩადენა მიგვიყვანდა უსაზღვრო თავხედობამდე, და როგორღა შეგრჩებოდათ თქვენ შესაძლებლობა თავისუფალი და დაუბრკოლებელი განსჯისა? ყველა რომ ჟლეტას დაიწყებს და გაჟლეტილი იქნება და თამამად მიმართავს ერთმანეთის წინააღმდეგ მახის დაგებას, თქვენ ვეღარ შესძლებთ სასჯელის დადებას. უაზროდ დაიხოცება მთელი მოდგმა და გამოძიების საშუალებას წინასწარ მოსპობს იმათი უკანონო საქციელი, რომლებიც ყოველთვის სამაგიეროს გადახდას მიმართავენ.

თუმცა - ამბობენ ისინი, - განა უბედურებაა ის, რომ ერთი კაცის, ისიც მოღალატის, მოკვლით ყველა მოკავშირე უფრო გონიერად მოიქცევა? მოღალატეთა მართლაც რომ დიდი რაოდენობა იქნეს მოსპობილი, თუმცა ამით არავითარი სხვა სარგებლობა არა აქვს მკვლელებს, მაგრამ თვით მოვლენა ამგვარი ხალხის მოკვლისა საკმაოდ სასარგებლოა. მაგრამ, თუ კი, მიუხედავად იმისა, რომ მოღალატეობა დამტკიცებული არაა, ერთბაშად აქრობენ და ჰკლავენ ერთ-ერთ უაღრესად წარჩინებულ კაცს, თითქოს ის აშკარა ბოროტმოქმედებაში დაეჭიროთ, რანაირად შეუწყობს ეს ხელს იმას, რომ მოკავშირეები თქვენ უფრო გონიერად მოგექცნენ? იქნებ მათ უფრო ხელშეკრულებათა დარღვევა დაიწყონ, რახან იფიქრებენ, რომ თქვენ ამ ბოროტმოქმედების მონაწილენი ხართ? ისინი დაასკვნიან, რომ, თუ თქვენიანებისა და მახლობლებისადმი არ იჩენთ ლმობიერებასა და სამართლიანობას, ძნელი საფიქრებელია, რომ ერთგულნი დარჩებით უცხოელთა და გარეშეთა მიმართ, რომლებთანაც მხოლოდ აუცილებლობის გამო გაქვთ ურთიერთობა. მაგრამ თქვენ არ მიგიღიათ მონაწილეობა მკვლელთა გეგმაში, არც მთელ რომაელ ერს მიეწერება ეს ბოროტმოქმედება, კერძოდ ჩადენილი ამათ მიერ; ამათი ვერაგული საქციელი ვერც თქვენ შესახებ წინათ არსებულ აზრს მოსპობს, სახელდობრ, რომ თქვენ

გაგრძელება C4 გვერდზე

ადვოკატურის ისტორიიდან

# სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე

## 534 წელი

C3 გვერდიდან

ერთგულნი ხართ თქვენი ქცევით და ურყევნი, და სამართლიანი კანონებითაც ხელმძღვანელობთ. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეხლანდელ სამსჯავროც ხალხის საერთო დიდებისათვის მოაწყეთ, რათა ყველას გაეგო, რომ თქვენ არასოდეს არ გდომიათ კოლხებს ისეთი საშინელი ძალადობა განეცადათ. შესაძლებელია ეხლა ბევრის აზრი ხან აქით იხრებოდეს, ხან იქით, გაურკვეველი და მერყევი იყოს, მაგრამ, მსაჯულო, როდესაც შენი მსჯავრის მიხედვით ისინი მალე მოკლული იქნებიან, უფრო გასაგები შეიქნება, რომ თქვენ (რომაელები) თავისიანების მოღალატენი კი არა ხართ, არამედ უსამართლოდ მოქმედთა მომთვინიერებელნი... თუმცა ისინი, როგორც ჩანს, სიტყვით თავს იცავენ, მაგრამ საქმით საკუთარი თავის გამმტყუნებლებად გამოდიან და აღიარებენ ამ მკვლელობის სისაძაგლეს. მეფის წერილი ხომ უბრძანებს სტრატეგოსებს ბიზანტიონში მიჰგვარონ გუბაზი, ჯერ დაიყოლიონ ის ბიზანტიონში წასვლაზე, ხოლო თუ არ დაემორჩილება მათ განგებ და წინააღმდეგობას გაუწევს, ძალით გააგზავნონ. მისი მოკვლა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, სანამ ის საბოლოოდ არ გაუდგებოდა რომაელებს და მტრულ მოქმედებას არ დაიწყებდა. ესენი კი არც სტრატეგოსები ყოფილან, არც ნება მიუცია მათთვის ვინმეს ჩაედინათ ის, რაც მოესურვებოდათ, უცბად მოეკლათ საცოდავი გუბაზი ისე, რომ არც წინასწარ ეთხოვნათ მისთვის ბიზანტიონში წასულიყო და არც ეცადათ იმის გასინჯვა, უდიერად შეხვდებოდა ის მეფის განკარგულებას თუ არა. თუმცა ისინი ამაყობენ და ტრაბახობენ იმით, თითქოს შეასრულეს მეფის დავალება, მაგრამ, პირიქით, როგორც ჩანს, მათ გვერდი აუარეს მის სურვილს, წინასწარ თავხედურად შეხანხლეს გუბაზის წინააღმდეგ ყალბი ბრალდებები და, წინააღმდეგ მათთვის მეფისაგან მიცემული განკარგულებისა, საკუთარი სურვილის მიხედვით დაღუპეს კაცი; და, რაც ყველაზე უფრო უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, არც კი აჩვენეს მეფის წერილი, რომ ის გასცნობოდა მის შინაარსს და მოქცეულიყო საჭიროებისამებრ.

ნუთუ, ამის შემდეგ, ის, რაც მათ გაბედეს, არ უნდა ჩაგვეთვალა ნამდვილ უბედურებად და უსასიზღრეს მკვლელობად? ვინმეს მიმართ უსამართლობის ჩადენა ხომ აკრძალულია და ჩვენც უნდა ვერიდებოდეთ მის ჩადენას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უსამართლობა ეხება მეგობარსა და კეთილისმსურველს, იმ ადამიანს, რომელიც ხშირად გაბმულა საფრთხეში მახლობელთა გულისათვის. ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო რომ ხოსროს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდნენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ ჩასულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუ კი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი. სად ხართ, კანონებო, სად არის სამართალი! მას აბრალებენ მედიზმს, ტირანობას, რომაელთა მოღალატეობას! ის მოკლეს რუსტიკემ და იოანემ, ამ საძაგელმა და საზიზღარმა კაცებმა მოკლეს მეფე! ის რომ მართლაც დამნაშავე ყოფილიყო, ამათ მიერ კი არ უნდა ყოფილიყო ის მაშინვე მოსპობილი, არამედ მისი საქმე დინჯად უნდა გაერჩია რომაელთა და კოლხთა საერთო მეფეს, როგორც უდიდესსა და ყოველთა უძლიერესს, და სათანადო სასჯელი დაენიშნა. მაგრამ, ვინაიდან ამათ არ ჰქონდათ არავითარი კანონიერი საბუთი მისი მოკვლისათვის, უფრო კი შურიანობით გამოწვეული უზომო მტრობა აღიზიანებდა მათ, ბოროტება ჩაედინათ, სათანადოდ არ მოიფიქრეს, გონიერი მოსაზრება არ მოიხმარეს და არც გაითვალისწინეს, თუ რა იქნებოდა სასარგებლო, და ამაყურ ქცევასა და შურისძიებას რომ დაემორჩილნენ, ჩაიდინეს დიდი თვითნებობა. ის, რაც დიდი ხანია განზრახული და ზედმიწევნით დაგეგმილი ჰქონდათ, სისრულეში მოიყვანეს პირველ შესაძლებლობისთანავე ისე, რომ არც დროის ვითარებას მიაქციეს ყურადღება და არც კარგად მოიფიქრეს. რადგან ისეთ მძიმე ომში ვიყავით გახვეული, გონიერ კაცს მოეთხოვებოდა ეზრუნა იმაზე, რომ კარგი მოპყრობის საშუალებით თავისკენ მიეზიდა უცხო და ჯერ კიდევ უცნობი ერები. ამათ კი ისინიც კი რომაელების მტრებად გადააქციეს, რომლებიც წინათ მათი მახლობელი მეგობრები იყვნენ. და მათი ბრალია, რომ ჩვენ მტრის მხარეზე გადავედით, ძველ მეგობრებს მზაკვრულად ვეპყრობით, რომ ეს ქვეყანა სპარსელების ხელშია და მშობლიური წესები მივიწყებულია, - ერთი სიტყვით, ყველაფერი უწესრიგოდ მიმდინარეობს; აი, რამდენი ზარდამცემი ნიშანია აჯანყებისა და შინაური არეულობისა. ამიტომ, რადგან ყველაფერი ეს ნამდვილად ასეა და ჩვენი საქმეები ყოველმხრივ ანგრეულია, უნდა მივუყენოთ ამათ ისეთი ღირსეული სასჯელი, რომლის გამოძებნასაც კი შევძლებთ. თუ ჩვენ რომაელთა ერთგული ვართ ურყევად, არ იქნება სამართლიანი, მსაჯულო, რომ ამათ ჩვენი ჩვილი ხასიათით ისარგებლონ და უფრო ნაკლები სასჯელი მიიღონ, ვიდრე მათ მიერ ჩადენილ საქციელს შეეფერება.

კანონშემოქმედება

# საკანონმდებლო ტექნიკის საკითხისათვის

როლფ კნიპერი
ქ. ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია)

დასასრული

### კანონთა შინაარსი და ტექნიკური წესები

ყოველი კანონის მიზანს უნდა წარმოადგენდეს, მიაწოდოს ადრესატს დასარეგულირებელი საგნის ნათელი, გასაგები ფორმულირება და დაუზუსტოს მათ მოვალეობები, უფლებები და ამოცანები. კანონი, პრობლემის კონკრეტული იმპულსიდან გამომდინარე, უნდა ეძიებდეს ყველაზე საიმედო საშუალებებსა და გადაწყვეტის გზებს, რომელთაც თან ახლავთ რაც შეიძლება ნაკლებად ნეგატიური მოვლენები და, ეკონომიკური თვალსაზრისით, მიზანსა და საშუალებას ყველაზე გონივრულად აკავშირებენ. ამის მაგალითია გარემოს დაცვისა და ეკონომიკური განვითარების ჰარმონიზაციის საკითხი. მოთხოვნა იმისა, რომ აღარ გაგრძელდეს ტროპიკული ტყის გაკაფვა ანდა უარი ითქვას ნავთობის ზღვით გადაზიდვაზე, გარემოს დაბინძურების შესაძლებლობის მომიზეზებით, აზრობრივად არ წარმოადგენს საკითხისადმი მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, აგრეთვე, ის, რომ ნაკლებად გონივრულად ჩანს ზოგადი პოლიტიკური ნების გამოხატულებისა და მიზნების ერთიან სამართლებრივ ყალიბში მოქცევა, როგორც ამას ხშირად ადგილი ჰქონდა გარდამავალი პერიოდის კანონებში. ასეთ კანონებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ პოლიტიკურ მიზნებზე უფრო ფართო გავლენა. მიზანშეწონილია, რაც შეიძლება ზუსტად იქნას განსაზღვრული იურიდიულ ფაქტებსა და საქმის გარემოებებზე დამყარებული შედეგები. ძირითადად, სამართალი პირობითულობის პროგრამას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც გვეუბნება, რომ როდესაც სახეზეა ესა თუ ის ფაქტი თუ გარემოება, მაშინ მას უკავშირდება ესა თუ ის სამართლებრივი შედეგი. ბუნებრივია, არ არის გამორიცხული სიმბოლური, კომპრომისული და ზოგადი ხასიათის კანონების მიღება; მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ მათი საკანონმდებლო შინაარსი ძალიან ღარიბია.

პირობითული პროგრამების შესახებ საუბრისას მიზანშეწონილია ერთმანეთთან შინაარსობრივად დაკავშირებული საკითხების მჭიდრო ურთიერთკავშირში მოწესრიგება. კითხვა და პასუხი, ფაქტი და სამართლებრივი შედეგი რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს ერთმანეთთან.

გამოცდილება კვლავაც გვკარნახობს, რომ მთელი რიგი ტექნიკური წესები აადვილებს ამ მიზნების მიღწევას. ქვემოთ მომყავს რამდენიმე წესი, რომელთაც პრაქტიკოსი კანონმდებლები გვთავაზობენ:

1. კანონის რედაქტირებამდე, სარედაქციო ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს დასარეგულირებელი პრობლემის შესახებ სათანადო ლოგიკური გეგმა და ამის საფუძველზე განავითაროს კანონის სტრუქტურული სისტემა. დიდი მოცულობის საკანონმდებლო პროექტებისას, მიზანშეწონილია, შესწავლილ იქნეს ზოგადი ნაწილების კანონში ჩართვის შესაძლებლობა, რასაც თავისი წვლილის შეტანა შეუძლია კანონის თვალსაჩინოებისა და ლაკონურობის მიღწევის საქმეში. ამდენად, გერმაში ყურადღება უნდა მიექცეს კანონის შიდა აგებულებასა და სხვა კანონებთან მიმართებას.

2. ა) რაც შეეხება სტრუქტურას, მიზანშეწონილია შემდეგი სახის დაყოფა:

კერძო პირთა უფლებები და მოვალეობები;

ხელისუფლების/სახელმწიფოს უფლებები და მოვალეობები;

ხელისუფლების ორგანოები, რომელთა ჩამოყალიბებაც შესაძლოა საჭირო გახდეს (მაგ., საპატენტო სამსახური);

დებულებები შესაძლო საჯარიმო სანქციების შესახებ;

შესაძლო საგადასახადო დებულებები;

გარდამავალი დებულებები, რომლებშიც მითითებული უნდა იქნას კანონის ძალაში შესვლის თარიღი. კოდექსებთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია მიღებისა და ძალაში შესვლის ვადების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რათა ადრესატს მიეცეს ახალ წესებთან შეგუების საშუალება.

ბ) თითოეული კანონმდებელი უნდა შეეჩვიოს დიდი მოცულობის კანონებში ყოველთვის ერთი და იგივე სტრუქტურული დანაწევრების გამოყენებას. მაგალითად: წიგნი, სათაური, თავი, ნაწილი და ბოლოს მუხლები, რომლებიც მთლიან კანონში უწყვეტი ნუმერაციით უნდა იყოს წარმოდგენილი.

გ) მიზანშეწონილია ყოველი მუხლის დასათაურება, რაც კანონის მოქმედების ინტერესებს ემსახურება და უბრალოდ აადვილებს მასთან მუშაობის პროცესს.

დ) კანონის დიდი მონაკვეთების მიმართ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგი სახის შიდა სტრუქტურულ თანმიმდევრობას:

ზოგადს უნდა მოსდევდეს კერძო;

მარტივს - რთული;

მნიშვნელოვანს - ნაკლებად მნიშვნელოვანი;

წესს - გამონაკლისი;

მოვალეობას - ამ უკანასკნელის შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული სანქცია.

3. ამერიკელი სახელშეკრულებო სამართლის სპეციალისტების გავლენის შედეგად ჩვეულებად იქცა კანონისათვის სისტემატურად შესავალი ნაწილის წამძღვარება, რომელიც დეფინიციებს მოიცავს. ცხადია, ეს არ არის დოგმა. ამასთან, საერთოდ, მიზანშეწონილია არ გამოვიყენოთ დეფინიციური ნაწილი, თუკი არ არსებობს ამისი აშკარა აუცილებლობა. ეს ხდება მაშინ, როცა კანონში ცნებები ხშირად მეორდება და ამ ცნებებს სასაუბრო ენაში მათი მნიშვნელობისგან განსხვავებული აზრი გააჩნია. ილუზიას წარმოადგენს ის, რომ განუსაზღვრელი ცნებების დაკონკრეტება შესაძლებელია დეფინიციის გზით, რადგან ხშირად, დეფინიციაში მოყვანილ ნიშან-თვისებებს თავად აბსტრაქტული შინაარსი აქვს. ეს არის ზოგადად ენობრივი კომუნიკაციის პრობლემა. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ერთსა და იმავე კანონში მრავალჯერ გამოყენებულ ცნებას ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა მიეცეს და მეორე მხრივ, ერთი და იმავე საგანზე საუბრისას არ იქნას გამოყენებული განსხვავებული ცნებები. არცთუ ისე წარმატებულად განხორციელებული საკანონმდებლო პრაქტიკის ნიმუშად გამოდგებოდა სამოქალაქო კოდექსში სიტყვა მოქალაქის ან ფიზიკური პირის მონაცვლეობით გამოყენება.

გამოცდილი პრაქტიკოსების აზრით, საკანონმდებლო პრაქტიკაში განსაზღვრებები მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში გამოიყენება:

ა) როდესაც რომელიმე სიტყვა მისთვის არაორდინალური მნიშვნელობით გამოიყენება;

ბ) ზედმეტი განმეორებების თავიდან ასაცილებლად;

გ) როდესაც სიტყვა მისთვის უჩვეულო და ახალი მნიშვნელობით იხმარება, მაგალითად, ლათინური ტერმინების შემთხვევაში.

ასევე მიზანშეწონილია:

ა) დეფინიცია არასოდეს შეიცავდეს შინაარსობრივ წესებსა და მითითებებს კანონის გამოყენებაზე;

ბ) დეფინიცია არ იყენებდეს სიტყვის ან გამოთქმის არარსებულ ანდა მხოლოდ ხელოვნების სფეროში არსებულ მნიშვნელობას;

გ) კანონში შენარჩუნდეს სიტყვის ერთხელ ნახმარი მნიშვნელობა;

დ) კანონში ერთი და იმავე საგნის აღსანიშნავად არასოდეს გამოიყენებოდეს განსხვავებული სიტყვა თუ გამოთქმა.

პრაქტიკაში მართებული ან მცდარი დეფინიციის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ცნება "სამუშაო/შრომა" (Arbeit). 1907 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული კლეიტონის აქტი განმარტავდა, რომ შრომა არ წარმოადგენს საქონელს. ამას სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობის ის შედეგი მოჰყვა, რომ პროფკავშირებზე არ გავრცელდა კარტელური აკრძალვა, რაც უკიდურესად აუცილებელი იყო. სრულიად სხვა შედეგი დგება, როდესაც, ხელმძღვანელობენ რა ჰუმანური მოსაზრებებით, საზეიმოდ ოფიციალურად ცხადდება, რომ შრომა საქონელი არ არის. ასეთი განაცხადი არ ამსუბუქებს მშრომელი ადამიანის ხვედრს და შეუძლია, ამასთან, გამოიწვიოს მისთვის ნაკლებად სასიამოვნო შედეგი, რაც გააძნელებს სახელშეკრულებო სამართლის სოციალური დაცვის ნორმების გამოყენებას.

4. მითითებები და რეფერენციები საკანონმდებლო ტექნიკის კიდევ ერთი საშუალებაა. ისინიც შეიძლება აუცილებელი ან საჭირო გახდეს, განსაკუთრებით, კომპლექსურ და დიდი მოცულობის საკანონმდებლო პროექტებში; ამასთან, მათ შეიძლება არანაირი აზრობრივი დატვირთვა არ გააჩნდეთ. გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

ა) თუ კანონი ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილებად დაყოფის პრინციპის გათვალისწინებითაა აგებული, დაუშვებელია ზოგად ნაწილში განსაკუთრებულ ნაწილზე მითითება. ზოგადი ნაწილის მთელი არსი ხომ იმაში მდგომარეობს, რომ გამოყოს ის ნორმები, რომლებიც ვრცელდება განსაკუთრებულ ნაწილზე;

ბ) სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე და საპარლამენტო თავისუფლების გათვალისწინებით, სრულიად შეუთავსებელია მომავალ კანონებზე მითითება, განსაკუთრებით მათი შინაარსის გადმოცემა. მომავალმა კანონმდებელმა თავად უწყის, თუ რაში მდგომარეობს მისი ამოცანა;

გ) მითითება ძალაში შესულ სხვა კანონზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, ვინაიდან, კანონები შესაბამის საკითხებს სრულად არეგულირებენ და ამიტომ, მითითებული კანონისაგან განსხვავებული მიზნები გააჩნიათ. გარდა ამისა, კანონის გამომყენებლისათვის ძალზე რთულია ის, რომ მას უხდება ერთი კანონიდან მეორეზე გადახტომა;

დ) თუ მითითების თავიდან აცილება შეუძლებელია, მიზანშეწონილია, პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მივუთითოთ არა მხოლოდ მუხლის ან კანონის ნომერი, არამედ ნორმის არსი.

5. ფიქციები შეიძლება იყოს სამართლის ფუნდამენტური ცვლილებისას გავრცელებული პრაქტიკული შეხედულებების დანერგვის ან რთული ვითარების დროს, სამართლებრივი შედეგების თავისთავად დადგომის განმსაზღვრელი ტექნიკური საშუალება, რომელიც ერთ-ერთი მონაწილის ქმედებას უკავშირდება. მისი გამოყენების პირველ მაგალითად გამოდგებოდა რომელიმე ქვეყნის (იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქვეყანაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდებოდა ნავთობის მოპოვება, ხოლო მოგვიანებით ოქროც იქნა აღმოჩენილი) სამართლებრივი ნორმა, რომელშიც განმარტებულია, რომ ოქროს მოპოვების სამართლებრივი რეგულირების ვაკუუმის შესავსებად, ოქრო, ნავთობის შესახებ არსებული სპეციალური კანონით განიხილება ნავთობის ტოლფასად. ფიქციის მეორე ტიპის ნიმუშად გამოდგებოდა ის, რომ ლიცენზიის გასაცემად აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა. იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ მთავრობის მიერ გარკვეული მოქმედებებისაგან თავის შეკავებას, ასევე კორუფციის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ თუ ოფიციალური ორგანო დროის გარკვეულ მანძილზე უმოქმედოდაა ან სდუმს, ნებართვა გაცემულად ჩაითვლება. იგივე შეიძლება ითქვას კერძო პირთა ნების გამოვლინებისა თუ მათი მოქმედების თაობაზე.

6. კრაბეს ნაშრომი "საკანონმდებლო ტექნიკა" (Legislative Drafting), კანონებში სიტყვათა შერჩევას 28 და პუნქტუაციას კი 20 გვერდს უთმობს. იგი მოითხოვს, რომ თავი ავარიდოთ ისეთ შემალამაზებელ და არაფრის მთქმელ განსაზღვრებებს, როგორებიცაა: gesagt (აღნიშნული), dasselbe (იგივე), das oben gesagte (ზემოთქმული), was auch immer (რასაც ყოველთვის), wo auch immer (სადაც ყოველთვის). იგი მოითხოვს, რომ სიტყვები მოკლე და სასაუბრო ენობრივი მნიშვნელობით იხმარებოდეს, რომ ისინი ყოველთვის ერთსა და იმავეს გამოხატავდეს, რომ კანონები აწმყო დროის ფორმაში იწერებოდეს და ჩართული წინადადებები, ისევე, როგორც სიმბოლიკის გამოყენება, თავიდან იქნას აცილებული. იგი იმაზეც მიუთითებს, რომ სიტყვებს "und (და)" და "oder (ან)" ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვთ. მრავალი მაგალითის მოყვანით იგი ცხადყოფს, რომ პუნქტუაციას მომწესრიგებელი ფუნქცია გააჩნია და რომ მისი მცდარი გამოყენება წინადადების შინაარსს საპირისპირო მნიშვნელობას ანიჭებს. იგი ახდენს ჯონ ლოკის ციტირებას და აღნიშნავს, რომ სამეტყველო ენა შესანიშნავი საშუალება შეიძლება იყოს ადამიანთა როგორც დასაახლოვებლად, ისე მათ დასაშორებლად.

### განახლება, გადასინჯვა, დახვეწა

კანონშემოქმედება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს საზოგადოებრივ ცვლილებებს. ამიტომ შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ კანონის ცვლილებები მაშინაც კი, როდესაც გარდამავალი პერიოდის საზოგადოებაში ასეთ მოქმედებებს ხშირად დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. ასეთ ვითარებაში, კანონის ხშირი ცვლილებები იმითაც არის გამოწვეული, რომ არ არსებობს მოსამართლეთა მიერ კანონის განმარტების საფუძველზე სამართლის განვითარების შესაძლებლობის ნდობა.

სამართლებრივი რეგულირების ობიექტის განახლების აუცილებლობისას, მიზანშეწონილია, ცვლილებების შეტანის შემდეგ, კანონის ახალი ტექსტი გავაცნოთ მის ადრესატებს და უშუალო გამომყენებლებს. ძნელად შესაგუებელ და გაუთავებელი უწესრიგობის წყაროს წარმოადგენს ის ვითარება, როცა კანონი იცვლება და საზოგადოებრიობაში კი ისევ ტრიალებს ძველი ტექსტი იმ ზოგიერთი ცვლილებით, რომლებიც დროდადრო მეტ-ნაკლები წარმატებით მოიძიება ხოლმე კანონის გამომყენებელ და სხვა დაინტერესებულ პირთა მიერ. აღნიშნული ცვლილებები ხშირად ძველ ტექსტს ან წებოთი, ან ქინძისთავით დაერთვის. შესაბამისად, აუცილებელია შეიქმნას ტექსტის დახვეწილი ვარიანტი, რაც შეიძლება განხორციელდეს "სწრაფჩამკერი კრებულების" ან კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით.

განახლების ან უკვე მოწესრიგებული საკითხის ახალი კანონით რეგულირების შემთხვევაში, აუცილებელია ახალ კანონს დაერთოს რაც შეიძლება ზუსტი მითითება იმის შესახებ, თუ რომელი დებულებები თუ კანონები უქმდება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. ხშირად ვაწყდებით დებულებას ახალი კანონით ძველის გაუქმების შესახებ, რაც, რასაკვირველია, მართებულია, მაგრამ რთულია გამოსაყენებლად. იმის ნაცვლად, რომ თითოეულ გამომყენებელს ძებნის ტვირთი გადასცეს, პარლამენტს თავად უნდა გააჩნდეს შესაბამისი ინფორმაცია და ასახოს იგი კანონში. ბუნებრივია, დასასრულს, შესაძლებელია ერთი, ზოგადი ხასიათის, ყოვლისმომცველი ნორმით გაუქმდეს ყველა შესაბამისი კანონი, მაგალითად ის, რომლის მოძიებაც შეუძლებელი გახდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, საპარლამენტო ან, თუნდაც, კერძო გამომცემლობას დაევალოს, შეისწავლოს ხმარებიდან ამოღებული, გაუქმებული თუ სხვა კანონთა კრებულები და დახვეწოს ისინი.

ფართო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, შეიქმნას სამართლებრივი რეფორმის კომისია ad hoc საფუძველზე, ან როგორც მუდმივმოქმედი ინსტიტუტი. ასეთ კომისიაში უნდა გაერთიანდნენ სხვადასხვა სახელმწიფო ხელისუფლებათა წარმომადგენლები და შეძლებისდაგვარად, წარმოდგენილნი უნდა იყვნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც.